



სოციალურ მეცნიერებათა სერია

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის
აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე

სალექციო კურსი
სოციალური მეცნერებების მაგისტრატურისათვის

ეკა აკოზია

თბილისი
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. № 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ (Center for Social Sciences) მიერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით



The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 872 - 6 – 6

სარჩევი

| | |
|---|----|
| ლექცია I | |
| საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩამოყალიბება და დიდი დეპატები | 4 |
| ლექცია II | |
| თეორიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში | 14 |
| ლექცია III | |
| კლასიკური რეალიზმი | 17 |
| ლექცია IV | |
| ნეორეალიზმი | 22 |
| ლექცია V | |
| თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი | 30 |
| ლექცია VI | |
| ლიბერალიზმი | 34 |
| ლექცია VII | |
| რეჟიმები საერთაშორისო ურთიერთობებში | 40 |
| ლექცია VIII | |
| თანამშრომლობა ანარქიის პირობებში | 44 |
| ლექცია IX | |
| კონსტრუქტივიზმი და მისი პირტიკა | 48 |
| ლექცია X | |
| ნათოს გაფართოება და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები | 55 |
| ლექცია XI | |
| საერთაშორისო ურთიერთობები და საშინაო პოლიტიკა | 62 |
| ლექცია XII | |
| პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში | 66 |
| ლექცია XIII | |
| გლობალიზაცია | 71 |
| ლექცია XII | |
| საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია | 74 |
| THEORY OF INTERNATIONAL RELATIONS | 90 |

ლექცია I: საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩამოყალიბება და დიდი დეპატაჟი

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამ. ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდა კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულებით და მისი ხედვა აიგო ერთი თეორიის – იდეალიზმის საფუძველზე. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული დიდძალი მსხვერპლის შედეგად მსოფლიოში მომნიჭდა შეხედულება, რომ აუცილებელად უნდა შესწავლილიყო ომის გამომწვევი მიზეზები, რათა მომავალში თავიდან აეცილებინათ მსგავსი დამანგრეველი მოვლენები. სწორედ იდეალიზმი გახდა ის იდეოლოგია, რომლის პრინციპებზე დაყრდნობითაც მომავალში კაცობრიობას უნდა შეძლებოდა ამ დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება.

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიის ისტორიკოსები იყვნენ დაკავებულნი სხვადასხვა ისტორიული ფაქტების ანალიზით, თუმცა, ამ ფაქტების განზოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია, პუბლიცისტიკის და ჟურნალისტიკის როლი; აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ვინმე აინშტაინის სტატია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ გამოქვეყნდა ამერიკაში, სადაც ავტორი მოუწოდებდა ამერიკის მთავრობას ყურადღება მიექცია ევროპაში მიმდინარე მოვლენებისათვის და არ გაეგრძელებინა იზოლაციონისტური პოლიტიკა.

იმისათვის, რომ კარგად მივხვდეთ რა თეორიული ფონი იყო შექმნილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ევროპაში, საკმარისია გავიხსენოთ კარლ ფონ კლაუზევიცის სიტყვები – ომი დიპლომატიის უფრო ძლიერი ფორმაა, ხოლო საბრძოლო ასპარეზი მოლაპარაკებების კონფერენციის გაგრძელება. აქედან ჩანს, რომ ომი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიხვდნენ ნამყვანი ქვეყნების პოლიტიკური ელიტები, რომ ომის შედეგად მიღებული სიტუაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო არავისთვის მომგებიანი და სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა პირველი სასწავლო ცენტრები და დეპარტამენტები, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები ისწავლებოდა. პირველი კათედრა, სადაც საერთაშორისო პოლიტიკა ისწავლებოდა, იყო უელსში, აბერისტივის უნივერსიტეტში, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პირველად ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში დაარსდა. ორივეგან ეს მოხდა 1919 წელს.

ამ პერიოდში მოღვაწე სპეციალისტების მიერ ომი აღქმულ იქნა როგორც ტრაგედია, რადგან პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა უამრავი მსხვერპლი. ზოგიერთ ბრძოლებში 100 000-ზე მეტი ადამიანიც კი დაღუპულა (მაგალითად,

საფრანგეთი, 1916 წელი). ამის გამართლება არ არსებობდა. დიკინსონი ამბობდა, რომ “ომი არ არის ადამიანის ბუნების გარდაუვალი შედეგი, ის ბუნების გარკვეული პირობებში გამოვლენაა,” ხოლო არნოლდ ტოინბიმ ომს “კაცობრიობის მომაკვდინებელი სენი” უწოდა.

იდეალიზმი გახდა ერთგვარი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ომი? რატომ განაგრძობდნენ ომს ქვეყნები მაშინ, როდესაც ამდენი მსხვერპლის გათვალისწინებით ომიდან შემოსული მოგება სულ უფრო მცირდებოდა.

ამ კითხვებზე პასუხი საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში დიდად იყო დაფუძნებული ორ ომს შორის გაბატონებულ ტრადიციაზე, რომელიც **ლიბერალური იდეალიზმის** სახელითაა ცნობილი. ამ ტრადიციის მიხედვით, საჭირო იყო ძალთა ბალანსის და ალიანსების სისტემის შექცვა.

მაშასადამე, იდეალიზმზე დაფუძნებული ხედვა/მიზანი იყო შემდეგი: მსოფლიო სისტემის რეფორმირება და ავტოკრატიულ სახელმწიფოებში შიდა ცვლილებების მოხდენა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი **14 პუნქტი** მიიჩნევა იდეალიზმის მანიფესტად. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატიის აღკვეთის შესახებ და შეთანხმებების ღია დადების აუცილებლობის შესახებ. ოუნოდებს, რომ იყოს ნავიგაციის თავისუფლება, თვითგამორკვევა ყველასთვის, შეიარაღების შემცირება და ასე შემდეგ, ხოლო ბოლო პუნქტად მოცემული აქვს ერთა ლიგის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა საერთაშორისო წესრიგს და მშვიდობას.

ვილსონისეული იდეალიზმი მოკლედ რომ ვთქვათ, გულისხმობდა რაციონალური და ინტელიგენტური საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას და ამით ომის შეკავებას, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი მსოფლიოში სამუდამო მშვიდობის დამკვიდრებისა.

ნორმან ანჯელი ასევე არის იდეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თავის ნაშრომში – *დიდი ილუზია* (1909), იგი ამბობდა, რომ ზოგიერთს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ომი არის მომგებიანი, ხოლო დღევანდელ სამყაროში ეს ასე არ არის. ანჯელი გამოთქვამდა იმედს, რომ სახელმწიფოები (მათი ლიდერები) თუ გაიზიარებენ ამ ფაქტს, მიხვდებიან ომის უშედეგობას და უსარგებლობას. მისი აზრით, რაც უფრო წინ წაიწევა მოდერნიზაცია, მით უფრო ურთიერთდამოკიდებული გახდებოდა მსოფლიო და შესაბამისად ომი გახდებოდა უსარგებლო.

უილსონის და ანჯელის მოსაზრებები ეყრდნობა აზრს, რომ ადამიანები არიან რაციონალურები, და თუკი ისინი გონებით მიუდგებიან საერთაშორისო ურთიერთობებს მაშინ შექმნიან ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ყველას სიკეთეს მოუტანს.

ლიბერალური იდეების გავრცელების ერთ-ერთი ტრიუმფი იყო სახელმწიფოებს შორის 1928 წელს დადებული **კელოგ-ბრიანის პაქტი**, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები უარს აცხადებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ირჩევდნენ. მაგრამ, ისტორიამ ნათელჰყო ლიბერალური იდეოლოგიის კრაზი. ნაციზმის აღზევებასთან ერთად – იტალია, ესპანეთი, გერმანია, აღმოსავლეთ

ევროპა გახდნენ ავტორიტარულნი, დემოკრატიულის მაგივრად. ამასთან ერთად ყველაზე დიდი კრახი განიცადა ერთა ლიგამ. იგი ჩავარდა ხუთ უმნიშვნელოვანეს შემთხვევაში (იაპონია-მანჯურია, იტალია აბისინია, ბოლივია-პარაგვაი, ესპანეთის სამოქალაქო ომი და სსრკ-ფინეთი).

ამასთან ერთად, ანჯელის მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ მსოფლიო ხდება სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული და ომი ხდება არამიმზიდველი ინსტრუმენტი, არ გამართლდა: ვაჭრობა საგრძნობლად შემცირდა და ინდუსტრიული განვითარება შენელდა იმდენად, რომ იგი გახდა მხოლოდ მესამედი იმისა, რაც იყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

შესაბამისად, ისტორიის მსვლელობამ აჩვენა, რომ ძალა კვლავაც იყო უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ურთიერთობებში და რომ თანამშრომლობამ და კოლექტიურმა უსაფრთხოებამ, ერთა ლიგის სახით, ვერ გაამართლა (თუმცა, ერთა ლიგამ დიდ წარმატებას მიაღწია სხვა საკითხებში – პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილები, ნარკოტიკების შეკავება, ტრეფიკინგი და ასე შემდეგ).

პირველი დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში: რეალიზმის აღმოცენება – “ოცნლიანი კრიზისი”¹

ლიბერალური იდეალიზმი არ იყო საერთაშორისო ურთიერთობების კარგი ინტელექტუალური მეგზური 1930-იან წლებში. ურთიერთდამოკიდებულებამ არ წარმოშვა მშვიდობიანი თანამშრომლობა და ერთა ლიგაც წინ ვერ აღუდგა ტოტალიტარული და ექსპანსიონისტური ქვეყნების დესტრუქციულ ქმედებებს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ხელახლა გაჟღერდა კლასიკური რეალისტების: თუკიდიდეს, მაკიაველის და ჰობსის მოძღვრებები.

ლიბერალური იდეალიზმის ყველაზე ყოვლისმომცველი კრიტიკა მოგვცა ბრიტანელმა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა ედუარდ ქარმა, თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში *“ოცნლიანი კრიზისი”*, რომელიც პირველად 1939 წელს გამოიცა. ქარის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალურმა მოაზროვნეებმა არასწორად წაიკითხეს ისტორიული ფაქტები და ვერ გაუგეს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებას. მათ შეცდომით სწამდათ, რომ ასეთი ურთიერთობები შეიძლებოდა დაფუძნებოდა ქვეყნებს და ხალხებს შორის ინტერესების ჰარმონიულობას. ქარის თქმით ყველაფერი პირიქითაა: ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს ფუნდამენტური ინტერესთა კონფლიქტი ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ზოგიერთი ქვეყანა და ზოგიერთი ერები უკეთ არიან, ვიდრე სხვები. ისინი შეეცდებიან თავიანთი პრივილეგირებული პოზიციის შენარჩუნებას და დაცვას. უქონლები კი იბრძობენ სიტუაციის შესაცვლელად. საერთაშორისო ურთიერთობები, მარტივად რომ ითქვას, არის სწორედ ბრძოლა ასეთ კონფლიქტურ ინტერესებსა და სურვილებს შორის. სწორედ ამ მიზეზით

¹ Robert Jackson and Georg Sorensen. *Introduction to International Relations: theories and approaches*, Oxford University Press, second edition, 2003, p. 34-63.

შეეხება საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მეტად კონფლიქტებს, ვიდრე თანამშრომლობას.²

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც გავლენა მოახდინა რეალიზმის აღზევებაზე, არის ჰანს მორგენტაუს *ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის*, (1948 წელი) რომელმაც, ალექსანდრე რონდელის თქმით, დიდი ხნით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ინტერესები და მთელი ამ დარგის შემდგომი განვითარების ხასიათი.

მორგენტაუსთვის ადამიანური ბუნება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე დაბალ, ფუნდამენტურ დონეს. ადამიანები კი არიან ეგოისტები და ელტვიან ძალაუფლებას, რაც ადვილად ხდება აგრესიის საფუძველი. 1930-იან წლებში ძნელი არ იქნებოდა ამ მოსაზრებების ზურგის გამამაგრებელი არგუმენტების მოძიება, რადგან ჰიტლერის, მუსოლინის თუ იაპონიის საგარეო პოლიტიკა სწორედ კონფლიქტებზე იყო აგებული და არა თანამშრომლობაზე.

ჯექსონი და სორენსენი ამბობენ: არის 3 ძირითადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ ვარაუდობენ რეალისტები, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის აუცილებლად ეგოიზმით და აგრესიულობით გაყენებული. პირველი მოსაზრება ეფუძნება ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ბნელ მხარეს და მის ლტოლვას სიძულვილისა და დესტრუქციისკენ. იგივე მოსაზრება შეიძლება ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებითაც მივიღოთ, რომლის მიხედვით ადამიანები არიან ცოდვილნი და მიდრეკილნი ცდუნებისაკენ, მას შემდეგ რაც ადამი და ევა გამოგდებულ იქნენ სამოთხიდან. პირველი მკვლევლობაც ისტორიაში ბიბლიაშია აღწერილი, როგორც კაენის მიერ მისი ძმის აბელის მოკვლა, მხოლოდ და მხოლოდ შურის საფუძველზე. ანუ, რეალიზმის საწყისი წერტილი არის ის, რომ ადამიანური ბუნება არის თანდაყოლილად, ბუნებრივად ბოროტი.³

მეორე მოსაზრება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს მსოფლიო მთავრობა. ხოლო მესამე მნიშვნელოვანი მოსაზრება ისაა, რომ ისტორია არის ციკლური და არა ხარისხობრივად გაუმჯობესებადი ფენომენი, როგორც ამას იდეალისტები აღიქვამენ. თითოეული ახალი თაობა უშვებს იგივე შეცდომებს, რასაც მისი წინამორბედი და ამ გარემოების ცვლილება ნაკლებ სავარაუდოა. მოვლენები გრძელდება და მეორდება. სანამ არსებობს სუვერენული სახელმწიფოები სახელმწიფოები იბრძობენ ძალაუფლებისათვის, რათა უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება. პირველი და მეორე მსოფლიო ომები არც არაბუნებრივია და არც გარდაუვალი. თუ არსებობს ძალთა ბალანსი ქვეყნებს ასევე შეუძლიათ დიდი ხანი მშვიდობიანად თანაცხოვრება. მაგრამ, ამა თუ იმ ეტაპზე ეს ძალთა ბალანსი ირღვევა, რასაც მოჰყვება ომები. ბევრი რეალიზმის წარმომადგენელი თვლის, რომ უკვე პარიზის 1919 წლის სამშვიდობო კონფერენცია მოიცავდა ომის მარცვლებს, რადგან გერმანიაზე კაბალური პირობები იქნა დაწესებული. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ გერმანიის შიგნით

² იხილეთ, ზურაბ დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია. სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004, გვ. 9-18.

³ Jackson and Sorensen, p. 34-63.

განვითარებულმა და კიდევ სხვა მრავალმა მოვლენებმა ერთობლივად განაპირობეს მეორე მსოფლიო ომი.

მაშასადამე, 1920-იანი წლების უტოპიური იდეალიზმის და 30-50-იანი წლების რეალიზმის დაპირისპირება ქმნიან პირველ დიდ დებატებს საერთაშორისო ურთიერთობებში. რალა თქმა უნდა, რეალიზმის სკოლამ ეს ეს დებატები მოიგო დიდი უპირატესობით და მორგენტაუს და ქარის თეზისები გახდა გაბატონებული მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში. ბევრმა ლიბერალური სკოლის მესვეურმა აღიარა რეალიზმის გამარჯვება, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც ერთ-ერთი სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში არ ჩამკვდარა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა შემდეგში შექმნეს კიდევაც ძლიერი კონტრ არგუმენტები უკვე გაბატონებული რეალიზმის წინააღმდეგ, რაც განხილული იქნება შემდეგ თავებში.

მეორე დებატები: ბიჰევიორალისტური რევოლუცია

მეორე დიდი დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში ეხება უფრო მეთოდოლოგიას, ვიდრე თავად თეორიებს. აქ მნიშვნელოვანია გავითავისოთ ის ფაქტი, რომ პირველი თაობის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები პროფესიით იყვნენ ისტორიკოსები, იურისტები, ყოფილი დიპლომატები, ან ჟურნალისტები. შესაბამისად, მათ ჰქონდათ უფრო ჰუმანიტარული, ისტორიაზე დაფუძნებული მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი. ეს მიდგომა კი ფესვგადგმული იყო ფილოსოფიაში, ისტორიაში და სამართალში და ახასიათებდა აზროვნებაზე და ანალიზზე (judgement) დაყრდნობა. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ამ ნორმატიულ ფორმას ეწოდა ტრადიციული/კლასიკური მიდგომა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა გახდა ძალიან პოპულარული, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სამთავრობო დაწესებულებები და კერძო ფონდები აფინანსებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლას, რასაც ისინი ამართლებდნენ ამერიკის ეროვნული ინტერესებით. ამ დახმარებამ წარმოშვა ახალი თაობა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისა, რომლებმაც შემოიღეს მკვეთრად მეთოდოლოგიური მიდგომა. ამ სპეციალისტებსაც განსხვავებული განათლება გააჩნდათ, ვიდრე ტრადიციონალისტებს. ისინი იყვნენ პოლიტოლოგები, ეკონომისტები ან სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები, და ზოგ შემთხვევებში, მათემატიკოსები და საბუნებისმეტყველო დისციპლინების წარმომადგენლებიც. ამ სპეციალისტებს ჰქონდათ სხვაგვარი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი, და მათ ეწოდებოდა ბიჰევიორალისტები, რადგან ემხრობოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლას, ამ ტერმინის პირდაპირი გაგებით. ბიჰევიორალისტების ამბიციია იყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებშიც აღმოეჩინათ შემომხედადი და ობიექტური კანონზომიერებები, როგორც ეს ხდება სხვა მეცნიერებებში. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ფაქტების შეგროვებას, კლასიფიკაციას, განზოგადებას და წამოყენებულ ჰიპოთეზის დამტკიცებას.

შესაბამისად, დაპირისპირება ორ მიდგომას შორის მოხდა მეთოდოლოგიის საფუძველზე. ტრადიციონალისტები ეყრდნობოდნენ ნორმებს და ფასეულობებს, ანალიზს და ისტორიულ ცოდნას და ცდილობდნენ წარმოედგინათ თავი შესასწავლი საგნის ადგილზე - მეცნიერი საგნის შიგნით. ამის საპირისპიროდ, ბიჰევიორალისტები აყენებენ ჰიპოთეზას, აგროვებენ ფაქტებს, ეყრდნობიან მეცნიერულ ცოდნას და საგანს შეისწავლიან გარედან, დაკვირვებების მეშვეობით - მეცნიერი საგნის გარეთ.

მესამე დებატები: ნეოლიბერალიზმი და ნეორეალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დიდი დებატები რეალისტებმა მოიგეს აბსოლიტური უპირატესობით, ლიბერალური სკოლა არ ჩამკვდარა. 1950-იანი წლებიდან ეკონომიკის და ვაჭრობის ზრდასთან ერთად თავი წამოყო ლიბერალიზმმაც. აქ მცდელობა იყო რომ შექმნილიყო გაბატონებული რეალიზმის ალტერნატიული თეორიები, მაგრამ ამასთანავე ჩამოეცილებინათ მანამდე არსებული ჭარბი იდეალიზმი. მაშასადამე, ამ ლიბერალური სკოლის წარმომადგენლებს ეწოდებოდათ ნეოლიბერალისტები, რადგან მათაც, როგორც მათ წინამორბედებს სჯერათ პროგრესის და ცვლილებების, მაგრამ არ არიან იდეალისტები. ისინი ასევე ქმნიან თეორიებს მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

მსოფლიოში და განსაკუთრებით დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის და ეკონომიკური აქტივობის ზრდამ წარმოშვა ბევრი ლიბერალი თეორია, რომელიც ყურადღებას აქცევდა ამ მოვლენებს და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოში არის თანამშრომლობა და რომ რეალისტების მიერ ნაწინასწარმეტყველები ბნელი მომავალი არ მთავრდება კაცობრიობის განვითარება. ისეთმა თეორიებმა, როგორიცაა სოციოლოგიური ლიბერალიზმი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, ინსტიტუციური ლიბერალიზმი და დემოკრატიული, ანუ რესპუბლიკური იდეალიზმი ყურადღება მიაქცია თანამშრომლობის და მშვიდობის ფორმებს მსოფლიოში და განავითარა მძლავრი თეორიები ემპირიულ მაგალითებზე დაყრდნობით. ამ თეორიებმა, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული, მთლიანობაში შექმნა ახალი მძლავრი ტალღა ნეორეალიზმის წინააღმდეგ. მათი ამოსავალი წერტილი არის რწმენა იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება იყოს უფრო მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე აგებული. თუმცა, 80-იანი წლების დასაწყისში, კენეტ უოლცის მიერ რეალიზმის რეფორმულაციის შედეგად ბალანსი კიდევ ერთხელ გადაიწია რეალიზმის სასარგებლოდ. ამას ასევე ხელს უწყობდა ისტორიული მოვლენები, კერძოდ კი, მწვავე დაპირისპირებები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც თავისდათავად განაპირობა დებატების განგრძობადობა.

ნეორეალისტებმა კვლავაც შეძლეს ნეოლიბერალისტების თავდაცვით პოზიციაში გადაყვანა და თავად კვლავ გაბატონებული პოზიცია დაიკავეს. ნეორეალისტების სიძლიერე ის იყო, რომ მათ აღიარეს რომ აწარქია არ გამორიცხავს თანამშრომლობას, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც რეალიზმზე დაფუძნებით ახსნეს. მაგალითად, რეალისტები აღარ გამორიცხავენ თანამშრომლობას დემოკრატიულ

სახელმწიფოებს შორის, მაგრამ აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობის დროს სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობენ ფარდობით მოგებაზე და ავტონომიის შენარჩუნებაზე. ისტორიულმა ფაქტებმაც ხელი შეუწყო ნეორეალიზმის კვლავ მოძლიერებას: 80-იან წლებში დაპირისპირებამ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის პიკს მიაღწია. რეიგანმა საბჭოთა კავშირს "ბოროტი იმპერია" კი უწოდა, და ამ მტრულ გარემოში შეიარაღებაში შეჯიბრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. უთანხმოებები იყო ასევე დემოკრატიულ ბანაკში, სადაც, რა თქმა უნდა, ომი გამორიცხული იყო, მაგრამ სავაჭრო ომები ხშირად იმართებოდა. ამერიკა სულ უფრო გრძნობდა მზარდ კონკურენციას როგორც იაპონიის, ასევე ევროპის მხრიდან, რაც მწვავე სავაჭრო და სხვა ტიპის კონფლიქტების საფუძველი ხდებოდა. ეს კი წყალს ასხამდა ნეორეალისტების წისქვილზე, რომლებიც ამტკიცებდნენ რომ სახელმწიფოები არიან ეგოისტურები და რომ მათ ადარდებთ მხოლოდ საკუთარი ფარდობითი სიძლიერე და კეთილდღეობა სხვებთან შედარებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1980-იან წლებში ბევრმა ნეოლიბერალმა აღიარა რეალიზმის ძირითადი მცნებები და გაიზიარა ამ თეორიის ფუნდამენტური მოსაზრებები იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები ანარქიულ საზოგადოებაში, რომლებიც მუდმივად ცდილობენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ნეოლიბერალისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა იძლევა უფრო საფუძვლიანი თანამშრომლობის საშუალებას, ვიდრე ამას რეალისტები აღიარებენ და, რომ თანამშრომლობას ხელს უწყობს ინსტიტუტები, ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დებატების დროს მოხდა გარკვეული სინთეზი სკოლებს შორის, (მაგალითად, ბუზანმა და კიოჰეინმა გაითავისეს რეალიზმის ზოგიერთი ელემენტი), მთლიანი სინთეზი მაინც არ მომხდარა, რადგან არიან მკვეთრად დაპირისპირებული ავტორებიც, მაგალითად, მირშაიმერი (რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი) და რუზენაუ (ნეოლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენელი). შესაბამისად, ნეო-ნეო დებატები კვლავ გრძელდება.

საერთაშორისო საზოგადოება: ინგლისური სკოლა

ჩანასახიდანვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა დომინირებული იყო ამერიკელ მკვლევართა მიერ. სტენლი ჰოფმანმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, "საერთაშორისო ურთიერთობები დაიბადა და გაიზარდა ამერიკაში"⁴ მან ასევე აღნიშნა, რომ ამერიკული სკოლა დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობებს იმის მიუხედავად, რომ ამერიკული ჰეგემონია სუსტდებოდა. 1990-იანი წლებიდან, ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ამერიკული დომინანტობა ამ დისციპლინაში შერბილდა და მოძლიერდნენ ევროპელი და სხვა მკვლევარები, რომლებიც უკვე ნაკლებად ეგუებოდნენ ამერიკელი ავტორებისგან წამოსულ დიქტატს.

დიდ ბრიტანეთში მთელი ცივი ომის განმავლობაში არსებობდა სკოლა, რომელიც განსხვავებული იყო სხვა სკოლებისგან ორი გარემოებით: პირველი, ეს

⁴ Stanley Hoffmann, 1977, 41-59

სკოლა არ აღიარებდა ბიჰევიორალისტურ გამოწვევას და ხაზს უსვამდა ტრადიციულ მიდგომას და მეორე, ის უარყოფდა რაიმე მკვეთრ განსხვავებას მკაცრად რეალიზმისეულ მსოფლიო პოლიტიკის ხედვასა და მკაცრად ლიბერალურ ხედვას შორის. ამ სკოლას უწოდებენ **საერთაშორისო საზოგადოებას ან ინგლისურ სკოლას**.

ეს სკოლა საფუძველშივე აღიარებს ძალის მნიშვნელობას და სახელმწიფოთა სისტემას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ჰობსისეული ხედვა ძალიან ვიწროა. სახელმწიფოს განიხილავს როგორც კონსტიტუციის და ძალის ერთობას. აღიარებს ინდივიდების მნიშვნელობას, ზოგჯერ სახელმწიფოზე წინააღმდეგობას. ხაზს უსვამს ტრანსნაციონალურ ურთიერთობებს. უარყოფს ბიჰევიორალისტულ მიდგომას, უპირატესობას ანიჭებს ადამიანურ ელემენტს, ანალიზს, ნორმებს და ისტორიას. უარყოფს მკაცრ დაყოფას რეალისტურ, თუ ლიბერალურ ხედვებს შორის. ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო პოლიტიკა არის სახელმწიფოთა მსოფლიო, მაგრამ ამავე დროს ადამიანების მსოფლიო.

საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა გარკვეულწილად არის პირველი დებატების გაგრძელება და მეორე დებატების ტრიუმფის შერბილება. იგი ეფუძნება კლასიკურ იდეებს, მაგრამ ამავე დროს აგრძელებს მათ. უარყოფს მკვეთრ დაყოფას რეალიზმს და ლიბერალიზმს შორის იმ მოტივით, რომ ისტორიული სამყარო არ აკეთებს არჩევანს სიკეთეს და ბოროტებას, ძალას და კანონიერებას შორის. რეალურად არსებობს კონფლიქტი და თანამშრომლობა, არიან სახელმწიფოები და არიან ინდივიდები. შესაბამისად, არ შეიძლება მათი აბსტრაგირება და ერთ რომელიმე თეორიაში მოქცევა. ამ სკოლის ყველაზე თვლასაჩინო წარმომადგენლები არიან მარტინ უაიტი და ჰედლი ბული.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა

აქამდე არსებული დებატები მხოლოდ პოლიტიკას შეეხებოდა. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა კი ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს. იგი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სიმდიდრეზე და საერთაშორისო სიღარიბეზე. ანუ, ვინ იღებს რას და რამდენს. მაშასადამე, პოლიტიკური ეკონომიკა წარმოადგენს მესამე დებატების შემადგენელ ნაწილს და იგი მოიცავს ნეო-მარქსისტულ კრიტიკას კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკისა და ამავდროულად ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის და რეალისტური პოლიტიკური ეკონომიკის მოსაზრებებს ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ურთიერთქმედებაზე საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში.

ნეომარქსიზმი, ეს არის მცდელობა, რომ მესამე სამყაროს სიტუაცია განხილული იქნეს იმ მექანიზმების გამოყენებით, რაც პირველად კარლ მარქსმა დაამკვიდრა. თუ მარქსის მიხედვით, ბურჟუაზია იყენებს ეკონომიკურ ინსტრუმენტებს, რათა დაჩაგროს მუშათა კლასი, *ნეომარქსიზმი* იგივეს ანზოგადებს ჩრდილოეთსა და სამხრეთზე. **დამოკიდებულების თეორია** არის მარქსიზმის ცენტრალური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთი იმონებს სამხრეთს. სამხრეთი ღარიბია არა იმიტომ, რომ ჩამორჩენილია, არამედ იმიტომ, რომ ჩრდილოეთი მას უწევს ექსპლუატაციას.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ლიბერალური ხედვა სრულიად განსხვავდება ზემოთ მოცემულისგან. ამ სკოლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ადამიანური კეთილდღეობა მიიღწევა გლობალური თავისუფალი ბაზრის ექსპანსიით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების გავლით და ამ საზღვრების მნიშვნელობის შესუსტებით. ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის ხედვის მიმდევრები იზიარებენ ადამ სმიტის თეორიას ბაზრის საყოველთაო სარგებ-ლიანობის შესახებ და ამბობენ, რომ ვაჭრობა კარგია ყველასთვის. ანუ, ეს ხედვა თავისუფალ ვაჭრობას განიხილავს, როგორც პროგრესის მექანიზმს და არა ექსპლუატაციის მექანიზმს.

რეალიზმის გადასახედიდან ეს ყოველივე უფრო სხვაგვარად აღიქმება. რეალიზმის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობა უნდა იყოს სახელმწიფოს გაძ-ლიერების მექანიზმი და უნდა ემსახუროს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, სიმდიდრე უნდა ემსახუროს და კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მიერ. ამ დოქტრინას მერკანტილიზმი ან ეკონომიკური ნაციონალიზმი ეწოდება. რეალიზმი დაფუძნებული პოლიტიკური ეკონომიკა ასევე ღაღადებს, რომ თავი-სუფალი, ლიბერალური ვაჭრობა შეუძლებელი იქნებოდა ჰეგემონის გარეშე. ჰეგემონური თეორიის ერთ-ერთი აპოლოგეტია რობერტ გილპინი. ამ ხედვის მიხედვით, მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკური სისტემა იყო მტკიცე და სტაბილური, რადგან პირველი მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული ამერიკა იყო ჰეგემონი, მაგრამ 1970-იანი წლებიდან მისი ჰეგემონური ძლიერება შესუსტდა, რადგან მას კონკურენციას უწევენ იაპონია და ევროპა. ამ ხედვის მიხედვით, ამერიკის ლიდერობის შესუსტებასთან ერთად მსოფლიო ლიბერალური წესრიგიც შესუსტდა, რადგან სხვა არც-ერთ სახელმწიფოს არ შესწევს საკამარისი ძალა, რომ გლობალური ჰეგემონის როლი შეასრულოს.

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დებატებმა გზა მისცა სამი მნიშვნელოვანი სა-კითხის განხილვას. პირველი საკითხი ეხება ეკონომიკურ გლობალიზაციას, მეორე იმას, თუ ვინ იგებს და ვინ აგებს ამ გლობალიზაციის პროცესში და მესამე, რა უფრო მნიშვნელოვანია: პოლიტიკა, თუ ეკონომიკა.

მეოთხე დებატები: პოსტ პოზიტივისტური/ალტერნატიული მიდგომები

აქამდე განხილული დებატები ეხებოდა უკვე დამკვიდრებულ თეორიულ ტრადიციებს: რეალიზმს, ლიბერალიზმს, საერთაშორისო საზოგადოებას, და საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას. ამჟამად ადგილი აქვს მეოთხე დება-ტებს საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მოიცავს დამკვიდრებულ ტრადიციების კრიტიკას ალტერნატიული მიდგომების საშუალებით, რომლებსაც ზოგჯერ პოსტ პოზიტივისტებსაც უწოდებენ.

ამ თეორიებმა (კრიტიკული თეორია, ისტორიული სოციოლოგია, ფემინიზმი, კონსტრუქტივიზმი) წინ წამოსწიეს მეთოდოლოგიური საკითხები, ანუ როგორ უნდა ვისწავლოთ საერთაშორისო ურთიერთობები და ასევე ისეთი ძირეული საკითხები, რომლებიც შეეხება თვითონ დისციპლინის ფოკუსს, ანუ რა უნდა ის-წავლოს საერთაშორისო ურთიერთობებმა, რა უფრო მნიშვნელოვანია და რა არა.

რომელი თეორიაა მისაღები?

ზემოთ წარმოდგენილი თეორიების სიჭარბე და მრავალფეროვნება საჭიროებს იმის გარკვევას, თუ რომელი თეორიაა უფრო მისაღები და სანდო და რომელი არა. როგორც ჯექსონი და სორენსენი ამბობენ, თეორია პირველ რიგში უნდა იყოს შეკრული და თანმიმდევრული. მას არ უნდა ჰქონდეს შინაგანი დაპირისპირებები. ამასთანავე, იგი უნდა იყოს *ნათელი*: გადმოსცემდეს აზრს გასაგებად. თეორია უნდა ცდილობდეს იყოს *მიუკერძოებელი* – თუმცა მთლიანად მიუკერძოებელი თეორია ვერ იქნება. თეორიას უნდა ჰქონდეს ფართო *ფოკუსი*. ანუ, იგი უნდა ეხებოდეს მნიშვნელოვანი საკითხების ფართო არეალს და ამასთანავე უნდა იგრძნობოდეს *სიღრმე*, რაც იმას ნიშნავს, რომ თეორია თავის შესწავლის საგანზე უნდა ხსნიდეს, რაც შეიძლება ბევრ რამეს.

ლექცია II

თეორიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

თეორიის როლს და საჭიროებას საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად ეჭვის ქვეშ აყენებენ, განსაკუთრებით პრაქტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები. მიუხედავად ამისა, თეორიას აქვს თავისი ადგილი და დატვირთვა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების შესწავლის და განჭვრიტვის საქმეში. თეორიის არსებობის აუცილებლობაზე და მნიშვნელობაზე ბევრი ნაშრომებია დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად მარტივი და ამავდროულად დამაჯერებელი ენით გადმოსცემს თეორიის საჭიროებას და მოხმარებას საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს არის ჩიკაგოს უნივერსიტეტის საყოველთაოდ სახელგანთქმული პოლიტიკური მეცნიერის, სტივენ ვოლტის სტატია “საერთაშორისო ურთიერთობები: ერთი მსოფლიო, ბევრი თეორია”,⁵ რომელიც 1998 წელს დაიბეჭდა აკადემიურ ჟურნალ *საგარეო პოლიტიკაში*.

ვოლტი ამბობს, რომ “არსებობს გარდაუვალი კავშირი აბსტრაქტულ სამყაროსა და პოლიტიკის რეალურ სამყაროს შორის. ჩვენ გვჭირდება თეორია იმისათვის, რომ აზრი გამოვიტანოთ იმ საინფორმაციო ქარბუქისაგან, რომელიც ყოველდღიურად თავს გვატყდება.”⁶ ანუ, იდეა შემდგომში მდგომარეობს: რომ გავერკვეთ იმ ზღვა ფაქტობრივ მასალაში, რომელსაც ყოველდღე ვღებულობთ საჭიროა გამარტივებული მოდელების ქონა. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თეორია არის საშუალება სირთულეების გამოსარკვევად.⁷ უოლცი ამბობს, რომ: “ადამიანის (ან სახელმწიფოების) მოტივაციების განსაჭვრეტად სამყარო საგრძნობლად უნდა გავამარტივოთ, ნიუანსები უხეშად გვერდზე გადავდოთ და რეალობა საგრძნობლად დავამახინჯოთ. *აღწერას* აქვს მიდრეკილება აკურატულობისკენ/სიზუსტისკენ, *მოსაზრებები* კი არის მდაბიურად ყალბი.”⁸ მოსაზრებები, რომლებზეც თეორიებია აგებული სამყაროს რადიკალურად ამარტივებენ, მაგრამ ისინი სასარგებლოა მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ასეთები არიან.⁹

ჩვენ ყველა ასე თუ ისე რაღაც თეორიით ვხელმძღვანელობთ, თუმცა შეიძლება ამის შესახებ არც კი ვიცოდეთ, ან ვერ ვაცნობიერებდეთ ამას. ვოლტი ამბობს, რომ ის პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც “ვერ იტანენ” თეორიას ეყრდნობიან თავიანთ საკუთარ თეორიას (ხშირად გაუმხელელს) იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მსოფლიო.”¹⁰ ამასთანავე, ვოლტი იქვე აღნიშნავს იმ აუცილებელ კავშირს, რომელიც უნდა არსებობდეს თეორიის შემქმნელსა (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს სოციალურ თეორიებზე და არა ზუსტ საბუნებისმეტყველო თეორიებზე) და რეალურ სამყაროს შორის. “ძნელია გაატარო კარგი პოლიტიკა თუ შენი მაორგანიზებელი პრინციპი არის უვარგისი, ისევე როგორც ძნელია კონსტრუირება გაუკეთო კარგ თეორიას თუ კარგად არ იცნობ რეალურ სამყაროს.”¹¹

თეორიის ზუსტ და მრავლისმთქმელ განმარტებას გვათავაზობს კიდევ ერთი ტიტანი საერთაშორისო პოლიტიკისა, კენეტ უოლცი. მისი თქმით, “თეორია არის ხრიკი. თეორია არის ინტელექტუალური კონსტრუქცია, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვარჩევთ ფაქტებს და ვხსნით მათ. მთავარი ისაა, რომ ისე დავუკავშიროთ თეორია ფაქტებს, რომ მოგვეცეს ახსნის და მომავლის განჭვრეტის საშუალება. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა განვასხვავებთ თეორიას და ფაქტებს. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გამოვიყენოთ

⁵ Stephen M. Walt, “International Relations: One World, Many Theories,” *Foreign Policy*, Spring 1998, pp. 29-45.

⁶ იქვე, ... p. 29

⁷ Kenneth N. Waltz, “Realist Thought and Neorealist Theory,” *Journal of International Affairs*, Vol. 44, Spring 1990, pp. 21-37.

⁸ იქვე, ..., p. 27

⁹ იქვე, ..., p.27

¹⁰ Walt. “International Relations: One World...” p. 29

¹¹ იქვე, ..., p. 29

თეორია ფაქტების ასახსნელად, თუ მათ შორის განსხვავება ნათელია.”¹²

თეორიის როლის შესახებ საერთაშორისო თეორიებში ორი მთავარი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. პირველი ის, რომ არ არსებობს უნივერსალური თეორია, რომელიც ყველა პოლიტიკურ მოვლენას ერთნაირი სიზუსტით ახსნის. არის რაღაც მოვლენები, რომლებსაც ესა თუ ის თეორია ხსნის უფრო უკეთ ვიდრე სხვა რომელიმე თეორია, მაგრამ სხვა მოვლენების ახსნაში ეს თეორია უფრო მოიკოჭლებს, ან საერთოდაც ვერ ხსნის. უოლცისავე თქმით, “ნებისმიერი თეორია ტოვებს რაღაცას აუხსნელს”.¹³ სოციალურ მეცნიერებებში და განსაკუთრებით პოლიტიკურ მეცნიერებებში ის თეორიები ფასობს, რომლებიც ყველაზე მეტ მოვლენას ხსნის და ამავე დროს არის მარტივი თეორია. ასეთ თეორიებს სოციალურ მეცნიერებებში **პარსიმონიული** ეწოდებათ. მაგალითად, დემოკრატიული მშვიდობის თეორია, ანუ ის, რომ დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთს არ ებრძვიან უმარტივესი და მოკლე თეორიაა, მაგრამ ფაქტობრივად ხსნის ძალიან ბევრ მოვლენას. სხვადასხვა თეორიები პარსიმონიულობის სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევა.

მეორე გარემოება, რომელზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება ის არის, რომ შეიძლება სხვადასხვა თეორიებმა ერთი და იგივე მოვლენა ახსნან სხვადასხვაგვარად და მოვლენის სრულიად განსხვავებული ანალიზი შემოგვთავაზონ.

მაგალითად, როდესაც ცივი ომის დასასრულის შემდეგ ნატოს იდენტიურობას საფრთხე შეექმნა და პოლიტიკოსები და გადაწყვეტილების მიმღებნი დადგნენ არჩევანის წინაშე, ალიანსი დაეშალათ თუ მოეხდინათ მისი მოდიფიკაცია ახალი რეალიების მიხედვით. როდესაც 1990-91 წლებში ნათელი გახდა, რომ ალიანსი ტრანსფორმაციის გზას დაადგა, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინეს ფარგლებში ეს პროცესი სხვადასხვაგვარად იქნა ახსნილი და მომავლის პროგნოზებიც თეორიიდან თეორიამდე იყო სხვადასხვანაირი. მაგალითად, **რეალისტების** თვალსაზრისით, ნატოს გაფართოება იყო დასავლეთის ძალისხმევა გაეზარდა თავისი გავლენის სფერო ტრადიციული გავლენის სფეროების მიღმა მაშინ, როდესაც რუსეთი იყო სუსტი. რეალიზმის მიმდევრები ამბობდნენ, რომ ეს ქმედება აუცილებლად გამოიწვევდა მწვავე რეაქციას მოსკოვის მხრიდან. **ლიბერალური** პერსპექტივიდან ნატოს გაფართოება იყო და არის სტაბილურობის სფეროს გაფართოების ინსტრუმენტი, რომელიც გააძლიერებს ახლად-გამოჩენილ დემოკრატიებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და ამავედროულად ნატოს კონფლიქტების მენეჯმენტის მექანიზმს ხელმისაწვდომს გახდის ამ არასტაბილური რეგიონისათვის. მესამე მოსაზრება, რომელსაც ძირითადად **კონსტრუქტივისტები** იზიარებენ არის ის, რომ ნატო ფართოვდება იმდენად რამდენადაც ახლად გათავისუფლებულმა სახელმწიფოებმა აითვისეს და გაითავისეს ის ფასეულობები და პრინციპები, რომელსაც იზიარებენ ნატოში შემავალი წევრი სახელმწიფოები და შესაბამისად, ისინი ერთიანდებიან ერთგვაროვნად მოაზროვნე ქვეყნების კლუბში. ამავედროულად, ვინც უფრო მალე გაიზიარებს ევროატლანტიკურ ფასეულობებს, რომლებსაც ეფუძნება ნატო, მით უფრო მალე გახდება ის სახელმწიფო ნატოს წევრი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი დამატებელი მოვლენას სამი სხვადასხვა თეორია ხსნის სხვადასხვაგვარად. ამავედროულად, არც ერთი ახსნაგანმარტება არ არის მოკლებული ლოგიკურ აზრს. დასკვნა აქ მხოლოდ ერთია: არც ერთ თეორიას არ შეუძლია თანამედროვე მოვლენების სირთულეების სრულად ახსნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ესათუ ის თეორია უნდა უარყვოდ. პირიქით, ჩვენ უფრო მეტი რამის ახსნის საშუალება გვეძლევა როცა გვაქვს მრავალი სხვადასხვა თეორია ვიდრე მაშინ, როდესაც გვექნებოდა მხოლოდ ერთი უნივერსალური თეორია. ამ გარემოების შესახებ ვოლტი აღნიშნავს, რომ “კონკურენცია თეორიებს შორის წარმოაჩენს მათ ძლიერებას და

¹² Waltz, “Realist Thought . . .,” p. 24

¹³ იქვე, ..., p. 34

სისუსტეს, წარმოშობს სიახლეებს და ამავდროულად ამჟღავნებს ხარვეზებს უკვე კარგად დამკვიდრებულ სიბრძნეში.”¹⁴

ზემოთ ნახსენებ სტატიაშივე ვოლტი გვთავაზობს თეორიებს და მათ მოკლე აღწერას დალაგებულს სქემატურად უკეთ აღქმისათვის, რაც ამ სამი თანამედროვე და ძირითადი თეორიის (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტრუქტივიზმი) სისუსტეების და სიძლიერის შეფასების საშუალებას იძლევა.

მთავარი თეორიები და მათი ძირითადი პრინციპები

| კონკრეტული პარადიგმები | რეალიზმი | ლიბერალიზმი | კონსტრუქტივიზმი |
|-------------------------------|---|--|---|
| ძირითადი თეორიული პრინციპები | ეგოისტი სახელმწიფო მუდმივად იბრძვის ძალისა და უსაფრთხოებისათვის | ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებები უფრო მალე დგანან ვიდრე ლტოლვა ძალისა ძლიერებისაკენ | სახელმწიფოს ქცევა განისაზღვრება ელიტური ნაწილის რწმენების, კოლექტიური ნორმების და სოციალური იდენტურობის საფუძველზე. |
| ანალიზის მთავარი ელემენტები | სახელმწიფოები | სახელმწიფოები | ინდივიდები (განსაკუთრებით ელიტის წარმომადგენლები) |
| ძირითადი ინსტრუმენტები | ეკონომიკური და განსაკუთრებით სამხედრო ძალა | სხვადასხვა (მაგ., საერთ. ინსტიტუტები, ეკ. თანამშრომლობა, დემოკრატიის ხელშეწყობა) | იდეები და დიალოგი |
| თვალსაჩინო წარმომადგენლები | ჟოლცი, მირშაიმერი | კოჰენი, ფუკუიამა | ვენდტი |
| პოსტ ცივი ომისეული პროგნოზები | ახალი/ფარული კონკურენცია დიდ სახელმწიფოებს შორის | გაზრდილი თანამშრომლობა ლიბერალური ფასეულობების, თავისუფალი ბაზრების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის ზრდის გავრცელების ფონზე | არ შეუძლია იდეების წინასწარ განსაზღვრა ეს თეორია არის აგნოსტიკური* |
| მთავარი შეზღუდვები | კარგად ვერ ასახავს ცვლილებებს საერთაშორისო დონეზე | მიდრეკილება აქვს ძალის და ძლიერების როლის უგულვებლყოფისადმი | უფრო ძლიერია წარსულის განსაზღვრა/აღწერაში, ვიდრე მომავლის განჭვრეტაში. ¹⁵ |

*აგნოსტიკა არის იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ობიექტური სამყაროს შეცნობა. ა-უარყოფას ნიშნავს, გნოსოს-ცოდნას.

¹⁴ Walt, “International Relations: One World...” p. 30

¹⁵ იქვე,...., p. 38

ლექცია III კლასიკური რეალიზმი

განასხვავებენ კლასიკურ და თანამედროვე ანუ სტრუქტურულ რეალიზმს, იგივე ნეორეალიზმს. კლასიკური (ტრადიციული) რეალიზმი ბატონობდა მეოცე საუკუნის ბიჰევიორისტულ რევოლუციამდე. კლასიკური რეალიზმი ძირითადად ეყრდნობოდა ისეთ ნორმატიულ ფასეულობებს როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება და სახელმწიფოს თვითგადარჩენა. ამასთანავე, კლასიკური რეალიზმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ამ სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც აღსანიშნავია რომ ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროებში, ძველი საბერძნეთით დაწყებული მეოცე საუკუნით დამთავრებული, თავიანთ პოლიტიკურ ხედვას აფუძნებდნენ ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ბოროტებაზე და მზაკვრობაზე, ეგრეთ წოდებულ ბნელ მხარეზე (dark side of the human nature). კლასიკური რეალიზმის თვალსაზრისით, სწორედ ადამიანის ხასიათის ბნელი მხარე განპირობებს პოლიტიკური რეალობის ხიფათიანობას.

ქვემოთ განვიხილავთ კლასიკური რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლებს და მათ ნაშრომებს, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონიეს რეალიზმის როგორც საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის ჩამოყალიბებაზე.

თუკიდიდე

ძველი საბერძნეთის ისტორიკოსმა თუკიდიდემ თავის ნაშრომში “ისტორია”, რომელიც პელოპონესის ომს ეძღვნება (431-404) აღწერა ომი საბერძნეთის პოლისებს შორის. მან თავის ნაშრომში ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოთა უთანასწორობაზე. ზოგიერთი სახელმწიფო იყო დიდი და ძლიერი, როგორცაა ათენი, სპარტა და სპარსეთის იმპერია, ზოგი პატარა და სუსტი. თუკიდიდე ამ უთანასწორობას განიხილავდა როგორც ბუნებრივს და გარდაუვალს. მისი დასკვნა და გამოსავალი ამ სიტუაციიდან კი იყო ის, რომ ყველა სახელმწიფომ, დიდმა თუ პატარამ, უნდა შეძლოს ადაპტაციის მოხდენა მოცემული რეალობისადმი და მოიქცეს მის შესაბამისად. თუ სახელმწიფოები შეძლებენ ამას ისინი გადარჩებიან, თუ არა ისინი თავიანთ არსებობას ეჭვის ქვეშ დააყენებენ და შეიძლება განადგურდნენ კიდეც.

მისი ფილოსოფია ყველაზე კარგად ჩანს ეპიზოდებიდან, რომელშიც აღწერილია დიალოგი ათენსა და მელოსს შორის. მელოსელების ლიდერებმა მიმართეს სამართლიანობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ძლევამოსილ ათენელებს პატივი უნდა ეცათ მათი დამოუკიდებლობისათვის, შეენარჩუნებინათ მათი რეპუტაცია და უარი ეთქვათ მათ დაპყრობაზე. მის პასუხად ათენელების პირით თუკიდიდე გადმოგვცემს თავის ფილოსოფიას რომელიც ნათლად ასახავს ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ანარქიული, სადაც ცალკეულ სახელმწიფოებს არ აქვთ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ მოიქცნენ ძალისმიერი პოლიტიკის პრინციპების თანახმად. ამასთანავე თვითგადარჩენა არის უპირველესი ფასეულობა, რომელიც პატივსა და რეპუტაზიაზე მაღლა დგას და ომი არის ყოველივეს საბოლოო არბიტრი. ამგვარად, ათენელების პასუხი სუსტი მელოსისადმი არის ის, რომ სამართლიანობა საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული მცნებაა. იგი არ გულისხმობს თანოსწორუფლებიანობას არამედ იმას, თუ რამდენად კარგად იცი საკუთარი კუთვნილი ადგილი და რამდენად შეგიძლია ადაპტაცია მოახდინო სამყაროში რომლის რეალობა არის ძალთა უთანასწორობა. “სამართლის სტანდარტი დამოკიდებულია ძალის თანასწორობაზე... ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი ძალაც შესწევთ და სუსტნი ურიგდებიან

იმას, რასაც უნდა შეურიგდნენ.”¹⁶

ნიკოლო მაკიაველი

რენესანსის დროინდელი იტალიელი მოღვაწე ნიკოლო მაკიაველი ითვლება პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად. მაკიაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფლორენციაში, იმ დროს, როდესაც იტალია დაქუცმაცებული იყო რამოდენიმე მეტოქე ქალაქ სახელმწიფოდ, რომლებსაც ახასიათებდათ არასტაბილურობა და რელიგიური კონფლიქტები. მისი ნიგნი “მთავარი,” (*The Prince*), რომელიც მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, 1532 წელს გამოიცა, წარმოადგენს საკუთარი გამოცდილების და მის მიერ უძველესი ისტორიის შესწავლის ნაყოფს.

მაკიაველი ამ ნაშრომში გვაძლევს რეალიზმის ერთ-ერთ დრომოუჭმელ ნორმას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკის წარმოება, რომელიც გულისხმობს ხალხისადმი პასუხისმგებლობას, არ შეიძლება ეფუძნებოდეს მორალს, როგორც ეს კერძო ურთიერთობს შეეფერება. მაკიაველს სჯეროდა, რომ გრძნობების გარეშე, მორალზე დაუფუძნებლად მოქმედება არის წარმატების საწინდარი. ეს გაკვეთილი მან მისი ბატონის, ცეზარე ბორგიას ქმედებების შესწავლისას შეიძინა.

მაკიაველი თავის “მთავარში” ქადაგებს, რომ პასუხისმგებელი ლიდერი არ უნდა სარგებლობდეს ქრისტიანული ეთიკის მიხედვით, იმდენად რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება ყველაფერი დაკარგოს: საკუთრება, თავისუფლება და მისი მოქალაქეების სიცოცხლე. მორალით სარგებლობა პოლიტიკაში უპასუხისმგებლობის ტოლფასია. მმართველს ამის უფლება არ აქვს, რადგან მას ხალხის ბედი აბარია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პოლიტიკური პასუხისმგებლობა სულ სხვა გზით მიემართება, ვიდრე კერძო მორალი. პოლიტიკაში ფუნდამენტური, უზენაესი ფასეულობა არის უსაფრთხოება და სახელმწიფოს თვითგადარჩენა. პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები და მორალი ემორჩილება სახელმწიფო ინტერესებს. ეს არის ის, რამაც უნდა მართოს საგარეო პოლიტიკა. მმართველების მთავარი პასუხისმგებლობა კი ისაა, რომ ყოველთვის იყოს უპირატესობის ძიებაში, დაიცვას თავისი სახელმწიფოს ინტერესები და უზრუნველყოს მისი გადარჩენა.

მაკიაველის ნაშრომის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისიც არის, რომ იგი მმართველს აყენებს ხალხის და ქვეყნის სამსახურში და არა საკუთარი თავის, ან რეჟიმის სამსახურში. ის, რომ მმართველები უნდა იყვნენ როგორც ლომები (ძალა, ძლიერება) ასევე მელიები (ცბიერება) არის მაკიაველის რეალიზმის დედააზრი. მათ ეს ორივე თვისება სჭირდებათ რადგან მათი ხალხის ბედი მათი სიმამაცისა და საზრიანობის ხელშია.

ის ფაქტი, რომ ხალხის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მმართველის და შესაბამისად სახელმწიფოს ბედთან არის მაკიაველის, და საერთოდ, პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოსაზრება.

¹⁶ Thucydides, *History of the Peloponnesian War*, chapter xvii. Sixteenth year of the war - the melian conference - fate of melos. იხილეთ ინტერნეტ გამოცემა, მისამართზე: <http://www.mtholyoke.edu/acad/intrel/melian.htm>

თომას ჰობსი

ინგლისელი ფილოსოფოსის, თომას ჰობსის შეხედულებები ითვლება რეალიზმის ფუნდამენტად. თავის “ლევიათანში,” ფილოსოფიური დედუქციის საშუალებით ჰობსი ცდილობს ახსნას პოლიტიკური სინამდვილის ბუნება. შესავალშივე ჰობსი ამბობს, რომ სახელმწიფო არის ხელოვნური ადამიანი, მხოლოდ უფრო დიდი და უფრო ძლიერი, ვიდრე ბუნებრივი ადამიანი, რომლის უსაფრთხოებისა და დაცვისათვისაც არის იგი შექმნილი. ამ დიდ მანქანას ჰობსი უწოდებს ლევიათანს, რომელიც მისი თქმით, არის იგივე თანამეგობრობა, იგივე სახელმწიფო.

მისი ნაშრომის მიზანია ახსნას ამ ხელოვნური ადამიანის, სახელმწიფოს, ბუნება. რისგან შედგება და რას წარმოადგენს იგი. როგორია სუვერენის უფლებები, სამართალი და ხელისუფლება. რა შლის და რა ასაზრდოებს სუვერენიტეტს.

იმისათვის, რომ გაიგოს პოლიტიკური ცხოვრების ფუნდამენტური არსი ჰობსი წარმოადგენს ადამიანებს, ქალებსა და კაცებს, სანყის მდგომარეობაში, გარემოში, სადაც ჯერ არ არის გამოგონებული სუვერენული სახელმწიფო. იგი ამ მდგომარეობას უწოდებს “ბუნებრივ მდგომარეობას” (state of nature). მისი აღწერილობით, ბუნებრივ პირობებში ყოველი მამაკაცი, ქალი და ბავშვი საფრთხეშია ყველა სხვა დანარჩენის მხრიდან. ადამიანებს აქვთ ერთმანეთისადმი მუდმივი შიში, რადგან მათი სიცოცხლე მუდვიად საფრთხის ქვეშაა და არავის აქვს უსაფრთხოების გარანტია. ასეთ სიტუაციაში, რომელსაც ჰობსი აღწერს როგორც “ეული, ღარიბი, საზიზღარი, სასტიკი და მოკლე,” ბუნებრივი მდგომარეობაა “ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.”

ამ “ეული, ღარიბი, საზიზღარი, სასტიკი და მოკლე,” სიტუაციიდან ჰობსი ხედავს ერთადერთ გამოსავალს, რაც არის სუვერენული სახელმწიფოს შექმნა და ამოქმედება. ჰობსი ამბობს, რომ ადამიანები ინსტინქტურად უერთებიან ერთმანეთს და აყალიბებენ უსაფრთხოების პაქტებს, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულის უსაფრთხოებას. ეს საყოველთაო შიში და უსაფრთხოების შეგრძნება აიძულებს მათ გამოვიდნენ ბუნებრივი მდგომარეობიდან სადაც სუფევს ყველას ომი ყველას წინააღმდეგ. სხვანაირად რომ ითქვას ჰობსი ამბობს, რომ ადამიანები ქმნიან სუვერენულ სახელმწიფოებს არა გონიერებაზე, არამედ ინსტინქტზე დაყრდნობით. ისინი ნებით დებენ სოციალურ კონტრაქტს ერთმანეთთან და ქმნიან სუვერენულ მთავრობას, რომელსაც გააჩნია საჭირო ძლიერება, რათა დაიცვას ისინი საგარეო თუ საშინაო მტრებისა და ხელისშემშლელი ფაქტორებისგან. ასეთ ცივილურ პირობებში რომელსაც ჰობსი “მშვიდობასა და წესრიგს” უწოდებს ადამიანები თავისუფლდებიან შიშისგან და აქვთ საშუალება იღვანონ ბედნიერებისათვის.

სახელმწიფოს შექმნა მართალია ადამიანებს აძლევს გამოსავალს ბუნებრივი მდგომარეობიდან, მაგრამ წარმოშობს ახალ პოლიტიკურ პრობლემას სახელმწიფოთა დონეზე. ერთი სიტყვით, ბუნებრივი მდგომარეობა პიროვნული დონიდან გადადის სახელმწიფოთა დონეზე და წარმოიქმნება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემა რაც გამოწვეულია საერთაშორისო სისტემის ანარქიულობით. ფაქტიურად, სახეზე გვაქვს ფენომენი, რომელიც პოლიტიკაში ცნობილია როგორც “უსაფრთხოების დილემა.” ჰობსი ამბობს, რომ ერთი უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრით ადამიანები ძალაუფლებურად ინვევენ მეორეს.¹⁷

ამ უსაფრთხოების დილემიდან გამოსავალი აღარ არსებობს, რადგან არ არის საშუალება იმისა, რომ შეიქმნას მსოფლიო მთავრობა. სუვერენულ სახელმწიფოებს არანაირი სურვილი არ გააჩნიათ რომ თავიანთი დამოუკიდებლობა დათმონ სხვა, გლობალური მთავრობის სასარგებლოდ. ამ სიტუაციას ჰობსი იმით ხსნის, რომ

¹⁷ უსაფრთხოების დილემა მოკლედ არის აღწერილი ალექსანდრე რონდელის ნიგნში “საერთაშორისო ურთიერთობები,” თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996, გვ. 95.

ბუნებრივი მდგომარეობა საერთაშორისო დონეზე არ არის ისეთი საშიში და მუქარის მომგვრელი როგორც პიროვნულ დონეზე. სახელმწიფოებს უფრო ადვილად შეუძლიათ ერთმანეთი დაიცვან გარეშე საფრთხისგან, ვიდრე ეს ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ.

ბოლო სურათი რასაც ჰობსი აღწერს არის საერთაშორისო ანარქია, რომელიც დაფუძნებულია სუვერენულ სახელმწიფოებზე. რადგანაც სუვერენიტეტს დაცვა სჭირდება, ავტომატურად ანარქიული სისტემა გულისხმობს ფაქტობრივ, ან პოტენციურ ომის მდგომარეობას. ჰობსი ამბობს, რომ ომი არის უკანასკნელი საშუალება იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეაჯერონ შეუთანხმებელი პრობლემები.

ნეოკლასიკური რეალიზმი: ჰანს მორგენტაუ

1948 წელს გამოცემული გერმანული წარმოშობის ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერის ჰანს მორგენტაუს ნაშრომი “ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის” მიჩნეულია პოლიტიკური ნაშრომების მწვერვალად. ამ ნაშრომმა დიდი ხნით განსზაღვრა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული ინტერესები და მთელი ამ დარგის განვითარების შემდგომი ხასიათი.¹⁸

მორგენტაუს ქვეყნების პოლიტიკა არის თუკიდდეს, მაკიაველის და ჰობსის იდეების გაგრძელება, თუმცა უფრო თანამედროვე ენით დაწერილი და გაჯერებული დაგროვილი ისტორიული გამოცდილებით და პოლიტიკური სიბრძნით. თავის საფუძველში ეს წიგნი იგივე ფუნდამენტზეა დაარსებული როგორც ზემოთ განხილული ნაშრომები, კერძოდ ის, რომ ადამიანის ბუნება არის მტაცებლური, ბუნებრივად მზაკვარი და ბნელი, და რომ ეს ფაქტი აისახება პოლიტიკურ ურთიერთობებზე. პოლიტიკა და ეთიკა ერთმანეთისგან შორს დგანან და, რომ პოლიტიკური ძალა და ძლიერება არის მშვიდობის ერთადერთი გარანტი. ამიტომ არის, რომ მორგენტაუს რეალიზმს უწოდებენ ნეოკლასიკურ რეალიზმს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი რეალიზმი არის მეოცე საუკუნის განახლებული კლასიკური ტრადიცია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში.

მორგენტაუ, ისევე როგორც მისი იდეური წინამორბედები, თვლიდა, რომ ქალები და კაცები ბუნებით არიან პოლიტიკური ცხოველები, ისინი დაბადებულნი არიან, რათა მოიპოვონ ძალა და დატკბნენ ძლიერების ნაყოფით. იგი ამბობდა, რომ ადამიანებს ახასიათებთ ძალისადმი ლტოლვა (*lust*) და ამას უწოდებდა *animus dominandi*, რომელიც იწვევს გარდაუვალ პოლიტიკურ ბრძოლას ადამიანებს შორის.

ადამიანებს აქვთ სურვილი, რომ იყვნენ სხვების პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებელი. ეს ქმნის საჭიროებას იმისას, რომ შეიქმნას ისეთი პოლიტიკური სფერო, სადაც თავისუფალი იქნებიან სხვისი პოლიტიკური დიქტატისგან. საბოლოო ვარიანტი ასეთი სფეროსი, რომლის შიგნითაც იქნება უსაფრთხოება, არის სუვერენული სახელმწიფო. მის გარეთ კი უსაფრთხოების მიღწევა შეუძლებელია.¹⁹

მეორეს მხრივ, სისტემა, რომელიც ეფუძნება დამოუკიდებელ ელემენტებს, რომლებსაც გააჩნიათ კერძო ინტერესები და სურვილი, დაიცვან ეს ინტერესები, წარმოშობს საჭიროებას იმისას, რომ სახელმწიფოს შიგნით მოხდეს ძალის მობილიზება და საჭირო შემთხვევაში გამოყენება. ერთი სიტყვით, სახელმწიფოებზე დაფუძნებულ სისტემას მიყვარებთ ანარქიამდე და კონფლიქტამდე.

როგორც მისი აზრობრივი წინამორბედები, ასევე მორგენტაუც ავლებს მკვეთრ ხაზს პირად ეთიკასა და პოლიტიკას შორის და მკაცრად აკრიტიკებს მეორე მსოფლიო ომამდე დამკვიდრებულ ვილსონისეულ ლიბერალურ პოლიტიკას, რომელიც ქადაგებდა, რომ სახელმწიფოთა ქმედებებიც იგივე მორალური და ეთიკური სტანდარტებით უნდა

¹⁸ იქვე, . . . , გვ. 41.

¹⁹ Jackson and Sorensen, p. 76.

განისაჯოს როგორც ცივილზეულ ადამიანთა ურთიერთობები. მორგენტაუ ამ ყოველივეს დამღუპველად და უპასუხისმგებლობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს იყო უდიდესი ინტელექტუალური შეცდომა, რადგან ასეთი მიდგომა ვერ ხედავდა განსხვავებას პირად სფეროსა და სახალხო სფეროს შორის. როგორც უკვე განვიხილეთ, პოლიტიკური რეალისტებისათვის ამ ორ სფეროს შორის განსხვავება ფუნდამენტურია.

მორგენტაუ მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მართვის ფუნდამენტური საფუძველია იმის ნათელი შეგრძნება, რომ პოლიტიკური ეთიკა და პირადი ეთიკა ერთმანეთისგან განსხვავდება. საჭიროა ამ ფაქტის არა უგულებელყოფა, არამედ მისი ნათლად გააზრება და ცდა, რომ ამ გამოუვალი გარემოებიდან შეეცადო და საუკეთესო შედეგი მიიღო.

მორგენტაუ თავის ნაშრომის შესავალშივე აყალიბებს პოლიტიკური რეალიზმის 6 პრინციპს, რათა გააქარწყლოს გაუგებრობები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის პოლიტიკური რეალიზმი.²⁰

1. პოლიტიკა ფესვგადგმულია ადამიანის პერმანენტულად უცვლელ ბუნებაში, რომელიც არის ეგოისტური და ეგოცენტრული.
2. პოლიტიკა არის ავტონომიური სფერო და არ შეიძლება მისი დაყვანა ეკონომიკამდე (როგორც ამას მარქსიზმის მიმდევრები აკეთებენ), ან მორალამდე (როგორც ამას კანტის ლიბერალური თეორიის მიმდევრები აკეთებენ ხოლმე). სახელმწიფო მეთაურებმა უნდა იმოქმედონ პოლიტიკური სიბრძნის დიქტატის მიხედვით. მათთვის გზის გაგნების მთავარი საშუალება ეროვნული ინტერესების კონცეფციაა.
3. პირადი ინტერესები არის ადამიანური არსების გამომხატველი ფაქტი. ყველა ადამიანის პირადი ინტერესების მინიმუმი არის თვითგადარჩენა და უსაფრთხოება. პოლიტიკა არის არენა, სადაც ეს ინტერესები გამოიხატება და ეს ინტერესები აუცილებლად ერთმანეთს შეეჯახება რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კონფლიქტს. საერთაშორისო პოლიტიკაც ასევე არის სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფოთა ინტერესები კი იცვლება დროში და გარემოში. რეალიზმი არის დოქტრინა, რომელიც რეაგირებას ახდენს ცვალებად პოლიტიკურ რეალობაზე.
4. საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა არის პოლიტიკური და სიტუაციური ეთიკა, რაც ძალზედ განსხვავდება პირადი მორალისაგან. პოლიტიკურ ლიდერს არ აქვს თავისუფლება მოიქცეს მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით რიგითი მოქალაქისგან განსხვავებით, რადგან იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და მის ხელშია მათი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. შესაძლებელი შედეგებიდან ყველაზე მომგებიანის შერჩევა პოლიტიკოსის უმაღლესი მიზნევაა.
5. რეალიზმი მიიჩნევს, რომ არც ერთი ერის და სახელმწიფოს ზნეობრივი მიზნები არ შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო ზნეობრივ კანონებად (თვით ისეთი დემოკრატიული ერისაც კი, როგორც არის აშშ) და არ შეიძლება ისინი ძალის გამოყენებით დაკისრებული იქნეს სხვა სახელმწიფოზე. რეალისტები გამოდიან ამის სანინაალმდეგოდ, რადგან ეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. შესაძლებელია, რომ რაღაც მომენტში ძალით დაკისრებულმა იდეოლოგიამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს და თვით “ჯვაროსან” ქვეყანას საფრთხე შეექმნას.
6. პოლიტიკოსის უმაღლესი ზნეობა და მორალი არის მისი ქვეყნის ინტერესები.²¹

²⁰ Hans J. Morgenthau. *Politics Among nations: the Struggle for Power and Peace*. New York, McGraw-Hill, 1985, p. 4.

²¹ რეალიზმის ექვსი პრინციპის მოკლე ანოტაცია ასევე იხილეთ ალექსანდრე რონდელის საერთაშორისო ურთიერთობებში, გვერდი 41-42 და Jackson and Sorensen, p. 79-80.

ლექცია IV ნეორეალიზმი

პოლიტიკური რეალიზმი: ზოგადი მიმოხილვა

პოლიტიკური რეალიზმი სხვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისგან განსხვავებით ხატავს საერთაშორისო ურთიერთობების სევედიან სურათს. საერთაშორისო ურთიერთობები დანახულია როგორც მკაცრი კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომლებსაც არანაირი მიზეზი არ აქვთ ერთმანეთს მიენდონ მაშინ, როდესაც მათი არსებობის არსი თვითგადარჩენაა ისეთ გარემოში სადაც ერთის დანაკარგი მეორის მონაპოვარია (*zero sum game*).

ჯონ მირშიმერი გვთავაზობს რეალიზმის ყველაზე ნათელ და ამომწურავ დახასიათებას. იგი გამოყოფს ხუთ ძირითად მოსაზრებას რომელიც აღწერს რეალიზმის მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.²²

1. პირველი მოსაზრება ისაა, რომ საერთაშორისო სისტემა **ანარქიულია**. ანუ, საერთაშორისო სისტემის მონყობის პრინციპი არის ანარქიული, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემა შედგება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებისგან (სახელმწიფოები), რომლებსაც არ ჰყავთ ზემდგომი ხელისუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს უმაღლესი მმართველი ორგანო, ზესახელმწიფო, მაშინ როდესაც სუვერენიტეტი სახელმწიფოთა თანდაყოლილი თვისებაა.
2. მეორე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოებს ბუნებრივად თანდაყვებათ **აგრესიის იარაღი**, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ერთმანეთის წინააღმდეგ. როგორც წესი, ეს არის სამხედრო შეიარაღება. თუმცა, რომ არ იყოს იარაღი, რეალიზმი ამბობს რომ ინდივიდები საომრად ხელ-ფეხს გამოიყენებდნენ.
3. მესამე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოები არასდროს არ არიან დარწმუნებულნი, თუ რა განზრახვა ამოძრავებს სხვა სახელმწიფოს. კერძოდ, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს გარანტია იმისა, რომ მის წინააღმდეგ აგრესიულ იარაღს არ გამოიყენებს მეორე სახელმწიფო. შეიძლება ეს მეორე სახელმწიფო იყოს კეთილმოსურნე და საიმედო, მაგრამ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობა შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია განზრახვის ასი პროცენტით განსაზღვრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **გაურკვევლობის (uncertainty)** თავიდან აცილება შეუძლებელია როდესაც ხდება განზრახვის შეფასება, ეს კი მარტივად განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოები ვერასდროს იქნებიან დარწმუნებულნი, რომ სხვა სახელმწიფოებს აგრესიულ იარაღებთან ერთად აგრესიული განზრახვებიც არ აქვთ.
4. მეოთხე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოთა ძირითადი მამოძრავებელი მოტივი არის **თვითგადარჩენა**, რადგან მათ სურთ სუვერენიტეტის შენარჩუნება.
5. მეხუთე მოსაზრება ამბობს რომ სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად იმაზე, თუ როგორ გადარჩნენ საერთაშორისო სისტემაში. სახელმწიფოები არიან უმეტესად **რაციონალურები**. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება ვერ განსაზღვრონ საქციელი, რადგან ისინი მოქმედებენ არასრული ინფორმაციის სამყაროში, სადაც პოტენციურ მონინააღმდეგეს გააჩნია საბაზი იმისა, რომ დამალოს თავისი ნამდვილი ძალა, ან სისუსტე და დამალოს თავისი ნამდვილი განზრახვები.

აქედან გამომდინარე, მირშიმერი გამოყოფს სახელმწიფოთა საქციელის სამ ძირითად

²² John J. Mearsheimer, "The False Promise of International Institutions," *International Security*, Vol. 19, No. 3 (Winter 1994/1995), pp. 5-49.

ფორმას:

1. სახელმწიფოებს ერთმანეთის ემინიათ, რადგან მუდმივად საშიშროების მოლოდინში არიან სხვა სახელმწიფოების მხრიდან;
2. სახელმწიფოები დამოკიდებულნი არიან მხოლოდ საკუთარ თავზე, რადგან სხვა სახელმწიფოები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ. როგორც კენეტ უოლცი ამბობს სახელმწიფოები მოქმედებენ “თვით დახმარების” რეჟიმში. შესაბამისად ალიანსები განიხილება როგორც დროებითი მოვლენა და შეიძლება დღეის მოკავშირე გახდეს ხვალის მეტოქე და დღეის მტერი ხვალის მეკავშირე. აქედან გამომდინარე, რეალისტები ასკვნიან რომ სახელმწიფოები უნდა იყვნენ ეგოისტურები და იზრუნონ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე. ეს მოსაზრება უცვლელი რჩება როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პირობებში;
3. სახელმწიფოები ცდილობენ გაზარდონ თავიანთი ფარდობითი ძლიერება (relative power) სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ²³ რადგან რაც მეტი აქვს სამხედრო უპირატესობა, მით უფრო უსაფრთხოა ქვეყანა. თითოეულ სახელმწიფოს აქვს სურვილი იყოს ძლიერი სამხედრო ძალა რადგან ეს არის ყველაზე საუკეთესო გზა უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება საშიშ გარემოში. იგივე მოტივი ლოგიკურად განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოებმა წამოიწყონ ომი როდესაც ამის საშუალება არსობს და როდესაც მოგება სავარაუდოა. იდეალური გამოსავალი არის იყო ჰეგემონი სისტემაში. მაშინ თვითგადარჩენა თითქმის უზრუნველყოფილი იქნებოდა.

რეალიზმის ცენტრალური მოსაზრება, რაზეც ყურადღების გამახვილება აუცილებელია ისაა, რომ ანარქია ინვესს კონკურენციას და კონფლიქტს სახელმწიფოებს შორის და ახშობს მათში თანამშრომლობის სურვილს მაშინაც კი, როდესაც არსებობს საერთო ინტერესი. ეს მოსაზრება მიმართულია ნეოლიბერალური თეორიების საპირისპიროდ, რომელებიც ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ ითანამშრომლონ. რეალიზმის აზრით, არსებობს ორი მიზეზი რაც ხელს უშლის თანამშრომლობას. ესენია:

ფარდობითი მოგება (relative gains) და ღალატის საშიშროება.

სახელმწიფოები, რომლებიც ფიქრობენ თანამშრომლობაზე უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ განანიღდება მოგება მონაწილეთა შორის. არის მოგების ალქმის ორი გზა: აბსოლუტური, ან ფარდობითი მოგება. **აბსოლუტური მოგება (absolute gains)** ნიშნავს, რომ თითოეული მხარე მხოლოდ დაინტერესებულია მაქსიმალური მოგებით და არ ადარდებს სხვისი მონაპოვარს. თითოეულ მხარეს ადარდებს მეორის ქმედებები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორის საქციელმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მის მიერ მაქსიმალური მოგების მიღების პერსპექტივაზე. ამის საპირისპიროდ **ფარდობითი მოგება (relative gains)** ნიშნავს, რომ სახელმწიფოები სათვალავში იღებენ არა მარტო საკუთარ ინდივიდუალურ მოგებას, არამედ იმას, თუ რამდენად კარგად აქვს მას საქმე სხვასთან შედარებით. რეალიზმის სამყაროში სახელმწიფოები ყურადღებას აქცევენ ფარდობით მოგებას, რადგან სახელმწიფოების მთავარი მიზანია თვითგადარჩენა და სუვერენიტეტის შენარჩუნება. ამიტომ, სახელმწიფოებს აქვთ შიში, რომ დღევანდელი მეგობარი შეიძლება გახდეს ხვალინდელი მტერი. ამიტომ თანამშრომლობა, რომელიც ორივეს ხელს აძლევს არასასურველია, რადგანაც ეს მის პოტენციურ მტერს აძლიერებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები მკაცრად აკვირდებიან მათი პარტნიორების

²³ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით რეალიზმი იყოფა ორ განშტოებად: თავდასხმით (მირშაიმერი) და თავდაცვით რეალიზმად (ჯერვისი, ვან ევერა, ვოლტი). დებატები და განსხვავებები ამ ორ განშტოებას შორის განხილული იქნება შემდგომ ლექციებში.

მოგებას, რაც ზღუდავს მათ შორის თანამშრომლობას.²⁴

ღალატი ასევე ზღუდავს თანამშრომლობის პერსპექტივებს. სახელმწიფოებს ემინიათ, რომ შეიძლება მეორე პარტნიორმა მოიტყუოს და ამით მისი ფარდობითი ძალა გაიზარდოს. რადგანაც, რელიზმის თვალთახედვით სახელმწიფოები ზრუნავენ ძალთა ბალანსის შენარჩუნებაზე ისინი განსაკუთრებით ფრთხილობენ, რომ არ მოტყუდნენ სხვა სახელმწიფოების მიერ და ასევე ზრუნავენ ფარდობით მოგებაზე. ეს ყოველივე ართულებს თანამშრომლობას.

სტრუქტურული რეალიზმი

60-70 წლებში წამოჭრილმა მეორე დებატებმა საერთაშორისო ურთიერთობებში პოზიტივისტებსა და ბიჰევიორისტებს შორის გარდამტეხი გავლენა იქონია რეალიზმზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაზე. ამ პერიოდში სათავე დაედო ნეორეალიზმს, რომლის მიდგომა რეალიზმისადმი როგორც თეორიისადმი იყო უფრო მეთოდოლოგიური, უფრო მეცნიერული, და არა ნორმატიული, როგორც ეს კლასიკურ რეალიზმს ახასიათებდა.

ნეორეალიზმის მამათავრად ითვლება ქენეთ უოლცი, რომლის საყოველთაოდ აღიარებული ნაშრომი “საერთაშორისო პოლიტიკის თეორია” (1979) განავითარებს სრულიად განსხვავებულ რეალიზმს. უოლცის მეთოდოლოგია განმსჭვალული იყო ამბიციებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები გამხდარიყო სამეცნიერო დისციპლინა.

მაშასადამე, უოლცის მთავარი მცდელობა ის იყო, რომ ჩამოეყალიბებინა კანონის მაგვარი მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში და ამით ამ დისციპლინისათვის მეცნიერული ელფერი მიეცა. უოლცი ამბობს რომ საერთაშორისო პოლიტიკის თეორია ისევე შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც სხვა ნებისმიერი თეორია. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა:

- საერთაშორისო პოლიტიკა აღვიქვათ როგორც განცალკევებული სფერო ან არეალი,
- უნდა აღმოვაჩინოთ კანონზომიერებათა მაგვარი წესები მასში (law like statements) და,
- შევიმუშავოთ დაკვირვების შედეგად გამოვლენილი კანონზომიერების ახსნის გზები.²⁵

ასეთ კანონზომიერებებზე უოლცმა მიიჩნია სახელმწიფოთა საქციელი, რომელიც ყველაზე კარგად ე.წ. Realpolitik-ით არის ახსნილი. კერძოდ, სახელმწიფო ინტერესების უზენაესობა, კონკურენციის დარეგულირება (რაშიც ძალთა ბალანსი მოიაზრება), ძალის პრიმატი და ასე შემდეგ. ანუ, ესენია მეთოდები, რომლებიც არ იცვლებიან მიუხედავად იმისა, რომ მათ განსხვავებული პიროვნებები და სახელმწიფოები იყენებენ.²⁶ **ამ მეთოდების განმეორებითობას უოლცი ხსნის საერთაშორისო სისტემის ხასიათით.** ამით იგი ავლებს მტკიცე ზღვარს კლასიკურ/ნეოკლასიკურ და ნეორეალიზმს შორის. კლასიკური რეალისტების და მორგენტაუსგან განსხვავებით, რომლებიც საუბრობენ სახელმწიფოს მართვის ეთიკაზე, ადამიანის ბუნებაზე, საგარეო პოლიტიკის წარმოებისას წამოჭრილ მორალურ დილემაზე, უოლცი არ ახსენებს არც ერთ მათგანს და

²⁴ Joseph M. Grieco, “Anarchy and the Limits of Cooperation,” *International Organization*, Volume 42, Issue 3, (Summer 1988): 492-499.

²⁵ ზურაბ დავითაშვილი, *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია*. სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004. გვ. 71.

²⁶ იქვე, ... გვ. 71

მთლიანად ახდენს ფოკუსირებას საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურაზე და ამ სტრუქტურის ზეგავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობებზე. იგი საერთაშორისო პოლიტიკას, მასში არსებულ კანონზომიერებებს და სახელმწიფოთა ქცევის წესებს ხსნის სტრუქტურის თავისებურებით.

როგორც უკვე ითქვა, უოლცის თეორიული ფოკუსი იყო განეცალკევებინა საერთაშორისო პოლიტიკა სხვა სფეროებისგან. ამისათვის მან ჩამოაყალიბა საერთაშორისო პოლიტიკის (სპ) სტრუქტურის, სისტემის და სისტემის ელემენტების მცნება. იმისათვის, რომ გავიგოთ უოლცისეული ნეორეალიზმი, სათითაოდ ავხსნათ ის ძირითადი კონცეფციები, რომლებსაც უოლცი გვთავაზობს:

სისტემა შედგება სტრუქტურისა და ურთიერთმოქმედი ელემენტებისაგან.

სტრუქტურა მოიცავს მთელს სისტემას და საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ სისტემაზე, როგორც მთლიანობაზე.

სტრუქტურა განსაზღვრავს თუ როგორ არიან მოწყობილი სისტემის შემადგენელი ნაწილები, **ელემენტები**.

ამავდროულად, უოლცის მიხედვით ამ შემთხვევაში სტრუქტურა არ ნიშნავს პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობას, არამედ იმას თუ როგორ არიან ისინი მოწყობილნი. მაშასადამე, უოლცი საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურას განსაზღვრავს სამ ელემენტზე დაყრდნობით:

1. მოწყობის პრინციპი;
2. შემადგენელი ელემენტების ხასიათი;
3. ძალთა განაწილება.²⁷

1. **მოწყობის პრინციპის** მიხედვით სპ სისტემა არის დეცენტრალიზებული და ანარქიული. ეს იმით არის განპირობებული, რომ არ არსებობს უზენაესი მმართველობა/მთავრობა, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს სისტემის შემადგენელ ელემენტებს შორის.

უოლცი ხსნის, თუ როგორ შეიძლება წესრიგის არარსებობა, ე.ი. ანარქიულობა ჩაითვალოს წესრიგად, პოზიტივისტური ეკონომიკის მოდელის გამოყენებით. მაგალითად, ეკონომიკაში საუბრობენ ეკონომიკურ ადამიანზე, რომელიც მიმართულია მოგების მაქსიმიზაციისაკენ და საუბრობენ ბაზრებზე. მაგრამ ბაზრები წარმოიშობა სპონტანურად, წინასწარი განზრახვის გარეშე. იგი წარმოიშობა ინდივიდუალური ელემენტების: ადამიანების და ფირმების ურთიერთქმედების შედეგად. შექმნისთანავე ბაზრები გველინებიან როგორც ცალკე ძალა, რომლის გაკონტროლება სისტემის ელემენტებს აღარ ძალუძთ. ბაზრები ზღუდავენ და განაპირობებენ ელემენტების ქცევის წესებს, რაც განაპირობებს მათ ბედს. ზოგი კოტრდება, ზოგი კი მდიდრდება.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, “ინდივიდუალური ელემენტები იქცევიან თვითნებურად. მსგავსი ელემენტების ერთგვაროვანი ქმედებებისას წარმოიქმნება სტრუქტურა, რომელიც ზღუდავს თითოეულ მათგანს. ჩამოყალიბების შემდეგ ბაზარი ხდება ცალკე ძალა, ძალა, რომელსაც მისი შემადგენელი ელემენტების ცალკეული, ან თუნდაც პატარა ჯგუფებამ მოქმედება ვერ აკონტროლებს. ამის მაგივრად, მცირე თუ დიდი მასშტაბით იმდენად რამდენადაც საბაზრო პირობები განსხვავდება, შემქმნელები, რომელთა საქმიანობამაც შექმნა ბაზარი ხდება მისი ქმნილებები.”²⁸

იგივენაირად, საერთაშორისო პოლიტიკა იქმნება მისი შემადგენელი, თავისთავზე მზრუნავი ელემენტების თანაქმედების შედეგად. ეს ელემენტები არიან ამათუიმ ეპოქის

²⁷ Robert J. Art and Robert Jervis, *International Politics, Enduring Concepts and Contemporary Issues*, Eddison-Wesley, 2003, p. 49.

²⁸ Art and Jervis. p. 51

ნამყვანი პოლიტიკური მონაწილეები: ქალქ-სახელმწიფო იქნება ეს, იმპერია, თუ თანამედროვე სახელმწიფო. სტრუქტურა წარმოიშობა სახელმწიფოთა თანაარსებობიდან. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, როგორც ბაზრები არიან ინდივიდუალური, სპონტანურად შექმნილი და უცაბედი. ორივე სისტემაში სტრუქტურა იქმნება მათი შემადგენელი ელემენტების თანამოქმედების გამო.²⁹

უოლცი თვლის, რომ ყველა სახელმწიფოს მიზანია **გადარჩენა**. იგი აღიარებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ უამრავი სხვა მიზანი, მაგრამ აღნიშნავს, რომ თვითგადარჩენა არის ყველა სხვა მიზნის განხორციელებისათვის საჭირო პრერეკვიზიტი.

2. ელემენტების ხასიათი

უოლცის მთავარი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სტრუქტურა განისაზღვრება არა ყველა მოქმედი ელემენტის მიერ, არამედ მთავარი მოქმედი ელემენტების მიერ, რომლებიც არიან სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ ნეორეალიზმი აღიარებს სხვა არა-სახელმწიფო აქტორების არსებობას, როგორებიცაა საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და სხვა მონაწილეები, მისი მიდგომა საერთაშორისო პოლიტიკისადმი არის სახელმწიფო-ცენტრული. უოლცი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები ქმნიან თამაშის წესებს ყველასათვის. შეიძლება ისინი უმნიშვნელოდ ჩაერიონ არასახელმწიფო მონაწილეთა საქმიანობაში დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა სახელმწიფოები აწესებენ ურთიერთქმედების წესებს, ან პასიურობით, რომელიც უფლებას იძლევა არაფორმალური წესების განვითარებისა, ან აქტიური ჩარევით და იმ წესების შეცვლით, რომლებიც მათ, სახელმწიფოებს, აღარ აწყობთ. როდესაც ამის საჭიროება იქმნება სახელმწიფოები ცვლიან წესებს, რომლებიც არეგულირებს მონაწილეთა ურთიერთობებს.

აქიდან გამომდინარე, უოლცი ასკვნის, რომ *სახელმწიფოები არიან ის ელემენტები, რომელთა ურთიერთქმედება ქმნის საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურას და რომ ეს ასე იქნება დიდი ხნის განმავლობაში.*

უოლცი ასევე ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები არიან მსგავსნი, იმდენად რამდენადაც თითოეული სახელმწიფო არის **სუვერენული**. მისი თქმით, სუვერენიტეტი არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები არ განიცდიან სხვა სახელმწიფოების ან აქტორების ზეგავლენას. სუვერენიტეტი და სხვაზე დამოკიდებულება არ არის შეუთავსებელი და დაპირისპირებული მცნებები. სახელმწიფოს სუვერენულობა ნიშნავს, რომ მას აქვს არჩევანი გადანყვიტოს როგორ გაუმკლავდეს საშინაო, თუ საგარეო პრობლემებს. ეს არჩევანი ასევე გულისხმობს სხივსთვის დახმარების თხოვნას და ამით საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას.

“თითოეული სახელმწიფო, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სახელმწიფო, არის სუვერენული პოლიტიკური ერთეული.” მიუხედავად ამ მსგავსებისა, სახელმწიფოები განსხვავდებიან კიდევაც. მაგრამ ისინი *განსხვავდებიან არა ფუნქციების, არამედ შესაძლებლობების მიხედვით*. თითოეული სახელმწიფო ასრულებს მსგავს ფუნქციებს, მაგრამ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში.

მოკლედ რომ ითქვას, საერთაშორისო სისტემის მთავარი მოქმედი ელემენტები არიან ერთი და იმავე ფუნქციების მქონე სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი შესაძლებლობებით.

²⁹ იქვე, ..., გვ. 52.

3. შესაძლებლობათა განაწილება

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის დამახასიათებელი მესამე ელემენტი არის ძალთა გადანაწილება. ფუნქციურად მონაწილეები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათი განმასხვავებელი ნიშანია მათი განსხვავებული შესაძლებლობები შეასრულონ ერთი და იგივე ამოცანა. სისტემის ეს მესამე ელემენტი უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი ძალაზე და ძლიერებაზეა დაფუძნებული. უოლცის თქმით, “სტრუქტურებს განსაზღვრავს არა მათში წარმოდგენილი ყველა მონაწილე, არამედ მონაწილეთა შორის ყველაზე უფრო ძლიერები.” პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმის და მიხედვით, თუ რამდენი ძლიერი სახელმწიფოა მასში. პოლიტიკური სისტემა იცლება, როდესაც იცვლება ძალთა განაწილება ელემენტებს შორის. სტრუქტურის ცვლილება ასევე ცვლის თამაშის წესებს და მისი შემადგენელი ელემენტების საქციელს, რომელთა ურთიერთქმედებაც უკვე სხვაგვარ შედეგებს იძლევა.

მაშასადამე, ნეორეალიზმის თეორიიდან გამომდინარე არსებობს კანონზომიერებები/მეთოდები საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლებიც მეორედება მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვა ადამიანები და სახელმწიფოები იყენებენ. ეს გამომწვეულია იმით, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ანუ “თითოეული სახელმწიფო აწესებს მოქმედების კურსს, რომელიც მისი აზრით საუკეთესოდ მოემსახურება მის ეროვნულ ინტერესებს.”

უზენაესი ეროვნული ინტერესი კი არის უსაფრთხოება და თვითგადარჩენა რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალასთან და ძლიერებასთან. “საერთაშორისო პოლიტიკაში ძალა და ძლიერება იგივე როლს ასრულებს, რასაც საბაზრო ეკონომიკაში ფული.”³⁰

პოლიტიკის წარმატებულობა უოლცის თვალსაზრისით, განისაზღვრება სახელმწიფოს შენარჩუნებით და გაძლიერებით და ვინაიდან და რადგანაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა არის ანარქიული, რომელიც არის მისი შემადგენელი ერთეულების მოქმედების განმსაზღვრელი, ამიტომ არის, რომ სახელმწიფოები დროისა და პიროვნებების ცვლის მიუხედავად ქცევის ერთგვაროვან მეთოდებს იყენებენ.

ანარქიის პირობებში სახელმწიფოებმა თვითონ უნდა მიხედონ საკუთარ თავს. ამის გამოა, რომ სახელმწიფოები, განსაკუთრებით ძლიერი სახელმწიფოები იღწვიან სისტემაში არსებული ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად.³¹ თუ ძალთა ბალანსი შეიცვლა, მაშინ შეიცვლება სისტემაც. სისტემის ცვლილების ტიპური გამომწვევი მიზეზი არის დიდ სახელმწიფოებს შორის ომი. ძალთა ბალანსის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ ანარქიულ სისტემაში ყოველთვის არის ომის საშიშროება.

უოლცი გამოყოფს ორი სახის სიტემას, ბიპოლარულს, რომელიც არსებობდა ცივი ომის დროს და მულტიპოლარულს, რომელიც არსებობდა ცივ ომამდე და ცივი ომის შემდეგ. უოლცის აზრით, ბიპოლარული სისტემა არის უფრო სტაბილური, მშვიდობიანი და უსაფრთხო, ვიდრე მულტიპოლარული, რადგან “მხოლოდ ორი ძლიერი სახელმწიფოს არსებობისას მოსალოდნელია, რომ ორივე იმოქმედებს სისტემის შესანარჩუნებლად,” ვინაიდან და რადგანაც სისტემის შენარჩუნებით ისინი ასევე ინარჩუნებენ საკუთარ სტატუსს.

³⁰ A. Wolfers, *Discord and Collaboration: Essays on International Politics*. Baltimore, The Johns Hopkins University Press, 1988. ციტატა ამოღებულია ალექსანდრე რონდელის, საერთაშორისო ურთიერთობებიდან, გვ. 71.

³¹ ძალთა ბალანსისათვის იხილეთ ალექსანდრე რონდელი “საერთაშორისო ურთიერთობები” გვ. 109-119.

ნეორეალიზმი ცივი ომის შემდეგ

ცივი ომის დამთავრების შემდეგ ნეორეალიზმი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ყველაზე ძლიერი დარტყმა ნეორეალიზმს მიაყენა იმ ფაქტმა, რომ მიუხედავად ნეორეალისტების მტკიცებისა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს არსებობა არათუ არ შეუწყვეტია, არამედ ტრანსფორმაცია განიცადა და ახალი ნევრებიც მიიერთა. მწვავე კრიტიკის საგანი გახდა ასევე ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდ სახელმწიფოებს შორის ომი არ ყოფილა მიუხედავად უოლცის და სხვა ნეორეალისტების მტკიცებისა. თანამედროვე საერთაშორისო ურთერთობების განვითარებამ წარმოშვა სხვა, არანაკლებ მწვავე კრიტიკის საფუძვლები. მაგალითად, ბევრი ამტკიცებს, რომ ხდება საერთაშორისო პოლიტიკის გარდაქმნა და რეალიზმის მნიშვნელობა აფსურდული ხდება დემოკრატიის გავრცელების ფონზე (democratic peace theory). ასევე, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება დიდ სახელმწიფოთა შორის ომს წარმოუდგენელს ხდის (complex interdependence) და რომ ინსტიტუტები აადვილებენ თანამშრომლობას რაც პრობლემების ძალადობის გარეშე მოგვარების საშუალებას იძლევა (liberal institutionalism). ყველა ეს თეორია რეალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული და მწვავე დებატები ამ თეორიული სკოლის წარმომადგენლებს შორის არ წყდება.

ამ კრიტიკის საპასუხოდ და თავისი სტრუქტურული რეალიზმის დასაცავად უოლცმა გამოაქვეყნა საპასუხო სტატია ერთ-ერთ ცნობილ აკადემიურ ჟურნალში: *საერთაშორისო უსაფრთხოება*, სახელწოდებით “სტრუქტურული რეალიზმი ცივი ომის შემდეგ.”³² უოლცის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ სტრუქტურული რეალიზმი ჯერ კიდევ აქტუალურია, ვინაიდან და რადგანაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა არ შეცვლილა. იგი ამბობს, რომ ცვლილებები მოხდა სისტემის შიგნით, მაგრამ თვითონ სიტემა არ შეცვლილა. სტრუქტურული რეალიზმი გაქარწყლდება მაშინ, როდესაც შეიცვლება საერთაშორისო პოლიტიკა. ეს კი მანამ არ მოხდება, სანამ საერთაშორისო სისტემა შედგება სახელმწიფოებისგან, რომლებსაც მხოლოდ თვითდახმარების იმედი აქვთ.³³ “ყოველთვის, როდესაც მშვიდობა მყარდება, ხალხი თავს წამოყოფს და ამტკიცებს, რომ რეალიზმი მკვდარია. ეს იგივეა, რომ თქვა, საერთაშორისო პოლიტიკამ ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ მსოფლიოს ტრანსფორმაცია არ განუცდია. საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურა მხოლოდ გადაკეთდა საბჭოთა კავშირის გაქრობით, და ცოტახნით მოგვიწევს უნიპოლარულში ცხოვრება.”³⁴

უოლცი ამტკიცებს, რომ სტრუქტურული თეორიის მიხედვით უნიპოლარული სისტემა ყველაზე ხანმოკლეა ორი მიზეზის გამო: პირველი, დომინანტური ძალები თავისთავზე ძალიან ბევრს იღებენ და საბოლოოდ თავიანთ თავს ასუსტებენ და მეორე, რაც არ უნდა რბილად და მოზომილად მოიქცეს დომინანტური ძალა სუსტი სახელმწიფოები მაინც ეცდებიან მისი ძლიერების დაბალანსებას.³⁵ ადრე თუ გვიან ძალთა ბალანსი აღსდგება. ნეორეალიზმის ერთადერთი მინუსი არის ის, რომ ვერ ამბობს ზუსტად როდის. უოლცი ამტკიცებს, რომ დამაბალანსებელი ტენდენციები უკვე შეიმჩნევა. უოლცის თქმით მომავალი ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც აღადგენენ ძალთა ბალანსს არიან ევროკავშირი ან გერმანია, რომელიც კოალიციას ჩაუდგება სათავეში; ასევე ჩინეთი, იაპონია და უფრო შორეულ მომავალში რუსეთი.³⁶

ნეორეალიზმის კიდევ ერთი დამცველი არის ჯონ მირშაიმერი, რომელმაც თავის

³² Kenneth Waltz. “Structural Realism After the End of the Cold War,” *International Security*, 25(1), 2000, pp. 5-41.

³³ იქვე, ..., გვ. 39

³⁴ იქვე, ..., გვ. 39

³⁵ იქვე, ..., გვ. 28

³⁶ იქვე, ..., გვ. 30

ფართოდ განხილულ სტატიაში, “მომავალში დაბრუნება: არასტაბილურობა ევროპაში ცივი ომის შემდეგ,”³⁷ გააგრძელა უოლცის ნეორეალისტური არგუმენტი და გამოთქვა პრეტენზია, რომ ნეორელიზმი არის თეორია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი მოვლენების განსაჯვრეტად.

მირშიამერმა განამტკიცა მოსაზრება, რომ ბიპოლარული სისტემა არის უფრო სტაბილური, ვიდრე მულტიპოლარული. მირშიამერის აზრით, როდესაც სისტემა იცვლება ბიპოლარულიდან მულტიპოლარულით, უნდა მოველოდეთ გახშირებულ ძალადობას და ომებს. იგი ამბობს, რომ სუპერ სახელმწიფოს არარსებობა ევროპაში გამოიწვევს ძალადობისადმი გაზრდილ მიდრეკილებას ვიდრე გასული 45 წლის განმავლობაში, თუმცა არა ისეთ მწვავეს, როგორც ეს საუკუნის პირველი 45 წლის განმავლობაში იყო.³⁸ ძლიერი სახელმწიფოების გამოსვლა ევროპის შუაგულიდან გზას გაუხსნის ახალი მულტიპოლარული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც შედგება ხუთი ძლიერი სახელმწიფოს და რამოდენიმე პატარა სახელმწიფოსგან. ამ სისტემას მიდრეკილება ექნება არასტაბილურობისაკენ. ასევე, ატომური არსენალის შემცირება გამოიწვევს ატომური იარაღის შემაკავებელი ეფექტის შემცირებას, რაც გამოიწვევს არასტაბილურობას. მირშიამერი აკეთებს ცოტა არ იყოს სენსაციურ განცხადებას, რომ რადგან დასავლეთი დაინტერესებულია მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებით ევროპაში, იგი დაინტერესებულია ცივი ომის დროინდელი კონფრონტაციის შენარჩუნებით.

როგორც ჯექსონი და სორენსენი ასკვნიან, მირშიამერის წინასწარმეტყველებებიდან ზოგიერთი გამართლდა, მაგალითად ევროპაში ადგილი ჰქონდა გაზრდილ ძალადობას (ბალკანეთი, რუსეთი, კავკასიის ქვეყნები), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს კონფლიქტი არ მომხდა ცენტრალურ ევროპაში როგორც ეს მირშიამერმა მოიაზრა.

³⁷ John J. Mearsheimer, “Back to the Future: Instability in Europe After the Cold War,” *International Security*, Vol. 15, No. 4 (Summer 1990), pp. 5-56.

³⁸ იქვე, ..., გვ. 5-56.

ლექცია V

თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი

წინა ლექციებში განვიხილეთ რეალიზმი როგორც ერთ-ერთი დომინანტური თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში ბევრ საჭიროებო საკითხებს გასცემს პასუხს. ჩვენ განსხვავება მოვახდინეთ, როგორც ეს საყოველთაოდ მიღებულია, კლასიკურ და სტრუქტურულ რეალიზმს შორის და განვიხილეთ სტრუქტურული რეალიზმი, როგორც დომინანტური თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული რეალიზმი ასე თუ ისე განიხილება როგორც შეკრული თეორია, მასში მაინც გამოყოფენ ორ მიმდინარეობას, თავდაცვით და თავდასხმით რეალიზმს. თავდაცვითი რეალიზმის აპოლოგეტებად ითვლებიან უპირველეს ყოვლისა კენეტ უოლცი, თავისი საერთაშორისო პოლიტიკის თეორიით, ასევე რობერტ ჯერვისი, ჯეკ სნაიდერი და სტივენ ვან ევერა. თავდასხმით რეალიზმს არც ისე ბევრი მომხრეები ჰყავს. მისი ყველაზე თვალსაჩინო და ერთგული წარმომადგენელი არის ჯეიმს მირშიმერი, რომლის წიგნი, *“ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია,”* თავდასხმითი რეალიზმის გაღრმავებას და შესწავლას ეძღვნება.

როგორც უკვე იქნა განხილული, რეალიზმი ეყრდნობა სამ ძირითად მოსაზრებას. პირველი ის არის, რომ სახელმწიფოები არიან ძირითადი აქტორები, და მათგან რეალისტები ფოკუსს ახდენენ ძლიერ სახელმწიფოებზე, რადგანაც ისინი დომინირებენ საერთაშორისო პოლიტიკას და ხშირად უდიდესი მოვლენების ინიციატორები არიან. მეორე პრინციპი - სახელმწიფოების ქმედებები განპირობებულია სისტემის სტრუქტურით და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს შინაგან ხასიათზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არ არსებობს ცუდი და კარგი სახელმწიფო, რადგან საბოლოო ჯამში ყველა სახელმწიფო, მიუხედავად იმისა თუ რა ტიპის რეჟიმი მართავს მას და რა კულტურა და პოლიტიკური სისტემა გააჩნია, ერთი და იგივე ლოგიკით ხელმძღვანელობს, რომელიც არის თვითგადარჩენა. მესამე, რეალისტებს მიიჩნიათ, რომ სახელმწიფოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ძალა და ძლიერება და სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძალაუფლებისათვის. ამ კონკურენციას ხშირად ომამდე მივყავართ, რაც რეალისტებისათვის თუმცა არასასიამოვნო, მაგრამ მაინც ბუნებრივი მოვლენაა. კარლ ფონ კლაუზევიცის კარგად ცნობილ სიტყვებს თუ გავიმეორებთ, ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით. სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოები ილტვიან ძალაუფლებისაკენ რადგან იგი არის გადარჩენის ერთადერთი სანდო საშუალება ანარქიის პირობებში. ძალაუფლება უდრის უსაფრთხოებას.

თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი, რა თქმა უნდა არის საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურული თეორია. ისინი იზიარებენ ზემოთ ჩამოთვლილ ფუნდამენტურ იდეებს საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ. მხოლოდ, მათი გზები იყრება, როდესაც ჯერი მიდგება ძალაზე და ძალაუფლებაზე. თავდასხმითი რეალიზმი გამოეყოფა თავდაცვით რეალიზმს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ძალა ესაჭიროება, ან ყოფნის სახელმწიფოებს. თავდაცვითი რეალიზმის აპოლოგეტები თვლიან, რომ საერთაშორისო სტრუქტურა ისე არის მოწყობილი, რომ სახელმწიფოებს აქვთ ცოტა საბაბი (incentive) იმისათვის, რომ მათ უფრო მეტი ძალაუფლება მოიხვეჭონ. ნაცვლად ამისა, თავდაცვითი რეალიზმი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები იბრძვიან *სტატუს-კვოს* შესანარჩუნებლად და დიდ ყურადღებას აქცევენ ძალთა ბალანსს სისტემაში. აქედან გამომდინარე, *თავდაცვითი რეალიზმის* მიხედვით **სახელმწიფოთა მთავარი მიზანია ძალის შენარჩუნება და არა გაზრდა.** თავდასხმითი რეალიზმი კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ არ არსებობს *სტატუს-კვო* სახელმწიფოები. საერთაშორისო სისტემა ქვეყნებს სთავაზობს საკმარის მიზეზებს/შესაძლებლობებს იმისათვის, რომ ისინი ყოველთვის ილტვოდნენ თავიანთი ძლიერების გაზრდისაკენ სხვა სახელმწიფოების

ხარჯზე და გამოიყენონ ისეთი სიტუაციები, როდესაც წამოწყების ღირებულება/შედეგი აღემატება დანახარჯებს (cost-benefit calculation). ამრიგად, თავდასხმითი რეალიზმის თვალსაზრისით სახელმწიფოთა საბოლოო და უზენაესი მიზანია იყოს ჰეგემონი სისტემაში.³⁹

რეალიზმის ამ ორ მიმდინარეობად დაყოფას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგანაც ორივე - თავდასხმითი და თავდაცვითი თეორია, ცდილობს პასუხი გასცეს საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა ომი და მშვიდობა. მაგალითად, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ მართლა როგორ არის საერთაშორისო პოლიტიკა მოწყობილი. რა უფრო ადარდებთ სახელმწიფოებს: თავიანთი *სტატუს-კვოს* და შესაბამისად სისტემაში ძალთა ბალანსის შენარჩუნება, თუ თავიანთი ძალაუფლების გაზრდა ნებისმიერი საშუალებებით და იმდენი ძლიერების დამატება რამდენიც ხელ ენიჭებად. ამ ორ განსხვავებულ თეორიულ ხედვას ჩვენთვის რა თქმა უნდა აქვს ის ძირითადი მნიშვნელობა, რომ მათი საშუალებით უდნა ავხსნათ სახელმწიფოთა საქციელი წარსულში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მომავალში. ისინი საკუთარ თეორიულ პრინციპებზე დაყრდნობით ხსნიან, თუ რატომ ხდება ომები, როდის უფრო შესაძლებელია სახელმწიფოები წავიდნენ ომში და როდის არა. მართლა იყენებენ თუ არა სახელმწიფოები ყველა მომენტს იმისათვის, რომ გაზარდონ თავიანთი ძლიერება და რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ მსოფლიო უფრო სტაბილური გახდეს და ასე შემდეგ.

ზოგიერთი თეორეტიკოსები, მაგალითად, როგორცაა რობერტ ჯერვისი, ჯეკ სნაიდერი და სტივენ ვან ევერა ყურადღებას ამახვილებენ ერთგვარ სტრუქტურულ კონცეფციაზე, რომელსაც უწოდებენ **თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსს** (offense-defense balance). ამ იდეის დედააზრი ის არის, რომ სამხედრო ძლიერება ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული ან თავდასხმის სასარგებლოდ, ან თავდაცვის სასარგებლოდ. თუ თავდაცვას აქვს ნათელი უპირატესობა თავდასხმასთან შედარებით დაპყრობის წარმოება არის უფრო რთული და შესაბამისად დიდ სახელმწიფოებს აქვთ ნაკლები მოტივი, რომ გამოიყენონ ძალა. ამის ნაცვლად ისინი ყურადღებას გადაიტანენ იმის შენარჩუნებაზე, რაც მათ უკვე გააჩნიათ. და პირიქით, თუ თავდასხმა არის უფრო იოლი, სახელმწიფოები განიცდიან ცდუნებას დაიპყრონ ერთმანეთი ძლიერების გაზრდის მიზნით. ეს ხდება სისტემაში უამრავი ომების გამომწვევი მიზეზი.

ვან ევერას მიხედვით, ომის საშიშროება არის უფრო მაღალი როდესაც დაპყრობის წარმოება არის ადვილი და შესაბამისად ცვლილება თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსში დიდ ზეგავლენას ახდენს ომის ალბათობაზე.⁴⁰ იგი გამოჰყოფს ომის გამომწვევ 10 მიზეზს, როდესაც თავდასხმა არის დომინანტური:

1. ოპორტუნისტური ექსპანსია;
2. თავდაცვითი ექსპანსია;
3. თავდასხმისაგან აქტიური თავისდაცვა;
4. პირველი დარტყმა უფრო მომგებიანია – პრევენტიული ომების საშიშროება;
5. მეტი შანსები – მეტი სირთულეები;
6. დიპლომატიური ტაქტიკები რომლებიც ომის გამომწვევ მიზეზებად გვევლინებიან;
7. სახელმწიფოები ნაკლებად შედიან მოლაპარაკებებში და აღწევენ უფრო ნაკლებ შეთანხმებებს;

³⁹ John j. Mearsheimer , Tragedy of Great Power Politics, p. 21

⁴⁰ Stephen Van Evera, "Offense, Defense, and the Causes of War," *International Security*, Vol 22, No. 4 (Spring 1998), 5.

8. სახელმწიფოები უფრო გასაიდუმლოების პოლიტიკას მისდევენ;
9. სახელმწიფოები უფრო აქტიურ და სწრაფ შეიარაღებას ეწევიან;
10. თავდასხმა უფრო და უფრო ადვილდება.

ვან ევერა ფიქრობს, რომ **თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსის ცვალებადობაზე** ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: სამხედრო ტექნოლოგია და დოქტრინა, გეოგრაფია, ეროვნულ-სოციალური სტრუქტურა და დიპლომატიური გარემოებები (კერძოდ, თავდაცვითი ალიანსები და დამაბალანსებელი აქტები ხმელეთსგაღმა ძლიერი სახელმწიფოების მიერ). თავდასხმისა და თავდაცვის ჯამური ბალანსი ამ ფაქტორების საერთო ჯამზეა დამოკიდებული.

სამხედრო ფაქტორები

სამხედრო ტექნოლოგიები, დოქტრინა, ძალთა სტრუქტურა და განლაგება, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს **თავდასხმისა და თავდაცვის ბალანსზე**. მაგალითისთვის ვან ევერა ამბობს, რომ პირველ მსოფლიო ომამდე თავდაცვას ქონდა უპირატესობა, რადგან ამ დროს გამოიგონეს მცირე ზომის იარაღები, რკინიგზა და მავთულხლართი, რომლებიც თავდაცვის საშუალებებად გამოიყენებოდა. 1919-1945 წლებში თავდასხმის პოტენციური ალსდგა მოტომსროლელი ბრიგადების და თავდასხმის დოქტრინის – ბლიცკრიგის შემოღების შედეგად. ამ ყოველივემ დაძლია ზემოთ მოცემული თავდაცვის საშუალებები. 1945 წლის შემდეგ თერმოატომური იარაღების გამოგონების შედეგად თავდაცვის პოტენციური ალსდგა, ამჯერად, დიდი უპირატესობით.

ვან ევერა ასევე აღნიშნავს, რომ ტექნოლოგია და დოქტრინა კომბინირებულად საზღვრავენ თავდასხმის და თავდაცვის მოქცევებს, მაგრამ ზოგჯერ დოქტრინა და ტექნოლოგია ერთმანეთს არ შეესაბამება. მაგალითად, 1945-1991 წლებში, სუპერ სახელმწიფოებს ჰქონდათ თავდასხმითი დოქტრინები, მაგრამ ვერ მოძებნეს ეფექტური კონტრ-იარაღი ატომური იარაღის წინააღმდეგ. შესაბამისად, მათი მოქმედებები არ იყო თავდასხმითი.

გეოგრაფია

გეოგრაფიულად ძნელად მისადგომი საზღვრები არის უფრო ძნელად დასაპყრობი. თუ სახელმწიფო საზღვრები ემთხვევა ოკეანეს, ტბებს, მთებს, ფართო მდინარეებს, ჯუნგლებს, უდაბნოებს და სხვა ბუნებრივ ბარიერებს ეს აფერხებს თავდამსხმელებს და ზურგს უმაგრებს თავდამცველებს. ასეთივე ეფექტი აქვს ადამიანის მიერ შექმნილ საზღვრებს და ბუფერულ ზონებს (მესამე სახელმწიფოები ან დემილიტარიზებული ზონები) სადაც ვერც ერთი მხარე ვერ შევა მშვიდობის პირობებში. ასევე, დაპყრობა აფერხდება, როცა სახელმწიფო არის ვრცელი. მით უმეტეს, თუ მისი ეკონომიკა არის თვითმყოფადი და არ რეაგირებს იზოლაციაზე.

მაგალითად, დასავლეთ ევროპა უფრო დაცულია ამ მხრივ ვიდრე აღმოსავლეთი. არის ქვეყნები, მაგალითად როგორც ისრაელი, რომელსაც გააჩნია პატარა ტერიტორია და ბუნებრივად გაშლილი საზღვრები რის გამოც მთელი მისი ეკონომიკური მნიშვნელობის ობიექტები და მოსახლეობის უმეტესობა განლაგებულია ღია ტერიტორიაზე. ამის საპირისპიროდ, თავდაცვითი გეოგრაფიის თვალსაჩინო ქვეყანაა აშშ, უზარმაზარი ტერიტორიით, რომელსაც გარს არტყია ოკეანეები და გააჩნია დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ეკონომიკა.

დღესდღეობით, დემოკრატიულად არჩეული რეჟიმების დაპყრობა უფრო რთულია, ვიდრე არადემოკრატიულის, მაგრამ წარსულში საპირისპირო უფრო შეესაბამებოდა სიმართლეს. დღესდღეობით არაპოპულარული მთავრობის მქონე ქვეყნის დაპყრობა თუნდაც საზღვარგარეთიდან მართული რევოლუციის გზით არის შესაძლებელი. *სუბვერცია* იგივე თავდასხმის ფორმაა, რადგან ეს მოვლენები ისეთივე ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორსაც თავდასხმითი ომები. 1792 წელს საფრანგეთის რევოლუციურ რეჟიმს და ავსტრიის ოლიგარქიულ რეჟიმს ურთიერთ შიში ჰქონდათ, რომ რომელიმეს მეორის სუბვერცია არ მოეხდინა, რამაც გამოიწვია ორივე მხარის აგრესიულობა. რუსეთის რევოლუციის შემდეგ იგივე შიში წარმოიშვა რუსეთსა და დასავლეთს შორის, რამაც დასაბამი მისცა კონფლიქტს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის, რადგან თითოეულ მხარეს ემინოდა არ გამხდარიყო მეორის მიერ იდეოლოგიური სუბვერციის საგანი.

დაახლოებით 1800 წლამდე რეჟიმების პოპულარულობა თავდასხმის ნისქვილზე ასხამდა წყალს, 1800 წლის შემდეგ კი უფრო თავდაცვის სამსახურშია. ეს ცვალებადობა გამოიწვეულია იაფი და მასობრივად წარმოებადი იარაღების არსებობით, რომლებიც აქტიურად გამოიყენება პარტიზანულ ბრძოლებში, რის შედეგადაც მოხდა დემოკრატიულად არჩეული რეჟიმების თავდაცვის გაძლიერება.

ზემოთ მოცემულ თავდაცვისა და თავდასხმის თეორიაზე დაყრდნობით ვან ევერა გვთავაზობს სამ ძირითად პროგნოზს:

1. ომი არის უფრო გავრცელებული მაშინ, როდესაც დაპყრობა ადვილია, ან როცა სახელმწიფოებს ჰგონიათ რომ ეს ასეა. ნაკლებ გავრცელებული მაშინ, როდესაც დაპყრობა ძნელია, ან ჰგონიათ რომ ძნელია;
2. სახელმწიფოები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათ შეუძლიათ თავდასხმის განხორციელება ან სახელმწიფოები, რომელთა თავდაცვაც არის სუსტი, წამოიწყებენ უფრო მეტ ომებს ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოები;
3. ნებისმიერი სახელმწიფო წამოიწყებს ომებს და იბრძოლებს უფრო მეტი სიხშირით იმ პერიოდებში, როდესაც მას აქვს ან ფიქრობს, რომ აქვს თავდასხმის დიდი შესაძლებლობები და თავდაცვითი საშუალებები.⁴¹

⁴¹ Van Evera, გვ. 22

ლექცია VI ლიბერალიზმი

ლიბერალიზმის სკოლის განვითარება საერთაშორისო ურთიერთობებში მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფოების აღმოცენებასთან და ისეთ ლიბერალურ მოაზროვნეებთან როგორებიც არიან ჯონ ლოკი, ჯერემი ბენტამი და ემანუელ კანტი.

რეალიზმისგან განსხვავებით ლიბერალიზმი ფოკუსს ახდენს ადამიანის დადებით მხარეებზე, თუმცა კი, არ უარყოფს მათ ავ თვისებებსაც. ლიბერალიზმი ზოგადად აღიარებს, რომ ადამიანის ბუნებას აქვს ბნელი მხარე, მაგრამ ამავე დროს მათი თეორიის საფუძველს ქმნის მოსაზრება, რომ ადამიანები არიან რაციონალურები და რომ რაციონალურობის პრინციპი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას საერთაშორისო საქმიანობაშიც. რაციონალურობა ლიბერალიზმის გაგებით კი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს აქვთ საერთო ინტერესები და მათ მისაღწევად ისინი თანამშრომლობაზე და დიალოგზე წავლენ როგორც ურთიერთშორის, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დონეზე. ლიბერალების რწმენით, თანამშრომლობას მოაქვს სარგებელი ყველასათვის. ეს პრინციპები, რა თქმა უნდა დიდად ეწინააღმდეგება რეალიზმის ძირეულ პრინციპებს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები არიან რაციონალურები და ეგოისტები და რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ფარდობით მოგებას რაც ძალიან ზღუდავს თანამშრომლობას.

ლიბერალიზმის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ ადამიანური გონიერება დასძლევს შიშს და მით გამონვეულ ლტოლვას ძალისა და ძლიერებისადმი. ამ პროცესს ისინი კაცობრიობის პროგრესად აღიქვამენ. მხოლოდ, ლიბერალური თეორიის მიმდევრები ვერ თანხმდებიან იმ სიძნელეების სირთულისა და ხანგრძლივობის ხარისხზე, რომელიც კაცობრიობამ უნდა გადალახოს.

კიდევ ერთი მთავარი განსხვავება რეალიზმსა და ლიბერალიზმს შორის არის ამ ორი თეორიის მოსაზრებები სახელმწიფოს შესახებ. რეალიზმი სახელმწიფოს განიხილავს როგორც ძალის და ძლიერების კონცენტრაციას, ხოლო ლიბერალები როგორც კონსტიტუციურ წარმონაქმნს, რომელიც აწესებს და მეთვალყურეობს კანონის უზენაესობას. ასეთი სახელმწიფოები პატივს სცემენ ურთმანეთს და ემორჩილებიან საერთაშორისო სამართალს, რომელიც ემყარება ურთიერთგების (reciprocity) პრინციპს. სწორედ ეს იდეაა გადმოცემული ჯერემი ბენტამის ნაშრომში, რომელიც ითვლება ლიბერალური თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად და რომელმაც, როგორც ცნობილია პირველმა გამოიყენა ცნება საერთაშორისო სამართალი. იგივე არგუმენტი უფრო ფართოდ არის გადმოცემული ემანუელ კანტის მიერ, რომელიც თვლიდა, რომ კონსტიტუციური და ურთიერთპატივისმცემელი რესპუბლიკები საბოლოოდ დაამყარებდნენ “სამუდამო მშვიდობას” (perpetual peace).

მართალია, დღევანდელი მსოფლიო როგორც ყოველთვის შორსაა სამუდამო მშვიდობის ეპოქიდან, განსაკუთრებით 9/11 შემდეგ გახშირებული ტერორისტული შემოტევების და მას მოყოლილი რეაქციების შემდეგ, მაგრამ ლიბერალური თეორიის პრინციპი იგივე რჩება: მოდერნიზაცია განაპირობებს პროგრესს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში და აფართოებს ასპარეზს თანამშრომლობისათვის. პასუხგასაცემი მხოლოდ ის რჩება რა ხარისხის მოდერნიზაცია და პროგრესია საჭირო იმისათვის, რომ მსოფლიო მშვიდობიანი გახდეს.

ლიბერალური თეორიაც, ისევე როგორც უკვე განხილული რეალიზმი, იყოფა რამოდენიმე მთავარ მიმდინარეობად. მათ შორის ყველაზე გამოკვეთილი თეორიები არის *დემოკრატიული მშვიდობის თეორია*, *საერთაშორისო უსაფრთხოების თეორია*, *სოციოლოგიური ლიბერალიზმი*, *ურთიერთდამოკიდებულების თეორია* და

ინსტიტუციური ლიბერალიზმი. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ლიბერალური სკოლის არსი და ამ სკოლის მიერ რეალური მოვლენების შეფასების და ახსნის შესაძლებლობები, საჭიროა ეს თეორიები განვიხილოთ ცალცალკე. ამავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური სკოლის ყველა მიმდინარეობა ერთნაირი წარმატებით არ სარგებლობს. ზოგიერთმა თეორიამ ვერ გაუძლო მოვლენათა განვითარებას და ბევრი კრიტიკა დაიმსახურა, ზოგი კი ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევს რეალიზმის გაბატონებულ სკოლას და გვთავაზობს მსოფლიო პოლიტიკის ახსნის ანგარიშგასაწევ გზებს.

სოციოლოგიური ლიბერალიზმი

სოციოლოგიური ლიბერალიზმის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არ არის მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები, არამედ იგი მოიცავს ტრანსნაციონალურ ურთიერთობებს, ანუ, ურთიერთობებს ადამიანებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს განეკუთვნებიან. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება რეალიზმის სკოლას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს განიხილავს როგორც მკაცრად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს და სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვნად მიაჩნია. იმის გამო, რომ ლიბერალიზმი ყურადღებას ამახვილებს არა მარტო სახელმწიფოზე და ეროვნულ მთავრობაზე, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებზე, მას ხშირად მოიხსენიებენ ტერმინით “პლურალიზმი.”

ტრანსნაციონალური ურთიერთობები **ჯეიმს რუზენაუს** განმარტებით არის “პროცესი, რომელშიც მთავრობათაშორისი საერთაშორისო ურთიერთობები გაჯერდა კერძო პირების, ჯგუფების, და საზოგადოებათაშორისი ურთიერთობებით, რომლებსაც შეუძლიათ და აქვთ კიდევაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოვლენათა მსვლელობაზე.”⁴² ბევრი ფიქრობს, რომ ტრანსნაციონალური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ქმნის სრულიად ახლებურ საზოგადოებრივ ფორმირებებს, რომლებიც თანაცხოვრობენ და ზოგჯერ კონკურენციასაც კი უწევენ სახელმწიფოს.

ამ მრავალმიმართულებიანი ურთიერთობების ასაღწერად **ჯონ ბარტონმა** გამოიყენა ეგრეთ წოდებული **“ობობას ქსელის”** ტრანსნაციონალური ურთიერთობების მოდელი. ეს მოდელი დემონსტრირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო შედგება ბევრი სხვადასხვა ჯგუფებისაგან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ტიპის საგარეო კავშირები და სხვადასხვა ინტერესები. მაგალითად, რელიგიური ჯგუფები, ბიზნეს წრეები, პროფესიული კავშირები და ასე შემდეგ. ეს მოდელი მკვეთრად ეწინააღმდეგება რეალიზმის სკოლის მიერ დამკვიდრებულ **“ბილიარდის ბურთის”** მოდელს, რომელიც სახელმწიფოთა სისტემას ხატავს როგორც ბილიარდის ბურთების ნაკრებს. ბილიარდის ბურთი გამოხატავს ერთიან და შეკრულ სახელმწიფოს. ბარტონის მიზანია გვაჩვენოს, რომ მსოფლიოს ახასიათებს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლება ვიდრე ანტაგონიზმი და კონფლიქტები.

თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში ჯეიმს რუზენაუმ კიდევ უფრო გააღრმავა თავისი ტრანსნაციონალური ურთიერთობების თეორია იმით, რომ ამჯერად ყურადღება გაამახვილა ადამიანების ურთიერთობაზე მაკრო დონეზე. მისი თქმით ინდივიდუალურ ოპერაციებს დიდი გავლენა აქვთ მსოფლიო საქმეებზე. დღევანდელი უკეთ ინფორმირებული, უკეთ განათლებული და უფრო მობილური ადამიანები ნაკლებად არიან დამოკიდებული თავიანთ სახელმწიფოზე. აქდან გამომდინარე, რუზენაუ გვამცნობს, რომ სახელმწიფო-ცენტრული და ანარქიული სისტემა მართალია არ

⁴² James Rosenau, *The Study of Global Interdependence: Essays on the Transnationalism of World Affairs*. New York: Nichols. Quoted in Jackson and Sorensen, p. 109

გადაგვარებულა, მაგრამ მასთან ერთად თანაარსებობს მულტი-ცენტრული მსოფლიო, რომელიც შედგება სხვადასხვა “სუვერენიტეტისგან თავისუფალი” (sovereignty free) კოლექტივებისგან, რომლებიც არსებობენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად და კონკურენციაში არიან სახელმწიფო ცენტრული სამყაროს “სუვერენიტეტით შეზღუდულ” (sovereignty bound) აქტორებთან.⁴³ რუზენაუ ფიქრობს, რომ პლურალისტული მსოფლიო, რომელსაც ახასიათებს ინდივიდებისა და ჯგუფების ტრანსნაციონალური ქსელები უფრო მშვიდობიანი იქნება, მაგრამ ასევე დასძენს, რომ ასეთი მსოფლიო ასევე უფრო არასტაბილური იქნება, რადგან ძველი წყობა რომელიც სახელმწიფოებს ეფუძნება ნგრევის პროცესშია. მიუხედავად ამისა, კონფლიქტები იშვიათად მიგვიყვანენ ომამდე, რადგან ბევრი კოსმოპოლიტანი პიროვნებები, რომლებიც განეწიანებული იქნებიან ბევრ სხვადასხვა ორგანიზაციაში ადვილად არ გახდებიან ანტაგონისტურ ბანაკებად დაყოფილი მტრები.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, სოციოლოგიური ლიბერალიზმი განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობებს არა მარტო როგორც ურთიერთობებს ქვეყნებს შორის, არამედ როგორც ურთიერთობებს ინდივიდებს, ჯგუფებს და საზოგადოებებს შორის. დედააზრი კი ის არის, რომ ურთიერთგადამფარავი ურთიერთობები ხალხებს შორის არის უფრო თანამშრომლური ვიდრე სახელმწიფოებს შორის ვინაიდან და რადგანაც სახელმწიფოები არიან ექსკლუზიურები და მათი ინტერესები ერთმანეთს იშვიათად გადაკვეთენ და ფარავენ. მაშასადამე, სოციოლოგიური ლიბერალიზმის აზრით, რაც უფრო ხშირია ტრანსნაციონალური ურთიერთობები მით უფრო მშვიდობიანი იქნება მსოფლიო.

ურთიერთდამოკიდებულების ლიბერალური თეორია

ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში ნიშნავს, რომ მთავრობები და ხალხები განიცდიან სხვა ქვეყანაში მომხდარი მოვლენების ზეგავლენას. ერთ-ერთი გავრცელებული ხატოვანი გამონათქვამით “პეპლის აფრენა ერთ ქვეყანაში იწვევს ქარიშხალს მეორე ქვეყანაში.” ამ გამონათქვამის დედააზრი არის სწორედ ის, რომ ცვლილებები ერთ ქვეყანაში ამა თუ იმ დონეზე, იქნება ეს ეკონომიკის თუ სამხედრო პოლიტიკური სფერო, ახდენს ზეგავლენას სხვა ქვეყნებზეც. მაგალითად, აზიის ფინანსური კრიზისის ნეგატიური ზეგავლენა იგრძნობოდა შორეულ ბრაზილიაშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთზე.

ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კიოჰანმა ჩამოაყალიბეს *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია (complex interdependence)* თავიანთ გახმაურებულ ნაშრომში *ძალა და ურთიერთდამოკიდებულება* (1977). ისინი ამბობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის გაცილებით უფრო რთული, ვიდრე იყო ომამდე. ადრე ურთიერთობები წარმოებდა სახელმწიფოს ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაჭრელად. უსაფრთხოების და თვითგადარჩენის “მაღალ პოლიტიკას” ჰქონდა უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების “მცირე პოლიტიკასთან” შედარებით.⁴⁴ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხანაში ეს უკვე ასე აღარ არის ორი მიზეზის გამო: პირველი, დღესდღეობით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ არის მხოლოდ ურთიერთობები ქვეყნის ლიდერებს შორის, არამედ არსებობს ურთიერთობები ბევრ სხვადასხვა დონეზე

⁴³ James Rosenau, “Citizenship in a Changing Global Order,” in J. N. Rosenau and E. O. Czempiel (eds) *Governance Without Government: Order and Change in World Politics*. Cambridge: Cambridge University Press, 272-94. Quoted in Jackson and Sorensen. გვ. 115.

⁴⁴ Jackson and Sorensen, გვ. 114.

ბევრი სხვადასხვა აქტორების და სამთავრობო განშტოების გავლით. მეორე, წარმოებს ხშირი ურთიერთობები ადამიანებს და ჯგუფებს შორის სახელმწიფოს ჩაურევლად. *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების* პირობებში სამხედრო ძალა პოლიტიკის წარმოების ნაკლებად გამოყენებადი ინსტრუმენტია.

ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხდება სხვადასხვა ჯგუფების ფორმირება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ამ საკითხებს ახასიათებთ სხვადასხვა ხარისხის კონფლიქტურობა. ამ კონფლიქტების უმრავლესობისთვის სამხედრო ძალა შეუფერებელი ინსტრუმენტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ეპოქაში ძალას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და სხვა რესურსები უფრო ფასობს, მაგალითად, როგორცაა მოლაპარაკების წარმოების უნარჩვევები (negotiating skills). და ბოლოს, მარტივი *ურთიერთდამოკიდებულების* ხანისგან განსხვავებით კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხანაში სახელმწიფოები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალურ სფეროს ვიდრე ეროვნულ უსაფრთხოებას. მოკლედ რომ ითქვას, რეალიზმის საპირისპიროდ, *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია* მოიაზრებს გაცილებით უფრო მშვიდობიან და უსაფრთხო მსოფლიოს.

კომპლექსურ ურთიერთდამოკიდებულებას აქვს შემდეგი შედეგები:

1. სახელმწიფოები სინქრონულად განახორციელებენ სხვადასხვა ინტერესებს და ტრანსნაციონალური აქტორები, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები შეეცდებიან საკუთარი ინტერესების განხორციელებას სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად;
2. ძალა და ძლიერება განისაზღვრება ცალკეული სფეროების მიხედვით. მაგალითად, ნაის და კიოჰენის მოჰყავთ დანიის და ნორვეგიის მაგალითი, რომ მათ აქვთ შესამჩნევი ძლიერება საერთაშორისო ნაოსნობაში, რადგან ჰყავთ დიდი სავაჭრო და ტვირთმზიდი ფლოტილები, მაგრამ ეს გავლენა სხვა სფეროებზე არ ვრცელდება;
3. საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობა გაიზრდება, რადგან მხოლოდ ისინი არიან პატარა ქვეყნების პოლიტიკური ქმედებების ასპარეზი და ამავედროულად ისინი მეთვალყურეობენ დღის წესრიგის დაგეგმვას საერთაშორისო დონეზე.

აღსანიშნავია, რომ *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება* ჰომოგენური არ არის და ის მხოლოდ მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონებზე ვრცელდება, როგორცაა დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ანუ, ასეთი ურთიერთობები აღენიშნებათ პლურალისტულ, ინდუსტრიულ სახელმწიფოებს. *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მოდერნიზაციასთან ერთად და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.*

სწორედ ამ მოდერნიზაციის გავლენის გამოძახილია ნაის და კიოჰენის უახლესი ნაშრომი ამ თემაზე, *“ძალა და ურთიერთდამოკიდებულება საინფორმაციო საუკუნეში,” რომელიც* ავტორებმა 1998 წელს სტატიის სახით დაბეჭდეს ცნობილ ჟურნალ **საგარეო ურთიერთობებში (Foreign Affairs)**. ამ სტატიის სიახლე ისაა, რომ ნაი და კიოჰენმა ყურადღება მიაპყრეს საერთაშორისო ურთიერთობებში ინფორმაციის მნიშვნელობას და გვამცნეს, რომ “სავარაუდოა რომ ახალ საუკუნეში სინფორმაციო ტექნოლოგია იქნეს ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი (power resource).”⁴⁵ მათი თქმით, უკვე დაიწყო ახალი

⁴⁵ Robert O. Keohane, Joseph Nye Jr. “Power and interdependence in the information age,” *Foreign Affairs*, Sept/Oct 1998, pp. 77 -75.

ხანა, ე.წ. **“საინფორმაციო რევოლუცია”** რომელიც ჯერ კიდევ სანყის ეტაპზეა, მაგრამ უკვე იქონია დიდი ზეგავლენა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამ ძირითად კომპონენტებზე:

1. საზოგადოებათაშორისი კონტაქტები;
2. სამხედრო ძლიერების როლის შესუსტება;
3. უსაფრთხოება, როგორც ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი.

საინფორმაციო რევოლუციამ საგრძნობლად შეცვალა კომპლექსური ურთიერთ-დამოკიდებულების პირველი კომპონენტი, რადგანაც ინტერნეტმა და ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა საშუალებებმა მნიშვნელოვნად გაახშირეს და გააღრმავეს კონტაქტები ქვეყნებს შორის. სამხედრო ძალა და უსაფრთხოება კი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში. ავტორები ასახელებენ ორ მიზეზს, თუ რატომ ვერ გარდაქმნა საინფორმაციო რევოლუციამ მსოფლიო პოლიტიკა:

1. ინფორმაცია გაედინება არა ვაკუუმში, არამედ პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც უკვე დაკავებულია. პოლიტიკა ძერწავს საინფორმაციო რევოლუციას და პირიქით (რევოლუცია პოლიტიკას);
2. მშვიდობის დემოკრატიული ზონის გარეთ სახელმწიფოების მსოფლიო არ არის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიო.

ნაი და კიოჰენი გამოყოფენ ორი ტიპის ძალას: ქცევითი ძალა (behavioral power) და სარესურსო ძალა (resource power).

- **ქცევითი ძალა** გაძლევს საშუალებას მიიღო ის შედეგი, რომელიც შენ გსურს. არსებობს ორი ტიპის ქცევითი ძალა:

- **რბილი ძალა (soft power)** – შესაძლებლობა მიაღწიო სასურველ შედეგებს რადგან სხვებს უნდათ ის, რაც გინდა შენ; ანუ შესაძლებლობა მიაღწიო შენს მიზანს მოზიდვის და არა ძალდატანების საშუალებით;

- **ხისტი ძალა (hard power)** - შესაძლებლობა გააკეთებინო სხვებს ის, რასაც ისინი სხვაგვარად არ გააკეთებდნენ ჯილდოების ან სასჯელის გამოყენებით;

- **სარესურსო ძალა** ნიშნავს იმ რესურსების ქონას, რომლებიც როგორც წესი გამოიყენებიან შედეგების მისაღწევად. როგორც ზემოთ ითქვა, ნაი და კიოჰენი თვლიან, რომ საინფორმაციო ტექნოლოგია იქნება ახალი საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი.

ნაი და კიოჰენი ასევე აღნიშნავენ, რომ ახალ საუკუნეში ინფორმაციის სიჭარბეს მიყვავართ ყურადღების მოდუნებასთან. ყურადღება ხდება იშვიათი რესურსი და ძალას იხვეჭენ ისინი ვისაც შეუძლიათ განასხვაონ მნიშვნელოვანი სიგნალები ფუჭი ხმაურისგან. ამ მოვლენას ნაი და კიოჰენი **სიჭარბის პარადოქსს** (paradox of plenty) უწოდებენ. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ასეთ გარემოში ე.წ. **სანდოობის რეპუტაცია** (reputation for credibility) რაც გამოიხატება სანდო ინფორმაციის მიწოდებაში, თუნდაც ეს შენი ქვეყნისათვის არასახარბიელო ინფორმაცია იყოს, ხდება ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ არის, რომ BBC მსოფლიოში აღიარებულ ინფორმაციის მიმწოდებლად ითვლება.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ბატალიები იმართება არა ინფორმაციის გადაცემის საშუალებებისათვის, არამედ იმისათვის, რომ შექმნა ან გაანადგურო ნდობა. ავტორები ასევე აღნიშნავენ ფაქტს, რომ ინფორმაციის საუკუნეში დემოკრატიულ ქვეყნებს აქვთ უპირატესობა.

თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს გამოდის, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება საინფორმაციო ხანაში ნიშნავს კომუნიკაციის უფრო მეტ არხებს მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებებს შორის. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო რევოლუცია ჯერ კიდევ ადრეულ ფაზაშია და ძალისმიერი პოლიტიკა (power politics) ჯერ კიდევ დომინირებს საერთაშორისო ურთიერთობებს. ამავდროულად, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება არ არის გლობალური მოვლენა და მხოლოდ ინდუსტრიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებზე ვრცელდება, რომლებიც ამკარა უპირატესობით სარგებლობენ.

ლექცია VII

რეჟიმები საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო რეჟიმების ყველაზე ფართო განსაზღვრებას გვაძლევს სტივენ კრაზნერი, რომელიც რეჟიმებს შემდეგნაირად აღწერს “იმ პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელთა თაობაზეც თანხვედრა მოქმედ პირთა მოლოდინები ამა თუ იმ სფეროში.” იგი ასევე იძლევა თითოეული ტერმინის განმარტებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პრინციპები – ესაა წარმოდგენები ფაქტზე, მიზეზობრიობასა და სისწორეზე. ნორმები – უფლებებისა და მოვალეობების საფუძველზე განსაზღვრული ქცევის სტანდარტები, წესები – ქცევის გარკვეული დირექტივები ან აკრძალვები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები კი – კოლექტიური არჩევნის გაკეთებისა და განხორციელების გაბატონებული მეთოდებია.

განასხვავებენ რეჟიმებსა და შეთანხმებებს. რეჟიმები უფრო მეტია ვიდრე დროებითი შეთანხმებები. შეთანხმებები საგანგებო და ხშირად ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო რეჟიმების მიზანია შეთანხმებების ხელშეწყობა. კრაზნერის მიერ ზემოთ მოცემული რეჟიმების განმარტება ყველაზე გავრცელებული და პარსიმონიულია და სხვა ბევრ დანარჩენ განსაზღვრებასთან მოდის შესაბამისობაში. რეჟიმებზე საუბრისას აუცილებელია განვსაზღვროთ ერთის მხრივ პრინციპები და ნორმები და მეორეს მხრივ, წესები და პროცედურები. პრინციპები და ნორმები რეჟიმის ძირითადი განმსაზღვრელი მახასიათებლებია. მრავალი წესი და პროცედურა შეიძლება შეესაბამებოდეს ერთსა და იმავე პრინციპებსა და ნორმებს. წესებსა და პროცედურებში მომხდარი ცვლილებები რეჟიმების შიდა ცვლილებებია იმ პირობით, რომ პრინციპები და ნორმები უცვლელია. პრინციპებსა და ნორმებში მომხდარი ცვლილებები თავად რეჟიმის ცვლილებას ნიშნავს. როდესაც არსებულ პრინციპებს და ნორმებს უგულვებლყოფენ ან ახალი რეჟიმი იქმნება, ან არსებული რეჟიმი მოცემული სფეროდან ქრება. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ფუნდამენტური პოლიტიკური დავები უფრო ნორმებსა და პრინციპებს შეეხება, ვიდრე წესებსა და პროცედურებს.

როდესაც რეჟიმის პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ნაკლებად შეთანხმებული ხდება ან თუ არსებული პრაქტიკა სულ უფრო მეტად აღარ შეესაბამება პრინციპებს, ნორმებსა და პროცედურებს, მაშინ რეჟიმი დასუსტებულია. მაგალითად, განვითარებული ქვეყნებისადმი განსაკუთრებული და დიფერენცირებული დამოკიდებულება იმის მაუწყებელია, რომ ლიბერალური რეჟიმი დასუსტდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩანაცვლება არ მომხდარა.

ამრიგად, კრაზნერი ასკვნის, რომ რეჟიმის შიდა ცვლილება გულისხმობს წესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, და არა ნორმებისა და პრინციპების შეცვლას; საკუთრივ რეჟიმების ცვლილება კი ნორმებისა და პრინციპების შეცვლას ნიშნავს, ხოლო რეჟიმის დასუსტება – რეჟიმის კომპონენტებს შორის შეთანხმებულობის დარღვევას ან რეჟიმისა და შესაბამისი ქცევის შეუთავსებლობას.

არსებობს დიდი დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლს ასრულებენ რეჟიმები საერთაშორისო პოლიტიკაში და აქვთ თუ არა მათ დამოუკიდებელი ზეგავლენა სახელმწიფოთა საქციელზე. კრაზნერი თავის სტატიაში გამოყოფს სამ მიდგომას რეჟიმებისადმი.

პირველი მიდგომის წარმომადგენელია სუზან სტრანჟი. მას რეჟიმების ცნების ღირებულების თაობაზე სერიოზული ეჭვები გააჩნია. მისი აზრით, აღნიშნული კონცეფცია დამლუპველია, ვინაიდან ის ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ინტერესებისა და ძალის ურთიერთმიმართებას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში ქცევის უშუალო და უპირველეს მიზეზად გვევლინება. სტრანჟის აზრით რეჟიმებს, თუ საერთოდ შესაძლებელია მათ არსებობაზე საუბარი, მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა აქვს ან

საერთოდ არავითარი. ისინი თანამდევნი მოვლენა უფროა. სტრანჟის პოზიცია ემთხვევა სტრუქტურულ მიდგომებს, რომლებიც პირად სარგებელზეა ორიენტირებული და ყურადღებას ამახვილებს რაციონალური მოქმედი პირებისაგან შემდგარ მსოფლიოზე.

რეჟიმებისადმი მეორე, მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომა ყველაზე ნათლად კიოჰინისა და სტაინის ნაშრომებშია მოცემული. ეს ორივე ავტორი ტრადიციული სტრუქტურული რეალიზმის ხედვიდან გამოდის (მსოფლიო შედეგება სუვერენული სახელმწიფოებისგან, რომლებიც საკუთარი ინტერესებისა და ძალის მაქსიმიზაციას ესწრაფიან). სუვერენული სახელმწიფოებისგან შემდგარ მსოფლიოში რეჟიმების ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფოთა ქცევის კოორდინაცია, გარკვეულ სფეროში სასურველი შედეგების მისაღწევად. სტაინი და კიოჰინის აზრით, რეჟიმებს შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მაშინ, როდესაც პირადი ინტერესის ინდივიდუალური, არაკოორდინირებული გათვლებით პარეტო-ოპტიმალური შედეგები ვერ მიიღწევა. პატიმრის დილემა არის ამის კლასიკური მაგალითი.

რეჟიმებისადმი მესამე მიდგომა გროციუსისეულ ტრადიციას ეფუძნება, რომელიც რეჟიმებს ყველა პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ ფენომენად მიიჩნევს. ამ მიდგომის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან რეიმონდ ჰოპკინსი, დონალდ პუჩალა და ორან იანგი. მათი აზრით, სახელმწიფო მოღვაწეები თითქმის ყოველთვის შეზღუდულად გრძნობენ თავს იმ პრინციპებით, ნორმებითა და წესებით, რომლებიც განსაზღვრავს ან კრძალავს სხვადასხვაგვარ ქცევას. მათი მოსაზრება სცდება რეალისტურ თვალთახედვას. პუჩალა და ჰოპკინსი თავიანთ არგუმენტს არა მხოლოდ იმ სფეროებს უკავშირებენ სადაც ხდება ინტერესთა თანხვედრა (სურსათი) არამედ იმ სფეროსაც, რომელიც, ზოგადად, ბევრად უფრო კონფლიქტურად ითვლება (კოლონიალიზმი). იანგი ასევე ამტკიცებს, რომ განმეორებადი ქცევა გარდაუვლად იწვევს შესაბამის მოლოდინს. ინტერესის გათვლების ამსახველი განმეორებადი ქცევა კი რეჟიმების შექმნას უწყობს ხელს, რომლებიც განმეორებად ქცევას აძლიერებენ.

ჰოპკინი და პუჩალა ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეალური მოქმედი პირები ელიტები არიან. სახელმწიფოები მხოლოდ იშვიათი აბსტრაქციაა. ელიტებს როგორც ნაციონალური, ისე ტრანსნაციონალური კავშირები აქვთ. სუვერენიტეტი ქცევითი ცვლადია და არა ანალიტიკური ვარაუდი. სახელმწიფოთა უნარი, გააკონტროლონ საზღვართამკვეთი გადაადგილებანი და შეინარჩუნონ გავლენა საერთაშორისო სისტემის ყველა ასპექტზე, შეზღუდულია. უსაფრთხოება და სახელმწიფოს გადარჩენა ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს. საერთაშორისო პოლიტიკაში არა მარტო ძალას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. ელიტები მოქმედებენ კომუნიკაციათა ქსელის ფარგლებში, რომლებიც წესებს, ნორმებსა და პრინციპებს მოიცავს და ეროვნულ საზღვრებს სცდება.

გროციუსისეული ხედვის მიმდევრები რეჟიმებს საერთაშორისო სისტემის ფართოდ გავრცელებულ და მნიშვნელოვან მოვლენად აღიარებენ. სტრუქტურული რეალიზმის მიმდევრები, კი რეჟიმებს განიხილავენ ფენომენად, რომლის შესახებაც ვარაუდების გამოთქმა შეუძლებელია და რომლის არსებობაც საფუძვლიან ახსნას მოითხოვს.

საბოლოოდ, კრაზნერი მოკლედ და შინაარსიანად აჯამებს რეჟიმებისადმი ამ სამი მიდგომის დედააზრს. ტრადიციული სტრუქტურული მიდგომა რეჟიმებს სერიოზულად არ აღიქვამს: თუ ძირითადი მიზეზობრივი ცვლადები შეიცვლება, რეჟიმებიც ცვლილებას განიცდის. რეჟიმები დამოუკიდებლად ვერ ახდენენ გავლენას ქცევაზე. მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომის თანახმად, რომელსაც რეალისტები გვთავაზობენ, რეჟიმები მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებამ არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიღოს. და ბოლოს, გროციუსისეული მიდგომა რეჟიმებს ადამიანთა განმეორებადი ურთიერთქმედების, მათ შორის საერთაშორისო სისტემაში, ქცევის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

რეჟიმების განვითარებას კრაზნერი ხსნის შემდეგი ძირითადი მიზეზობრივი ცვლადების მეშვეობით: ეგოისტური პირადი ინტერესი, პოლიტიკური ძალა, ნორმები და პრინციპები, პრაქტიკა და ჩვეულება, და ცოდნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟიმები უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ინსტიტუტები. ანუ, არსებობს ისეთი რეჟიმები, რომლებიც ფორმალური ორგანიზაციული ხასიათით არ არის გამოხატული, მაგალითად, კონფერენციებს საზღვაო კანონების შესახებ, (the law of the sea conferences), რომლებიც გაეროს ეგიდით მოეწყო, არ აქვთ ფორმალური საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგრამ ამ კონფერენციის ფარგლებში არსებობს გარკვეული მოლოდინები მასში გაერთიანებული წევრი სახელმწიფოებისა, რომლებიც ეფუძნება ნორმებს, წესებს და პრინციპებს და გადანყვეტილების მიღების განსაკუთრებულ პროცედურებს.

ინსტიტუციური ლიბერალები ამბობენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებს შესწევთ ძალა ხელი შეუწყონ თანამშრომლობას და უფრო სათუო გახადონ იგი, თუმცა ისინი შორს არიან იმ აზრისგან, რომ ინსტიტუტებს შეუძლიათ გარდაქმნან საერთაშორისო ურთიერთობები, ანუ ჩაანაცვლონ ანარქია სხვა ტიპის წესრიგით (გადააქციონ ჯუნგლები ზოოპარკად).⁴⁶ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ინსტიტუციური ლიბერალები იზიარებენ და სრულად ითავისებენ რეალიზმის პოსტულატებს საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ საბოლოო ჯამში ცოტა უფრო ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს, იმის საფუძველზე, რომ ინსტიტუტები და რეჟიმები ხელს უწყობენ თანამშრომლობას.

ლოგიკურად ისმება კითხვა, თუ რა არის ინსტიტუტები. ინსტიტუტები იგივე რეჟიმებია, რომლის განმარტება ზემოთ იყო მოხსენებული, მაგრამ ინსტიტუტებს აქვთ უფრო ფორმალური ხასიათი. მაგალითად ინსტიტუტებია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორცაა გაერო, ეუთო, ნატო, ევრო კავშირი და ასე შემდეგ. ინსტიტუტებია ასევე იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც მართავენ სახელმწიფოთა საქციელს გარკვეულ სფეროში, როგორცაა ავიაცია, ან ნაოსნობა. ეს წესები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასევე მოიხსენიებიან როგორც რეჟიმები. ხშირად ინსტიტუტები და რეჟიმები თანაარსებობენ. მაგალითად, გვაქვს სავაჭრო რეჟიმი, მაგრამ იგი ამავდროულად ფორმალური ინსტიტუტით არის გამოხატული, რომელიც არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

ინსტიტუციური ლიბერალები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ თანამშრომლობას. ამ საკითხს ისინი ბიჰევიორისტულად, ანუ მეცნიერულად უდგებიან. პირველ რიგში შეისწავლიან თანამშრომლობის დონის ინსტიტუციონალიზაციას ქვეყნებს შორის და თუ რამდენად შეუწყვეს ხელი ინსტიტუტებმა ამ თუ იმ სფეროში თანამშრომლობას. ინსტიტუციონალიზაციის დონე შეიძლება განისაზღვროს ორ განზომილებად: სიღრმისეულად და ფოკუსის მიხედვით. ფოკუსი შეეხება იმ საკითხებს, რომლებსაც ინსტიტუტი ეხება. სიღრმე იზომება სამი კომპონენტის მეშვეობით: *ერთგვაროვნება, კონკრეტულობა და ავტონომია*. არის კონკრეტული ფოკუსის მქონე ინსტიტუტები, როგორცაა ნატო ან ფართო ფოკუსის მქონე, როგორცაა გაერო და ნაწილობრივ ევროკავშირი. ასევე, არის რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები. თვისობრივად ისინი შეიძლება იყოს სამთავრობოთაშორისო (გაერო) ზესახელმწიფოებრივი (ევრო კავშირი) ან ტრანსნაციონალური (საერთაშორისო ამინისტრაცია).

ინსტიტუციური ლიბერალების მტკიცებით ინსტიტუტები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან თანამშრომლობისათვის, რადგან ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოთა შორის ნდობას ინფორმაციის მიწოდების და მოლაპარაკების ფორუმის შექმნის გზით. ინსტიტუტები ასევე ამცირებენ ტრანსაქციის დანახარჯებს ქვეყნებისათვის.

⁴⁶ Jackson and Sorensen, გვ. 117.

ინსტიტუტების ეს პოზიტიური ზეგავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე მუდმივი კრიტიკის საგანი ხდება რეალისტების მხრიდან, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან იდეას, რომ ინსტიტუტები არიან დამოუკიდებელი აქტორები, რომლებთაც შესწევთ უნარი გავლენა იქონიონ საერთაშორისო ურთიერთობებზე და წარმოქმნან თანამშრომლობა.

ყველაზე ცნობილი კრიტიკა ინსტიტუციური ლიბერალიზმისა მოცემულია ჯონ მირშაიმერის სტატიაში “ინსტიტუტების ცრუ დაპირება,” რომელიც გამოიცა 1994 წელს აკადემიურ ჟურნალ *საერთაშორისო უსაფრთხოებაში*. ამ სტატიამ გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის სპეციალისტებს შორის. მასზე ერთობლივი საპასუხო სტატია გამოსცეს ინსტიტუციონალისტებმა – რობერტ კიოჰინმა და ლიზა მარტინმა იმავე ჟურნალის შემდგომ ნომერში, ხოლო ამ კონტრ სტატიას მოჰყვა საპასუხო სტატია მირშაიმერისგან. ეს თეორიული კამათი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ მეორე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს და თუ ვის მხარეს გადაიხრება სასწორი დამოკიდებულია თანამედროვე მოვლენების მიმდინარე და შემდგომ განვითარებაზე.⁴⁷

⁴⁷ იხილეთ John J. Mearsheimer, “The False Promise of International Institutions,” *International Security*, (Winter 1994/5 Vol. 19, No. 3): 5-49. საპასუხო სტატია Robert O. Keohane and Lisa L. Martin, “The Promise of Institutionalist Theory,” *International Security*, (Summer 1995, Vol. 20, No.1): 39-51.

ლექცია VIII

თანამშრომლობა ანარქიის პირობებში

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მსოფლიოში კონფლიქტები სჭარბობს თანამშრომლობას. ეს გარემოება თავის მხრივ ხდება დომინანტური თეორიის, რეალიზმის არსებობის წყარო. რეალიზმის თანახმად სახელმწიფოთა თანაარსებობა ანარქიის პირობებში არის მუდმივი კონფლიქტის სიტუაცია, რომელშიც სახელმწიფოები მხოლოდ საკუთარი ძალის იმედზე არიან. ასეთ გარემოში თანამშრომლობა რთული და წარმოუდგენელი ხდება. თანამშრომლობის არსებული ფაქტები კი განიხილება როგორც ძალაუფლების მოსაპოვებლად წარმართული ბრძოლის ნაწილი. ხოლო არსებულ თანამშრომლობის შემთხვევებს მსოფლიო პრაქტიკაში რეალისტები მიაწერენ ჰეგემონის მიერ შექმნილ წესრიგს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჰეგემონი ანუ ამერიკის შეერთებული შტატები ქმნის ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომლობას. აგრამ, ეს ინსტიტუტები არიან ჰეგემონის ინტერესების მატარებლები და მათი არსებობა ეფუძნება ისევედასევე ჰეგემონის არსებობას.

ლიბერალური სკოლის წარმომადგენლები უარყოფენ ზემოთ მოცემულ მოსაზრებებს. ისინი სრულიად სამართლიანად მიაჩნებენ დღესდღეობით არსებულ უამრავ თანამშრომლობის ქსელებზე ფინანსების, ეკონომიკის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის, ტელეკომუნიკაციების და გარემოს დაცვის სფეროებში. თანამშრომლობის ფაქტები მათ მიერ განიხილება როგორც დადებითი მუხტი მსოფლიო პოლიტიკაში რომელიც საფუძველს უქმნის ჯერ კიდევ სუსტ, მაგრამ მაინც აღიარებულ მოსაზრებას, რომ კონფლიქტი არ არის გარდაუვალი გარემოება მსოფლიო პოლიტიკაში.

ანარქიის პირობებში თანამშრომლობაზე არსებობს უამრავი ნაშრომი ლიბერალური სკოლის სხვადასხვა წარმომადგენლების მიერ, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან შეისწავლიან საკითხს და სხვადასხვა თეორიებით ხსნიან მათ. ძირითადად ამ თეორიის ხერხემალი არის მოსაზრება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები/რეჟიმები ხელს უწყობენ თანამშრომლობას.

ლიბერალური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი რობერტ კიოჰენია. მისი წიგნი *“ჰეგემონიის შემდეგ: თანამშრომლობა და უთანხმოება მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიაში”* რომელიც პირველად 1984 წელს გამოვიდა, დღემდე წარმოადგენს ერთ-ერთ თვალსაჩინო სახელმძღვანელოს ანარქიისა და თანამშრომლობის შესახებ. ამ წიგნის მეცნიერული კვლევის საგანი გახლავთ თანამშრომლობა მსოფლიო პოლიტიკურ ეკონომიაში. კიოჰენი გამოთქვამს იმედს, რომ მის მიერ მოცემული დასკვნები შეიძლება განზოგადდეს უსაფრთხოებაზე, ჩრდილოეთის და სამხრეთის ურთიერთობებზე თუ სხვა ეკონომიკურ ურთიერთობებზე.⁴⁸ კიოჰენის მთავარი ჰიპოტეზაა - “შესაძლებელია ჰეგემონური რეჟიმების დაცემის შემდეგ წარმოიშვას უფრო სიმეტრიული თანამშრომლობის მაგალითები, უთანხმოების გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ.” იგი მაგალითად იღებს 1970-იან წლებს, როდესაც ამერიკის ჰეგემონობა მცირდება, მაგრამ თანამშრომლობა არ წყდება. მისი წიგნი სვამს კითხვებს: რა პირობებში შეიძლება დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა ითანამშრომლონ მსოფლიო პოლიტიკონომიის სფეროში და კერძოდ შეიძლება თუ არა თანამშრომლობა შედგეს ჰეგემონის გარეშე, და თუ კი, როგორ? ⁴⁹

კიოჰენი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამშრომლობის განმარტებას. იგი თავიდანვე აღიარებს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობაზე წერა განსაკუთრებით რთული საქმეა ერთი იმიტომ, რომ კონფლიქტი და უთანხმოება უფრო სჭარბობს

⁴⁸ Keohane, Robert, O. *“After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy.”* Princeton University Press, Princeton, New Jersey, 1984, p. 6

⁴⁹ იქვე, ..., გვ. 9.

მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და მეორე იმიტომ, რომ რთულია მისი მეცნიერული შესწავლა, ვინაიდან და რადგანაც თანამშრომლობა საკმაოდ ეფემერული კონცეფციაა, რომელსაც მრავალმხრივი და მრავალგვარი ნახნაგები გააჩნია. მისი თქმით, პოლიტიკოსები ხშირად თანამშრომლობას განიხილავენ არა როგორც საშუალებად თავის თავში, არამედ როგორც ინსტრუმენტს სხვა მიზნების მისაღწევად. მაგალითად, დიდი და ძლიერი ქვეყნების თანამშრომლობა რათა დაჩაგრონ ან გამოიყენონ სუსტნი. ასეთ თანამშრომლობას კიოჰეინი მხარს არ უჭერს. იგი ასევე აღიარებს, რომ თანამშრომლობამ შეიძლება ყოველთვის არ მიგვიყვანოს საუკეთესო შედეგებამდე, მაგრამ თანამშრომლობის გარეშე მსოფლიო მართლაც მომაკვდინებელი იქნებოდა.⁵⁰

კიოჰეინი განასხვავებს *თანამშრომლობას*, *ჰარმონიას* და *უთანხმოებას*. *ჰარმონია* არის სიტუაცია, როდესაც აქტორების ქმედებები (რომლებიც განხორციელდა საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით სხვისის გაუთვალისწინებლად) ავტომატურად ხელს უწყობს სხვისი მიზნების მიღწევას. ამის კლასიკური მაგალითი არის წარმოსახვითი მსოფლიო ეკონომიკა სადაც უხილავი ხელის მეშვეობით საკუთარი ინტერესების განხორციელება საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ყველას კეთილდღეობას. *ჰარმონია* მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან იშვიათი მოვლენაა. *ჰარმონიის*გან განსხვავებით თანამშრომლობა მოითხოვს, რომ ცალკეული ინდივიდების ან ორგანიზაციების ქმედებები – რომლებიც არ იმყოფებიან *ჰარმონიულ* სიტუაციაში – მოყვანილ იქნას შესაბამისობაში მოლაპარაკების პროცესის საშუალებით. ანუ, თანამშრომლობას ადგილი აქვს როდესაც აქტორები თავიანთ ქმედებებს უხამებენ სხვების ინტერესებს ქმედებების კოორდინაციის პროცესის მეშვეობით. თუ არ მოხდა ქმედებების შეჯერება, მაშინ ადგილი აქვს დისკორდს/კონფლიქტს. ეს არის სიტუაცია, როდესაც მთავრობები განიხილავენ ერთმანეთის პოლიტიკას როგორც მათი ინტერესების შემზღვეველს და ერთმანეთს აკისრებენ პასუხისმგებლობას ამ შეზღვევების გამო. *ჰარმონია* არის სრულიად აპოლიტიკური მოვლენა, ხოლო თანამშრომლობა ძლიერ პოლიტიკური. ამასთანავე, თანამშრომლობა არ ნიშნავს კონფლიქტის არარსებობას, არამედ იგი შეიძლება მოიცავდეს კონფლიქტებს, მაგრამ ამასთანავე მოიცავდეს კონფლიქტების გადაჭრის ნაწილობრივ წარმატებულ ძალისხმევებს.⁵¹

ლიბერალური ინსტიტუციონალისტები თანამშრომლობას ხსნიან თამაშის თეორიის მეშვეობით. ისინი თვლიან, რომ თანამშრომლობას ყველაზე მეტად ხელს უშლის ლალატის საშიშროება. თუ ლალატის საშიშროება ნაწილობრივ მაინც გადალახულ იქნა, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს თანამშრომლობას.

თანამშრომლობის სირთულეები კარგად არის ილუსტრირებული ე.წ. “პატიმრის დილემის” თეორიით. ისტორია შეეხება ორ დამნაშავეს, რომლებიც დაიჭირეს და ცალცალკე ჰყავთ დაკითხვაზე. პატიმპრებმა იციან, რომ თუ ისინი არ გამოტყდებიან მაშინ პროკურორს საკმარისი სამხილი არ ექნება და შეეძლება თითოეული მათგანი ციხეში ჩასვას მხოლოდ წესრიგის დარღვევისათვის, რაც გამოიხატება 30 დღიანი პატიმრობით. მაგრამ, თუკი ორივე გამოტყდება, თითოეულს მიუსჯიან 1 წელს. ეს პერსპექტივა თითქოს ორივეს აძლევს საბაბს, რომ არ გამოტყდნენ. მაგრამ ცბიერი პროკურორი ორივეს ცალცალკე სთავაზობს რომ თუ გამოტყდება ციხეში საერთოდ არ

ჩასვამს, ხოლო მის პარტნიორს მიუსჯიან 5 წელს. ამ სიტუაციაში თითოეულისთვის მართებული იქნებოდა გამოტყდომა იმისდა მიუხედავად თუ მეორე პარტნიორი რას მოიმოქმედებს. ანუ, თუ გამოტყდება, მოვლენები ასე განვითარდება: თუ თვითონ გამოტყდა და ამავე დროს მეორე პატიმარიც გამოტყდა ისინი ორივენი 1 წლით დაისჯებიან, მაგრამ ამით თავს დაიზღვევს 5 წლიანი პატიმრობისგან. თუ თვითონ გამოტყდა და მეორე პატიმარი არ გამოტყდა, მას გაათავისუფლებენ მეორე პატიმრის

⁵⁰ იქვე, ..., გვ. 11.

⁵¹ იქვე, ..., გვ. 51-53.

ხარჯზე. ანუ, ორი რაციონალური პიროვნება არჩევს ლალატს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს უარესი სასჯელი, მაშინ როდესაც თანამშრომლობით ორივე აიცილებდა სასჯელს მთლიანობაში. ამ თამაშში გამოტყდომა, ანუ ლალატი პარტნიორისათვის გამოდის რომ არის დომინანტური სტრატეგია ორივე მოთამაშისათვის. ეს თამაშის თეორია კარგად არის გამოხატული ციფრული მატრიცით:

პატიმრის დილემა

კევის არჩევანი

| | | თანამშრომლობა | ლალატი |
|----------------|---------------|---------------|------------|
| ჯემის არჩევანი | თანამშრომლობა | ჯ,ჯ (3,3) | ს, გ (1,4) |
| | ლალატი | გ, ს (4, 1) | ც,ც (2,2) |

ჯ – ჯილდო

ს – სასჯელი

გ – გათავისუფლება

ც – ციხე

პატიმრის დილემა ძირითადად გამოიყენება იმის საჩვენებლად, თუ რატომ არის კონფლიქტი და უთანხმოება ხშირი და თანამშრომლობა იშვიათი. მაგრამ, კიოჰენი იყენებს ამ მაგალითს საპირისპიროს დასამტკიცებლად. განმეორებადი პატიმრის დილემის მაგალითის მიხედვით პარტნიორები უფრო თანამშრომლობას არჩევენ, რადგანაც მომავალში მათ კიდევ მოუწევთ ერთმანეთთან საქმის დაჭერა და შესაბამისად იმიჯის გაფუჭება არ უღირთ მოკლევადიან მოგებად. აქიდან გამომდინარე კიოჰენი ასკვნის, რომ თანამშრომლობა აქტორებს შორის შეიძლება განვითარდეს ჰეგემონის არარსებობის პირობებშიც კი.

კიოჰენი ამბობს, რომ რეჟიმების ჩამოყალიბებაში ჰეგემონის არსებობა არ არის გადამწყვეტი. საერთაშორისო რეჟიმების არსებობა იმაზეა დამოკიდებული არსებობს თუ არა საერთო, ან შეთავსებადი ინტერესები, რომლებიც აღქმულია ან შეიძლება იქნეს აღქმული პოლიტიკური აქტორების მიერ. ამის შედეგად, საერთო ინტერესების მისაღწევად წარმართული საერთო ქმედებები რაციონალური ხდება. მართალია, ჰეგემონს შეუძლია შექმნას სახარბიელო გარემოება თანამშრომლობისათვის, ჯილდოების და სასჯელების დაწესების გზით, მაგრამ იგივე შეიძლება მოხდეს ჰეგემონის არარსებობისასაც თუკი ამისათვის საჭირო პირობები არსებობს. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს ქვეყნების პატარა ჯგუფის მიერაც კი, რომლებიც ერთმანეთს გაუნევენ მონიტორინგს რათა პატივი სცენ დაწესებულ ნორმებს და ქცევის წესებს და მათი სამთავრობო სტრატეგია იქნება სხვა მთავრობების კეთილდღეობა დამოკიდებული გახადონ მათ მიერ განგრძობად თანამშრომლობაზე რეჟიმის შიგნით. შესაბამისად, ინტენსიური ინტერაქცია რამოდენიმე მოთამაშეს შორის იძლევა საშუალებას ჩანაცვლოს ჰეგემონის არარსებობა. როგორც კი ჰეგემონის ძალაუფლება დაკნინებას განიცდის, თანდათანობით თანამშრომლობა გადავა *პოსტ ჰეგემონურ ფაზაში*. ამ ფაზაში თანამშრომლობა განპირობებული იქნება არა მარტო ჰეგემონის ნახალისებებზე, არამედ სხვა მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოებზე. ასეთი გარდამავალი

პერიოდი რთული შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ კიოჰინის აზრით შეუძლებელი არ არის⁵²

რობერტ ჯერვისი აგრეთვე წერს ანარქიის პირობებში თანამშრომლობის სირთულეების შესახებ. რობერტ ჯერვისი იყენებს ე.წ. *ირემზე ნადირობის თამაშის თეორიას*. ეს თამაში არის მონადირეებზე. თუ ისინი ითანამშრომლებენ და ირემზე ინადირებენ, მაშინ ყველა კარგად დანაყრდება. მაგრამ, თუ ერთი გამოაკლდება და კურდღელს დაუნყებს დევნას, რომელიც მას სინამდვილეში ირმის ხორცზე ნაკლებად მოსწონს, მაშინ დანარჩენები მშივრები დარჩებიან. ანუ, ეს თამაში პატიმრის დილემისგან იმით განსხვავდება, რომ ყველა მოთამაშეს გააჩნია ერთი და იგივე ინტერესთა სფერო – ყველას უყვარს ირმის ხორცი. არის რამოდენიმე ვარიანტი: 1) თანამშრომლობა და ირმის დაჭერა (საერთაშორისო ანალოგი იქნებოდა თანამშრომლობა და განიარაღება); 2) კურდღლის მონადირეობა მაშინ, როდესაც სხვები თავიანთ პოსტებზე რჩებიან (შეინარჩუნო შეიარაღების მაღალი დონე როდესაც სხვები განიარაღებული არიან); 3) ყველას მიერ კურდღელზე ნადირობა (გამალებული შეიარაღება და ომის მაღალი რისკი); და 4) თავდაპირველ პოზიციაზე დარჩენა, როდესაც სხვები მისდევენ კურდღელს (განიარაღებული ყოფნა, როდესაც სხვები შეიარაღებულნი არიან).⁵³ აქედან ლოგიკური დასვნა არის ის, რომ მოქმედმა პირებმა შეიძლება იცოდნენ, რომ მათ საერთო მიზანი აქვთ, მაგრამ ვერ მოახდინონ მათი ერთობლივად მიღწევა, რადგან მათ ერთმანეთის არ სჯერათ და არიან მუდმივი შიშის ქვეშ, რომ სხვები განდგებიან საერთო საქმისგან და ამით ისინი ორმაგად დაზარალდებიან ვიდრე თავიდანვე თანამშრომლობაზე უარის თქმით. ანუ, ვიდრე თითოეული პიროვნება არ დარწმუნდება, რომ სხვები ითანამშრომლებენ, იგი არ დათანხმდება თანამშრომლობაზე.

გარდა იმ გარემოებებისა, რომლებიც “ირემზე ნადირობის” თამაშით არის გადმოცემული, ჯერვისი გამოყოფს 3 დაბრკოლებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ირემზე ნადირობის მაგალითში. პირველი ის, რომ განდგომის შიშის გამომწვევ მიზეზებს უნდა დაემატოთ ის ფაქტორი, რომ თუ დღეს მეორე სახელმწიფო მხარს უჭერს სტატუს-კვოს, მოგვიანებით შეიძლება არ დაკმაყოფილდეს ამ გარემოებით და გადაწყვიტოს არჩეული გზიდან გადახვევა.

მეორე პრობლემა ეხება ქვეყნების მუდმივ სურვილს გაზარდონ საკუთარი ტერიტორიები, რათა ჰქონდეთ საჭირო რესურსები. მესამე პრობლემა არის უსაფრთხოების დილემა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ გაზრდილი უსაფრთხოება წარმოადგენს საფრთხეს მეორე სახელმწიფოსათვის.

⁵² იქვე, ..., გვ. 75-76.

⁵³ Robert Jervis, “Cooperation under the Security Dilemma,” *World Politics*, 30, no. 2 (January 1978): 167

ლექცია IX

კონსტრუქტივიზმი და მისი კირტიკა

კონსტრუქტივიზმი ფოკუსს ახდენს ადამიანის შემეცნებაზე და მის ადგილზე მსოფლიო პოლიტიკაში. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ როგორც ასეთი, არ არსებობს გარეგანი, ობიექტური სოციალური რეალობა. სოციალური და პოლიტიკური სამყარო არ არის ფიზიკური არსება ან მატერიალური საგანი, რომელიც არსებობს ადამიანური შემეცნების გარეთ. ისინი ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა არ არის რაღაც სივრცეში არსებული, როგორც მაგალითად მზის სისტემა. ის არ არსებობს თავისთავად. ის არსებობს მხოლოდ ხალხთა ინტერდისციპლინარული გაგების/შემეცნების საფუძველზე. კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არის ადამიანური ქმნილება, მაგრამ არა ფიზიკური და მატერიალური, არამედ წმინდა ინტელექტუალური და იდეური. საერთაშორისო სისტემა მათი თქმით არის იდეათა კონა, გარკვეული ნააზრევები, ნორმათა სისტემები, რომლებიც მონესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. აქედან ლოგიკური დასკვნა არის ის, რომ თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას შეიცვლებიან, მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში.

კონსტრუქტივიზმს ზოგჯერ უწოდებენ ახალ მიდგომასაც, (approach) მაგრამ სინამდვილეში ასეთი მეთოდოლოგია ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან არის შემონახული. იტალიელი ფილოსოფოსი ჯამბატისტა ვიკო ამტკიცებდა, რომ ბუნებრივი სამყარო ღმერთის შექმნილია, მაგრამ ისტორიული სამყარო კაცის ქმნილებაა. ისტორია არ არის თვითქმნადი პროცესი, იგი შექმნილია კაცების და ქალების მიერ. ისინი ასევე ქმნიან სახელმწიფოებს, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ **ისტორიულ კონსტრუქციებს**. სახელმწიფოები არიან ხელოვნური ქმნილებები და აქედან გამომდინარე სახელმწიფოთა სისტემაც ხელოვნურია.

კონსტრუქტივიზმის ძირითადი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. ადამიანური ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით, შედგება ძირითადად იდეებისა და აზრებისაგან და არა მატერიალური მდგომარეობის ან ძალისაგან;
2. ძირითადი იდეური ელემენტები, რომლებსაც კონსტრუქტივისტები ეყრდნობიან არის ის რწმენები (იდეები, კონცეფციები, მოსაზრებები), რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ;
3. ეს საერთო რწმენები (beliefs) გამოხატავენ ხალხის ინტერესებს და იდენტურობას;
4. კონსტრუქტივისტები შეისწავლიან იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ყალიბდებიან და გამოიხატებიან ურთიერთობები. *მაგალითად, ისეთი კოლექტიური სოციალური ინსტიტუტის საშუალებით, როგორც არის სახელმწიფოს სუვერენტეტი, რომელსაც არ გააჩნია არანაირი მატერიალური რეალობა, მაგრამ არსებობს იმდენად რამდენადაც ადამიანებს კოლექტიურად სწამთ მისი არსებობისა და მოქმედებენ ამ რწმენის შესაბამისად.*⁵⁴

კონსტრუქტივისტები მსოფლიოს წარმოიდგენენ როგორც სოციალურ კონსტრუქ-

⁵⁴ Jackson and Sorensen, p. 254.

ციას, რომელიც შექმნილია ადამიანების მიერ, მათი აზრების და იდეების მეშვეობით. ნებისმიერ კონსტრუქციას აქვს მატერიალური მხარე მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანია. ანუ, ფიზიკური ელემენტი არსებობს მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს ინტელექტუალური ელემენტის გარეშე, რომელიც მას აძლევს მნიშვნელობას, გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს. აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში ვიდრე ფიზიკურ საგნებს, ისინი არაფერს წარმოადგენენ ინტელექტუალური კომპონენტის გარეშე. ვენდტის მიხედვით, *სოციალურ კონსტრუქციებს აქვთ სამი ელემენტი: საერთო ცოდნა, მატერიალური რესურსები, და პრაქტიკა.*⁵⁵

კონსტრუქტივისტები ასევე ამბობენ, რომ ერი და ეროვნებაც სოციალური კონსტრუქციაა, რომლებიც შეიქმნა დროში და სივრცეში. მათ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ეროვნულობა გავრცელდა XIX საუკუნეში განათლების და ბეჭდვითი კულტურის გავრცელებასთან ერთად და გახდა საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობა. შესაბამისად, კიდევ ერთი თავისებურება კონსტრუქტივიზმისა ისაა, რომ კონსტრუქტივიზმი ყურადღებას აქცევს არა მარტო იდეების და რწმენების გაზიარების ფაქტს, არამედ იმას, თუ რამდენადაა ისინი გაზიარებული.

ვენდტი და „ანარქია“

ალექსანდრე ვენდტმა დაიწყო ახალი ერა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში. თუმცა კი, ტერმინი “კონსტრუქტივიზმი” მისი მოგონილი არ არის, დღესდღეობით ეს ტერმინი აუცილებლად ასოცირდება ვენდტის სახელთან. ჯექსონის და სორენსენის მიხედვით “გასული დეკადის განმავლობაში ვენდტი გახდა დისციპლინის ერთ-ერთი ტოტემა, ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი ვისი იდეებიც აღებეჭდებათ საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებს ათწლეულების განმავლობაში, ვისი იდეებიც შეიძლება ზოგს მოსწონდეს, ზოგი კი ვერ იტანდეს, მაგრამ ვერავინ უგულვებლყოფს.”⁵⁶

ალექსანდრე ვენდტის მიერ *საერთაშორისო ორგანიზაციებში* 1992 წელს გამოქვეყნებული სტატია “ანარქია არის ისეთი როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ” გახდა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტატია, ხოლო მისი სათაური ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხსენიებადი ფრაზა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კონტექსტში. სტატიის პოპულარობის უტყუარი მიზეზი არის ის, რომ იგი ღიად უპირისპირდება უკვე ფესვებგადგმულ და მძლავრ სტრუქტურული რეალიზმის თეორიას და მის მამამთავარს, კენეტ უოლცს. ვენდტის არგუმენტები ეყრდნობა ე.წ. კონსტრუქტივიზმს, კერძოდ კი სოციოლოგიურ კონსტრუქტივიზმს, რომლის მიზანია ახსნას იდენტურობის და ინტერესების ჩამოყალიბება, როგორც პროცესი (ან მათი ჩამოყალიბების პროცესი). მიუხედავად ამ სტატიის მზარდი პოპულარობისა, კრიტიკოსები მრავლად ჰყავს სტატიასაც და თავად სოციოლოგიურ კონსტრუქტივიზმსაც. მაშასადამე, საჭიროა განვიხილოთ სტატიაც და მისი კრიტიკაც იმისათვის რომ სრულად ჩავწვდეთ საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე გაცხარებულ, თანამედროვე დებატებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ვენდტი თავის სტატიაში აკრიტიკებს უოლცის ფესვგამდგარ თეორიას სისტემის ანარქიულობის და შესაბამისად აქიდან გამომდინარე თვითდახმარების მსოფლიოს არსებობის გარდაუვალობის თეორიას. მაშასადამე, ჯერ მოკლედ დავახსიანოთ უოლცის ძირითადი არგუმენტი და შემდეგ განვიხილოთ ვენდტის კრიტიკა.

⁵⁵ იქვე, ..., გვ. 255.

⁵⁶ Martin Shaw. “Waltzing Alexander: Constructing the new American Ideology”.

ნიგნში “ადამიანი სახელმწიფო და ომი,” უოლცი ამბობს, რომ საწყის მდგომარეობაში (State of nature) სახელმწიფოებმა საკუთარი თავდაცვა უნდა უზრუნველყონ. საერთაშორისო სისტემა არის ანარქიული, რაც იმას გულისხმობს, რომ არ არსებობს ზემდგომი ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოზე მაღლა დგას. “ანარქიის პირობებში არ არსებობს ავტომატური ჰარმონია”⁵⁷ რასაც მივყავართ დასკვნამდე, რომ “სახელმწიფო გამოიყენებს ძალას რათა მიაღწიოს თავის მიზანს.”⁵⁸ უოლცი ახასიათებს სისტემას სადაც ასეთი დამოკიდებულება დომინანტურია და ჩამოყალიბებულია როგორც თვითდახმარების სისტემა და ამტკიცებს, რომ “თვითდახმარების სისტემაში ელემენტები ფიქრობენ თვითგადარჩენაზე და ეს ნუხილი განაპირობებს მათ მოქმედებას . . . ყველას აქვს სურვილი, რომ გაზარდოს საკუთარი მოგება.”⁵⁹ სახელმწიფოთა ქცევას ძერწავს ის გარემოება, რომ მსოფლიოში მოქმედებს თვითდახმარების პრინციპი, ხოლო ეს პრინციპი წარმოშობილია საერთაშორისო სისტემის ანარქიულობისგან.

ვენდტის სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ მას უნდა გააბათილოს ნეორეალისტების მტკიცებულება იმის შესახებ, რომ “თვითდახმარება” ანარქიული სისტემის პირდაპირი, მაშასადამე პროცესისაგან ეგზოგენურად მიღებული შედეგია. ანუ, მისი არგუმენტის დედაზრი ის არის, რომ თვითდახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არ არის არც ლოგიკური და არც მიზეზობრივი შედეგი ანარქიისა და თუკი დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თვითდახმარების სამყაროში ეს არის პროცესის შედეგი და არა სტრუქტურის.⁶⁰

მაშასადამე, ვენდტი აკრიტიკებს უოლცის წარმოდგენებს. იგი მართალია აღიარებს მთავარ ონტოლოგიურ დასკვნებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა ეფუძნება თვითდახმარებას,⁶¹ მაგრამ იგი უარყოფს უოლცის ტრადიციულ გაგებას ანარქიის შესახებ, ეჭვის ქვეშ აყენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ანარქიასა და თვითდახმარებას შორის და ცდილობს აჩვენოს, რომ არ არის აუცილებელი ანარქიამ წარმოშვას თვითდახმარებითობა. სტატიაში იგი აკეთებს არგუმენტს იმის თაობაზე, რომ თვითდახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არის სოციალური კონსტრუქცია ანარქიის პირობებში.⁶²

ვენდტი ამტკიცებს, რომ თვითდახმარება მხოლოდ ინსტიტუტია და არა ანარქიის ბუნებრივი დანამატი.⁶³ იგი სახელმწიფოებმა შექმნეს და სახელმწიფოებსვე შეუძლიათ შეცვალონ. ვენდტის მტკიცებით ნეორეალისტები აპრიორი დასკვნებს აკეთებენ სახელმწიფოს იდენტურობის შესახებ და ეს მისთვის ყოველად მიუღებელია. ანუ, ნეორეალისტების თვალსაზრისით სახელმწიფოს იდენტურობა არის უპირველესად მსოფლიოს წარმოდგენა როგორც თვითდახმარების სამყარო, რომელშიც სახელმწიფოები ავტომატურად განწყობილნი არიან ძალის გამოყენებისაკენ.⁶⁴ ვენდტის მიხედვით არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისათვის რომ თვითდახმარებითობას ასეთი “ეგზალტირებული პოზიცია”⁶⁵ მივანიჭოთ, მითუმეტეს, თუ ნეორეალისტები ვერ ახერხებენ ახსნან როგორ მივყავართ ანარქიას თვითდახმარების სისტემასთან.

თავისმხრივ ვენდტი ამბობს, რომ სახელმწიფოების იდენტურობა (მეობა) ყალიბდება არა სტრუქტურის, არამედ პროცესის და სახელმწიფოების ურთიერთშორის

⁵⁷ Waltz, Kenneth N. *Man, State and War: A Theoretical Analysis*, New York: Columbia University Press. 1954 p. 160

⁵⁸ იქვე,

⁵⁹ იქვე,

⁶⁰ Wendt, Alexander, “Anarchy is What States Make of It: The social construction of Power Politics”, *International Organization*, 46/2, Spring 1992 : 394

⁶¹ იქვე, ..., გვ. 396

⁶² იქვე, ..., გვ. 395

⁶³ იქვე, ..., გვ. 399

⁶⁴ იქვე, ..., გვ. 407

⁶⁵ Mercer, Jonathan, “Anarchy and Identity”, *International Organization*, 49:2, Spring 1995, p. 232

ინტერაქციის შედეგად. უოლცის მიერ განმარტებული საერთაშორისო სისტემების სტრუქტურა მოწყობის პრინციპის, ძალთა გადანაწილების და ელემენტების ხასიათის მიხედვით ვერ ხსნის, თუ რატომ ცხოვრობენ სახელმწიფოები სამყაროში, სადაც თვითდახმარებითობის პრინციპი სუფევს. ვენდიტს მიხედვით, *ელემენტების იდენტიფიკაცია/შეიქმნება (იქნება ეს თვითდახმარებითობა, თუ სხვა რამ) შეიძლება აიხსნას ელემენტების ურთიერთქმედების პროცესით.*⁶⁶

ფუნდამენტალური არგუმენტი, რომელიც ვენდტს მოჰყავს ისაა, რომ ადამიანები იქცევიან საგნების მიმართ იმისდა მიხედვით თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ საგნებს მათთვის. ალტერი ეგოს მიმართ გამოიყენებს ძალას და შეეცდება მის დაკნინებას მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არიან მტრები და არა მეგობრები, მონინაალმდეგენი და არა მოკავშირეები. ეს კოლექტიური მნიშვნელობები წარმოადგენენ სტრუქტურებს, რომლებიც შემდეგ განაპირობებენ სახელმწიფოთა ქმედებებს.⁶⁷

ვენდტი არ უარყოფს ისეთი სახელმწიფოთა სისტემის არსებობას, რომელშიც სახელმწიფოებს შეუძლიათ მხოლოდ თვითდახმარების იმედზე იყვნენ. ვენდტი ამბობს, რომ მხოლოდ ამ ტიპის სისტემაზე ფოკუსირება არ იძლევა საერთაშორისო ურთიერთობების სრულ სურათს. ისი თქმით საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემები შეიძლება იყოს კონკურენტული, ინდივიდუალისტური ან თანამშრომლური,⁶⁸ რომლებსაც მან ცოტა მოგვიანებით თავის წიგნში უწოდა **ჰობსისეული, ლოკისეული და კანტისეული სისტემები.**⁶⁹ ამ სამი სისტემიდან მხოლოდ პირველ ორ სისტემას ახასიათებს თვითდახმარებითობა, ხოლო მესამე არის თანამშრომლობის სისტემა, სადაც წინა პლანზე კოლექტიური, პროსოციალური ინტერესები დგას.⁷⁰

მაშასადამე, უოლცის თვითდახმარების სისტემისადმი უნილატერული მიდგომის გასაკრიტიკებლად ვენდტმა წინ წამოსწია ეგრეთ წოდებული **პროსოციალური სისტემა**, სადაც სახელმწიფოებს არ ამოძრავებთ ეგოსტური მოტივაციები და ისინი კოლექტიურ ინტერესებზე უფრო მეტად ზრუნავენ ვიდრე ინდივიდუალურზე. ეს ძალზე საინტერესო არგუმენტი, რადგანაც აქ ვენდტი სარგებლობს კანტისეული მიდგომით, რომ ადამიანების ბუნება (ამ შემთხვევაში სახელმწიფოების) არ არის ბელიკოზური. მიუხედავად ამისა, ვენდტს რჩება მხედველობიდან ორი მნიშვნელოვანი გარემოება. პირველი ის, რომ იდენტიფიკაცია ხშირად, თუ არა ყოველთვის, ყალიბდება სხვისი აღქმის და ამ სხვის *საპირისპიროდ* და არა *მასთან* თვით-იდენტიფიკაციის საფუძველზე. მეორე, როგორც ზოგიერთმა ფსიქოლოგმა აჩვენა, პირველყოფილ მდგომარეობაში ადამიანები უფრო იხრებიან ეგო-ცენტრული საქციელის და ძალის გამოყენებისაკენ, ვიდრე თანამშრომლობისაკენ.

სხვა-ობა, ანუ თვითიდენტიფიკაცია სხვანაირის საპირისპიროდ, სხვაგვარი ჯგუფის, ან ობიექტის საპირისპიროდ, არის იდენტიფიკაციის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ნაწილი. ვენდტი ამის საპირისპიროდ ასკვნის, რომ თუ ალტერი და ეგო პირველად ხვდებიან ერთმანეთს, ისინი ერთურთის მიერ გააკეთებენ იდენტიფიკაციას და თუ მათ შორის გაუგებრობას არ ექნება ადგილი ისინი თანამშრომლობისაკენ უფრო გადაიხრებიან ვიდრე მონინაალმდეგობისაკენ. ეს ძალზედ სადავო დასკვნაა, რადგან ბევრი ამტკიცებს, რომ იმისათვის რომ შეიქმნას ვინმეს იდენტიფიკაცია საჭიროა მტრის, ან ყველაზე ცოტა, მონინაალმდეგის არსებობა მაინც.⁷¹ ფაქტიურად, “მეორის/სხვისი

⁶⁶ Wendt, “Anarchy is”, p. 395.

⁶⁷ იქვე, ... გვ. 397

⁶⁸ ამ სისტემების დახასიათება იხილეთ ქრესტომათიაში გვ. 444-445.

⁶⁹ Wendt, Alexander, “Three Cultures of Anarchy” (Chapter 6) in *Social Theory of International Politics*, Cambridge University Press, 1999, pp. 246-307

⁷⁰ იქვე, ...

⁷¹ Volkan, Vamik D. *The Need To Have Enemies and Allies :From Clinical Practice to International Relationships*, Northvale, NJ: Aronson, 1994.

დაკარგვა” შეიძლება საზიანოც კი იყოს იდენტურობისათვის/მეობისათვის და შეიძლება წარმოშვას მონინაალმდეგის ‘რეკონსტრუქციის’ საჭიროება იმისათვის, რომ გადაარჩინოს საკუთარი იდენტურობა. სამუელ ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ამერიკის იდენტურობის გადახალისება (redefinition).⁷² გიორგი არბატოვის გამონათქვამის კონტექსტში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით ისინი აკეთებდნენ ყველაზე უფრო დიდ საშინელებას რადგან ისინი საკუთარ თავს მტერს აცლიდნენ, ჰანტინგტონი შეეცადა ეჩვენებინა იდენტურობის კრიზისი, რომელშიც ამერიკამ ამოჰყო თავი ოთხმოცდაათიან წლებში. ჰარვარდის პროფესორმა ისიც კი იწინასწარმეტყველა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უახლოეს მომავალში ეცდებოდა მისი ეროვნული ინტერესების რედეფინიციას და ახალი მტრის კონსტრუირებას. მართლაც, დღესდღეობით ამერიკა მოგვევლინა როგორც ლიდერი საერთაშორისო ტერორიზმის და ე.წ. “ბოროტების ღერძის” წინააღმდეგ ბრძოლაში. ზემოთმოყვანილი დამატკიცებელია იმისა, რომ საჭიროა მტრის არსებობა რათა მოახდინო საკუთარი იდენტურობის კონსტრუირება (construct).

მეორე არგუმენტი ვენდტის საწინააღმდეგოდ მიმართულია მისი მტკიცებულებისადმი, რომ სახელმწიფოები არ არიან მტრულად განწყობილნი. ვენდტი წარმოიდგენს საწყის მდგომარეობას შემდეგნაირად: “წარმოვიდგინოთ ორი მოქმედი პირი – ეგო და ალტერი – რომლებიც პირველად ხვდებიან ერთმანეთს. თითოეულ მათგანს გადარჩენა სურს და მონინაალმდეგის მსგავსი მატერიალური შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ახასიათებს განდიდების ან დაპყრობის ბიოლოგიური თუ შინაგანი იმპერატივი; მათ არც უსაფრთხოების ან საფრთხის საერთო ისტორია აქვთ. როგორ უნდა მოიქცნენ ისინი?”⁷³

ვენდტი ასკვნის, რომ რადგანაც არც ალტერს და არც ეგოს აქვს იდენტურობა, უსაფრთხოების ინტერესები და მოლოდინები, ისინი არ ჩაებმებიან ძალისმიერ ურთიერთობებში დასაწყისიდანვე. ასეთ სიატუაციაში არ არსებობს მიზეზი, რომ ეს გარემოება მოვიაზროთ როგორც თვითდახმარების მსოფლიო.” სხვაგვარად მოსაზრება ვენდტის აზრით ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც არიან საწყის მდგომარეობაში ვანიჭებთ მნიშვნელობას, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ საზოგადოებაში. **“თვითდახმარება ინსტიტუტია, და არა ანარქიის შემადგენელი ნაწილი.”**⁷⁴ ვენდტი ამბობს, რომ “თუ სახელმწიფოები აღმოჩნდებიან თვითდახმარებად სამყაროში ეს განპირობებულია მათი საკუთარი ქმედებებით. მოქმედებების შეცვლა შეცვლის ინტერსუბიექტურ ცოდნას, რომელიც შეადგენს სისტემას.”⁷⁵ ამის შემდეგ ვენდტი აკეთებს იმის დემონსტრირებას, რომ რადგანაც არ არის *აუცილებელი და გარდაუვალი*, რომ სახელმწიფოები ჩაებან ისეთ ურთიერთობებში სადაც თვითდახმარების პრინციპი სუფევს, სავარაუდოა, რომ ისინი ჩაებან ისეთ ურთიერთობებში, რომელიც შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც პროსოციალური ან თანამშრომლური.⁷⁶

ზემოთმოცემული განცხადება, რომ სახელმწიფოები არ არიან ბელიკოზურები ბუნებრივად და რომ ისინი ასეთები ხდებიან ერთმანეთთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის შემდეგ ძალიან დიდი დავის საგანი ხდება. საინტერესოა, რომ ჯონათან მერსერმა ეს არგუმენტი უარყო, რომელმაც აჩვენა რომ საწყის მდგომარეობაში ალტერი და ეგო სავარაუდოდ უფრო თვითდახმარების სტილში დაიწყებენ ურთიერთობას ვიდრე პროსოციალურის. მერსერმა განასხვავა **თვითდახმარება და სხვა-დახმარების**

⁷² Huntington, Samuel, “The Erosion of American National Interests” *Foreign Affairs*, Volume 76, No 5, Sept/Oct 1997

⁷³ Wendt, “Anarchy is”. p. 404.

⁷⁴ იქვე, ..., გვ. 401-402

⁷⁵ იქვე, ..., გვ. 407

⁷⁶ იქვე, ..., გვ. 405

სისტემები ვენდტის თეორიაში და თქვა, რომ ვენდტის მთელი თეორია ლოგიკურია მხოლოდ მაშინ თუკი სხვა-დახმარების სისტემა ეგოისტურ მისწრაფებებზე მაღალია და მხოლოდ მაშინ, თუკი ამ სხვა-დახმარების სისტემაში, როგორც ეს ვენდტმა აღნიშნა, “ეროვნული ინტერესები არის საერთაშორისო ინტერესები”⁷⁷ და უშიშროებისადმი მიმართული ქმედებები არის “ალტრუისტული და პროსოციალური.”⁷⁸

ვენდტის მერსერისეული კრიტიკა რალაც მომენტში არის ვენდტის არგუმენტის უკუქცევა ვენდტისავე სიტყვების გამოყენებით. მერსერი აჩვენებს, რომ საკუთარი თავის სხვასთან იდენტიფიკაცია და კოლექტიური პროსოციალური სისტემის წარმოქმნა არ არის აუცილებელი სიმართლეს შეესაბამებოდა. მერსერი თვლის, რომ სანყის მდგომარეობაში ადამიანები საკუთარი თავის წინ წამოწევას ეწევიან ექსკლუზიურად ძალისმიერი საშუალებებით. მოკლედ, ბუნება ჯაბნის პროცესს.⁷⁹

უოლცისაგან განსხვავებით, რომელიც თვლის, რომ კონკურენცია გამომწვეულია სტრუქტურით და ვენდტისაგან განსხვავებით, რომელიც თვლის, რომ კონკურენცია გამომწვეულია პროცესით, მერსერი ამბობს, რომ კონკურენციას წარმოშობს “ჩვენი ცნობიერება და სურვილი, დავიმკვიდროთ პოზიტიური სოციალური იდენტურობა.”⁸⁰ მაშასადამე, ალტერიც და ეგოც წინასწარმიდრეკილი არიან კონკურენციისაკენ შეხვედრამდე. ამის საჩვენებლად მერსერი იყენებს ჰენრი ტაჯფელის და ჯონ ტერნერის ძალზედ გავლენიან **სოციალური იდენტურობის თეორიას (სით)**.⁸¹ მერსერი პირდაპირ წელსქვევით ურტყამს ვენდტის არგუმენტს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება წარმოშვან სხვა-დახმარების სისტემა გარდა თვით-დახმარებისა. იგი აკეთებს ევროკავშირის ანალიზს **სით** თეორიის გამოყენებით და აჩვენებს, რომ ის ევროპული სახელმწიფოებიც კი, რომლებიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან დისკრიმინაციას უწევენ სხვა არანევერ სახელმწიფოებს. მოკლედ რომ ითქვას, როდესაც სახელმწიფოები აკეთებენ თავიანთი ჯგუფის სხვა ჯგუფის წინააღმდეგ იდენტიფიკაციას ისინი ასევე ქმნიან თვითდახმარების სისტემას, რომელიც შორს დგას ალტრუისტული სხვა-დახმარების სისტემისაგან. ჯგუფის შიგნით შეიძლება ხდებოდეს იდენტურობის შერწყმა, მაგრამ მათ მაინც აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება სხვა ჯგუფების მიმართ. ამის მაგალითია ევროკავშირის იმიგრაციის და თავშესაფრის პოლიტიკა, ასევე ისეთი კონცეფციების განვითარება, როგორცაა უსაფრთხო მესამე ქვეყნები და ხელმეორედ დაშვების შეთანხმებების მომრავლება, რაც იმას ადასტურებს, რომ ევროკავშირს აქვს დისკრიმინაციული დამოკიდებულება თავის წევრ და არანევერ სახელმწიფოებთან.

მერსერის მიერ სით თეორიის გამოყენება და ვენდტის კრიტიკა იმისკენ არ არის მიმართული, რომ ვენდტის თეორია უვარგისად გამოაცხადოს. მერსერი მიიჩნევს, რომ ყურადღების გამახვილება იდენტურობაზე მნიშვნელოვანია, თუმცა ის არ ხსნის თუ როგორ შეიცვლება სისტემა, და არც იმას ხსნის, თუ როგორ შეიძლება რომ პროცესმა შეცვალოს იდენტურობა და შემდეგ სისტემა. კოლექტიური უშიშროების იდეა, რომელიც ვენდტმა წამოაყენა როგორც თვითდახმარების სისტემის ალტერნატივა ისტორიულად განხორციელდა მხოლოდ ჯგუფის ფარგლებში. მაშასადამე, კოლექტიური უშიშროება შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ როგორც ჯგუფური ეგოიზმის ფორმა. როგორც მაურის ბურკინმა თქვა “სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობდნენ უშიშროების მოპოვებას, და მისი მოპოვების გზები მოიცავს როგორც ინდივიდუალურ უშიშროების სტრატეგიას, ასევე კოლექტიური უშიშროების სტრატეგიას.” მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური

⁷⁷ იქვე, ..., გვ. 400

⁷⁸ იქვე, ..., გვ. 401

⁷⁹ Mercer, “Anarchy and Identity,” p. 236

⁸⁰ იქვე, ..., p. 242.

⁸¹ Tajfel, Henry and John C. Turner, “The Social identity Theory of Intergroup Behavior” in Worchel, Stephen and William G. Austin, eds. *Psychology of Intergroup Relations*, 2nd ed. (Chicago: Nelson-Hall, 1986), pp. 7-24.

უშიშროების რიტორიკა იყო ომისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების ინსტიტუციონალურად გამყარება, ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ კოლექტიური უშიშროების კონცეფცია გამოყენებულ იქნა როგორც იარაღი რათა უზრუნველყოთ ჯგუფის უშიშროება სხვა პოტენციური თუ პირდაპირი საფრთხისაგან. მოკლედ რომ ითქვას, ძნელია დაასკვნა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ალტრუისტული გადახრები და მიზნები. მაშინაც კი, თუ იდენტიურობას აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოთა მოქედებების ჩამოყალიბებაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები შეიძლება აღმოჩნდნენ სხვა თვითდახმარებისაგან განსხვავებულ სისტემაში.

ვენდტის თეორიის ყველაზე გავრცელებული კრიტიკა კი ის არის, რომ მას არ აქვს ემპირიული მტკიცებულებები და ასევე მისი თეორია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ იგი არ ბათილდება.⁸²

⁸² თუ თეორია იმდენად ყოვლისმომცველია რომ მისი გაბათილება შეუძლებელია, იგი არ ითვლება თეორიად (იმრე ლაკატო).

ლექცია X

ნატოს გაფართოება და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

ნეორეალიზმი

სამხედრო ალიანსები, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ნატო, მხოლოდ აირეკლავენ სახელმწიფოთა ინტერესებს. ისინი შექმნილი არიან საფრთხის წინააღმდეგ და როდესაც საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც ისინი შეიქმნა აღარ არსებობს ისინი იშლებიან.⁸³ ალიანსებს აქვთ სიმტკიცის სხვადასხვა დონეები, რაც უფრო დიდია საფრთხე, მით უფრო მტკიცეა ალიანსი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც კი რეალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ გულითადი თანამშრომლობის შესაძლებლობას, რადგანაც მიაჩნიათ რომ სახელმწიფოები ყოველთვის ყურადღებას აქცევენ ფარდობით მოგებას და არასდროს არ არიან დარწმუნებულები თუ რა განზრახვები ამოძრავებთ სხვა სახელმწიფოებს.⁸⁴ შესაბამისად, ლალატზე და ფარდობით მოგებაზე გამუდმებით ფიქრი ართულებს თანამშრომლობას ალიანსის ფარგლებშიც კი.

ინსტიტუტების შესახებ ამ წარმოდგენაში იყო ფესვგადგმული რეალისტების წინასწარმეტყველება, რომ ნატო დაიშლებოდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ან მოხდებოდა მისი რეკონსტრუქცია ევროპაში ძალთა ახალი გადანაწილების საფუძველზე.⁸⁵ შესაბამისად, რეალისტებმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურეს იმის გამო, რომ ვერ განჭვრიტეს ნატოს ბედი, რომელიც არათუ არ დაიშალა ცივი ომის დასრულების შემდეგ, არამედ გახდა მსოფლიოში ერთერთი, თუ არა ერთადერთი ყველაზე დინამიური სამხედრო ორგანიზაცია. მიუხედავად თავიანთი კრახისა, რეალისტები ამბობენ, რომ მათი მოსაზრებები არც თუ ისე მცდარი იყო. მაგალითად, კენეტ უოლცი, თავის სტატიაში “ძალთა ბალანსი და ნატოს გაფართოება” ამტკიცებს, რომ მისი წინასწარმეტყველება უკვე ახდა, რადგან დღესდღეობით კაცი ვერ იტყვის ვის წინააღმდეგ იცავს თავს ნატო.⁸⁶

უოლცი ნატოს გაფართოებას ხსნის ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკური სისტემა გახდა უნიპოლარული, და აშშ გახდა ერთადერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მსოფლიოში. უოლცის მიხედვით “ისევე როგორც ბუნება ვერ იტანს ვაკუუმს, ასევე საერთაშორისო პოლიტიკა ვერ იტანს დაუბალანსებელ ძალას.”⁸⁷ მაგრამ ჯერჯერობით ამერიკის ძლიერება არავის დაუბალანსებია და სანამ ეს მოხდებოდა ამერიკა მიიღტვის ძალისა და ძლიერების მაქსიმიზაციისაკენ. უოლცი ასახელებს ორ მიზეზს თუ ჯერჯერობით რატომ არის, რომ დანარჩენ მსოფლიოს არ ჰქონია ამერიკის ძლიერების დაბალანსების მცდელობა: პირველი, ზოგიერთი სახელმწიფო ამერიკას აღიქვამს როგორც კეთილ ლიდერს და არ გრძნობს თავს იმ დონემდე შეშინებულად, რომ რაიმე ქმედითი განახორციელოს და მეორე, სხვებს არ აქვთ სურვილი ჩაებან ძვირადღირებულ ძალთა გადანაწილების თამაშებში. მაგრამ, უოლცი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბოლოოდ ძალთა ბალანსი აღდგება. იგი ასახელებს ევროკავშირს, ჩინეთს და იაპონიას მომავალ დიდ სახელმწიფოთა ამპლუაში. იგი ასევე დასძენს, რომ თეორიას არ ძალუძს იმის განჭვრეტა თუ როდის მოხდება ძალთა ბალანსის აღდგენა და ასევე ამბობს, რომ დაბალანსება სახელმწიფოთა შორის არ არის აუცილებელი მოვლენა. შესაძლებელია,

⁸³ Kenneth N. Waltz's *Theory of International Politics* and Stephen Walt's *The Origins of Alliances* propose the argument that once victory is secured, the war-winning coalition typically dissolves.

⁸⁴ Mearsheimer, 1994, 10

⁸⁵ See, Gunther Hellmann and Reinhard Wolf, “Neorealism, Neoliberal Institutionalism, and the Future of NATO,” *Security Studies*, Vol. 3, No. 1 (Autumn 1993): 3-43

⁸⁶ Kenneth Waltz, “NATO Expansion: a Realist's View,” in *Explaining NATO enlargement*, ed. Robert W. Rauchhaus, (London: Frank Cass Publishers, 2001), 22.

⁸⁷ იქვე, . . . , გვ. 25

რომ ჰეგემონმა ეს პროცესი შეაჩეროს, როგორც ეს ევროპაში მოხდა.

უოლცი ასახელებს სამ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ნატოს გაფართოების გადანყვეტილების მიღება. ირველი - ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი დიდ ორგანიზაციებს ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებთ. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი მისი თქმით არის ის, რომ ნატოს გაფართოება არის ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ ამერიკამ თავისი როლი და არსებობა შეინარჩუნოს ევროპის სამხედრო და საგარეო საქმეებში. მესამე მიზეზი არის ამერიკის შიდა პოლიტიკის ზეგავლენა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უოლცის მიზანია გვაჩვენოს, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან ეროვნულ და არა საერთაშორისო ინტერესებს, განსხვავებით ქვემოთ განხილული ორი თეორიისგან. უფრო მეტიც, უოლცი ამტკიცებს, რომ “ნატო არსებობდა როგორც სამხედრო კავშირი იმდენი ხანი რამდენი ხანიც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა პირდაპირ საფრთხეს მისი წევრი სახელმწიფოებისადმი. ის არსებობს და ფართოვდება ახლა არა მისი ინსტიტუციების წყალობით არამედ იმიტომ, რომ ასე სურს ამერიკის შეერთებულ შტატებს.”⁸⁸

მიუხედავად იმისა, რომ რეალისტები ნატოს გაფართოებას ხსნიან რეალიზმზე დაყრდნობით, ისინი არ მიიჩნევენ, რომ გადანყვეტილება ნატოს გაფართოების შესახებ რაციონალური გადანყვეტილება იყო ამერიკის მხრიდან. მაშასადამე, არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა ნატოს გაფართოების შესახებ. ერთი მხარის არგუმენტი არის, რომ გაფართოება არის რაციონალური გადანყვეტილება, მეორე კი თვლის, რომ ეს არის შეცდომა. პირველი მხარის არგუმენტი არის ის, რომ ნატოს გაფართოება ხელს უწყობს რეგიონალურ უსაფრთხოებას და ამკვიდრებს იმ დემოკრატიულ და საბაზრო ეკონომიკის რეფორმებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობენ ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში. რაც უფრო აღსანიშნავია, ნატოს გაფართოება წინასწარ გვიცავს რუსეთის სავარაუდო ექსპანსიონისტური ქმედებებისაგან მომავალში.⁸⁹

რეალისტების მეორე ჯგუფი ამბობს, რომ ნატოს გაფართოება იყო “ფატალური შეცდომა.”⁹⁰ ისინი ამბობენ, რომ ნატოს გაფართოების ხარჯები ბევრად აღემატება მისი გაფართოებიდან გამომდინარე დადებით მხარეებს ორივე, მატერიალური და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამ ჯგუფში შემავალი პოლიტიკოსები, მკვლევარები და ოფიციალური პირები თვლიან, რომ ნატოს გაფართოება იწვევს ახალი გამყოფი კედლის აღმართვას ევროპაში, მაშინ როდესაც თვითონ ამ პროცესის, ანუ გაფართოების რიტორიკა და პრინციპი არის სწორედ რომ საპირისპირო. მეორე, ნებით თუ უნებლიეთ, ნატოს გაფართოება არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. პირველი იმიტომ, რომ ნატოს ახალ წევრ სახელმწიფოებს აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთისადმი და შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი შეცვლიან ალიანსის რუსეთისადმი დამოკიდებულებას და მეორე, თუკი ნატო დარჩება თავდაცვის ორგანიზაციად, რუსეთი მისი წევრი ვერასოდეს ვერ გახდება, რაც ყოველთვის განაპირობებს უხერხულობას ნატოსა და რუსეთს შორის. მესამე მიზეზი არის ის, რომ გაფართოება საფრხეს უქმნის ნატოს ერთიანობას და ერთპიროვნულობას საერთო მტრის არარსებობის პირობებში და მეოთხე ის, რომ ახალი წევრების დამატება ალიანსს აქცევს უფრო ზოგად და სიმტკიცეს

⁸⁸ Jackson and Sorensen, p. 95.

⁸⁹ იხილეთ: Ball, “Nattering NATO Negativism? Reasons Why Expansion May be a Good Thing,” *Review of International Studies*, 24 (January, 1998): 43-68. ასევე იხილეთ ფუნდამენტური ნაშრომი ნატოს გაფართოების დადებით მხარეებზე: Ronald D. Asmus, Richard L. Kugler and Stephen F. Larabee, “Building a New NATO,” *Foreign Affairs*, vol. 72 (September/October 1993): 28-40. ამერიკის პოზიციის და გაფართოების პირველი ტალღის მხარდასაჭერი არგუმენტებისთვის იხილეთ: Madeline Albright, “Why Bigger is Better,” *The Economist*, February 15, 1997, 21-23.

⁹⁰ George F. Kennan, “A Fateful Error,” *New York Times*, 5 February, 1997

მოკლებულ ორგანიზაციად.⁹¹

მაშასადამე, ზემოთგანხილულის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეალიზმი ნატოს გაფართოებას და მის ტრანსფორმაციას განიხილავს როგორც მოვლენას, რომელიც ხელს აძლევს დიდ სახელმწიფოებს და არა როგორც ნატოს ინსტიტუციური სიძლიერის მანიშნებლად. მეორენაირად რომ ითქვას, რეალიზმი თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ყველა ინსტიტუტი თუ ორგანიზაცია, სამხედრო ალიანსების ჩათვლით, ემსახურებიან დიდი სახელმწიფოების მიზნებს და არსებობენ მანამდე, სანამ ასეთ სახელმწიფოებს ხელს აძლევს მათი არსებობა.

ლიბერალიზმი

ინსტიტუციური ლიბერალების მსოფლხედველობა ეფუძნება მსოფლიოს ლიბერალურ ხედვას, რომლის მიხედვითაც კონფლიქტები და ომები არ არის გარდაუვალი. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციური ლიბერალისტები იზიარებენ რეალიზმის ძირითად დებულებებს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები საერთაშორისო სისტემაში და ისინი არიან რაციონალური ეგოისტები, მათ ასევე სწამთ, რეალისტებისგან განსხვავებით, რომ არის საკმარისი სივრცე თანამშრომლობისათვის და სჯერათ, რომ ინსტიტუტები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ თანამშრომლობას.

ინსტიტუციურ ლიბერალისტებს სჯერათ, რომ ინსტიტუტები და ორგანიზაციები შესამჩნევად არბილებენ/ამცირებენ ანარქიის დესტრუქციულ გავლენას ნევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გავრცელების და მიმდინარეობის გზით, რაც იმას განაპირობებს, რომ სახელმწიფოები ნაკლებ ნერვიულობენ სხვათა ქცევების მოულოდნელობის შესახებ. ინსტიტუტები ასევე ქმნიან მოლაპარაკებათა ფორუმს სახელმწიფოებისათვის, ზრდიან შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოებმა მონიტორინგი გაუწიონ ერთმანეთის საქციელს და მათ მიერ აღებული მოვალეობების შესრულების ხარისხს.⁹²

ინსტიტუციური ლიბერალისტები აღნიშნავენ, რომ ინსტიტუტები გვაძლევენ წესებს და ნორმებს, “რომელთა ირგვლივაც ხდება აქტორების ინტერესთა თანხვედრა.” წესები ეხმარებიან სახელმწიფოებს დასძლიონ ლალატის და ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა. ისინი ეხმარებიან სახელმწიფოებს, რათა გაიღონ მოკლე ვადიანი მსხვერპლი ანუ გადალახონ პატიმრის დილემა, სამაგიეროდ, მიიღონ გრძელვადიანი მოგება. მოკლედ, ინსტიტუტებს შეუძლიათ წარმოშვან თანამშრომლობა.

ინსტიტუციურ ლიბერალისტებს, რეალისტებისგან განსხვავებით სჯერათ, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან უფრო მაღალ ინტერესებს ვიდრე ეს დიდ სახელმწიფოთა ვიწრო ინტერესებია. საერთაშორისო ინსტიტუტები, სამხედრო ალიანსების ჩათვლით, უადვილებენ სახელმწიფოებს გზებს დატკბნენ თანამშრომლობის შედეგად მიღებული საერთო სარგებლით, ამცირებენ მომსახურეობის დანახარჯებს და აწესებენ წესებს და ნორმებს, რომლითაც ისჯება ცუდი საქციელი. იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტები აფერხებენ ლალატის შესაძლებლობას, ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას. ისინი ამცირებენ მოლაპარაკებებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, უზრუნველყოფენ გამჭვირვალობას, რითაც ამცირებენ უნდობლობას სახელმწიფოებს შორის, რაც ხელს უწყობს ურთიერთმომგებიანი ხელშეკრულებების დადებას.

ინსტიტუციონალისტების ცენტრალური არგუმენტია, რომ ჩამოყალიბების შემდეგ

⁹¹ იხილეთ: M. McGwire “NATO Expansion: A Policy Error of Historic Importance,” *Review of International Studies*, 24 (January, 1998), ასევე Robert J. Art, “Creating a Disaster: NATO’s Open Door Policy,” *Political Science Quarterly*, 113, No. 3 (Fall 1998).

⁹² Robert O. Keohane, *International Institutions and State Power: Essays in International Relations Theory* (Boulder: Westview Press, 1989), 2.

ინსტიტუტებს ახასიათებთ სიცოცხლისუნარიონობის შენარჩუნება, რადგან უფრო ადვილია ინსტიტუტების მოდიფიცირება, ვიდრე ახლის შექმნა. შესაბამისად, როდესაც ინსტიტუტების წინაშე დგება ახალი პრობლემები ვიდრე ისინი, რომელთა დასაძლევადაც ისინი თავიდან შეიქმნენ, სახელმწიფოები ილტვიან ამ ინსტიტუტების არა დაშლის, არამედ მათი მოდიფიკაციისაკენ რათა მათ უპასუხონ ახალ გამოწვევებს. ინსტიტუციური ლიბერალისტები ასევე ამტკიცებენ, რომ ინსტიტუტები მას შემდეგაც კი განაგრძობენ არსებობას როცა ჰეგემონის ძლიერება, რომლის მეშვეობითაც ეს ინსტიტუტი შეიქმნა, სუსტდება.⁹³

ცელესტე ვოლანდერი გვთავაზობს ნატოს გაფართოების საკმაოდ ყოვლისმომცველ ახსნას. იგი ეთანხმება კიოჰენს იმაში, რომ ინსტიტუტები ინარჩუნებენ არსებობას იმიტომ, რომ მათი შექმნა ძვირი ჯდება და მათი შენახვა კი უფრო იაფი და რომ ამის გამო ისინი ინარჩუნებენ მნიშვნელობას ცვალებად პრიობებშიც კი, მაგრამ ვოლანდერი ასევე აღნიშნავს, რომ ეს არგუმენტი არასრულია, რადგანაც იგი არ გვეუბნება თუ როდის და რა პირობებში ინარჩუნებენ არსებობას ინსტიტუტები.

ვოლანდერის თქმით, “ინსტიტუტი აღარ იარსებებს, თუკი იგი აღარ ემსახურება მასში შემავალი სახელმწიფოების ინტერესებს... ინსტიტუტს აქვს თუ არა ადაპტირების უნარი დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი საშუალებები – მისი ნორმები, წესები და პროცედურები – არის კონკრეტული თუ ზოგადი, და თუ ამ საშუალებების ჯამი შეესაბამება წევრი სახელმწიფოების ინტერესებს.

ვოლანდერის თქმით, ნატო შემორჩა რადგან მან განავითარა ისეთი ზოგადი საშუალებები ცივი ომის პერიოდში, როგორცაა:

- გამჭვირვალობა წევრებს შორის;
- სამხედრო ძალების სამოქალაქო კონტროლი;
- კონსულტაციების პროცედურები და პრაქტიკა;
- ინტეგრირებული სარდლობის სტრუქტურა;
- წევრ-სახელმწიფოთა შესაბამისობა;
- საერთო ლოგისტიკა;
- საჰაერო თავდაცვა;
- საერთო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა.⁹⁴

ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატოს წევრმა ქვეყნებმა ისევ ნატოს მიმართეს ახალი უსაფრთხოების პრობლემების დასაძლევად ნატოს მიერ უკვე კარგად ჩამოყალიბებული ზოგად საშუალებებზე დაყრდნობის და მათი ახალი მიზნებისთვის გამოყენების გზით. მეორეს მხრივ, ნატოს კონკრეტულმა საშუალებებმა დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. შეიქმნა ისეთი ახალი ინსტრუმენტები როგორცაა პარტიონრობა მშვიდობისათვის, პარტიონრობის კოორდინაციის განყოფილება და ჩრდილო ატლანტიკური საბჭო შემდგომში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოდ გარდაქმნილი. ვოლანდერი ამბობს, რომ ეს ინსტრუმენტები შეიქმნა ახალი საფრთხეების საპასუხოდ. 2000 წლის შემდეგ, ვოლანდერის მოსაზრებები კიდევ უფრო აქტუალური და მართალია, რადგანაც ნატომ განახორციელა თავისი კონკრეტული საშუალებების რეფორმა და შექმნა ბევრი ახალი ინსტიტუტები ახალი საფრთხეების დასაძლევად. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი ადაპტაცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ნატოს კარგად ჩამოყალიბებული, თავდაცვის წარმოების სახელმწიფოთაშორისი სისტემა, რომელსაც

⁹³ Robert Keohane, *After Hegemony: Discord and Cooperation in International Political Economy*, 1984

⁹⁴ Celeste Wallander, “Institutional Assets and Adaptability: NATO after the cold war,” *International Organization*, Vol. 54, No 4 (Autumn 2000): 705-706.

ვოლანდერი უნოდებს ზოგად საშუალებებს (general assets).

კიდევ ერთი მკვლევარი, რობერტ მაკკალა, ასევე იყენებს ინსტიტუციონალურ ლიბერალიზმს ნატოს გაფართოების ასახსნელად. ჯერ კიდევ 1996 წელს, როდესაც ნატოს ტრანსფორმაცია არ იყო ისეთი მაშტაბური როგორც დღეს არის, მაკკალას სჯეროდა რომ “ბანაკების აკეცვის, გამარჯვების გამოცხადების და ახალი ინსტიტუტის მშენებლობის მაგივრად, წვერი ქვეყნები ალიანსს ახალ მიმართულებას მისცემენ, არსებული მექანიზმების და პროცედურების გამოყენებით ზედდააშენებენ წარსულ წარმატებებს რათა გაუმკლავდნენ ახალ პრობლემებს.”⁹⁵ მაშასადამე, თავის ნაშრომში მაკკალა ასევე აჩვენებს თუ როგორ გაინთავისუფლა თავი ნატომ ცივი ომის დროინდელი ინსტიტუტებისგან და ჩაანაცვლა ისინი ახალი მექანიზმებით, რომლებიც საჭირო იყო ახალი საფრთხეების გასამკლავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ მაკკალას სჯერა, რომ ინსტიტუტციონალისტური (institutionalist) თეორიები უფრო გვეხმარებიან ნატოს ტრანსფორმაციის პროცესში გარკვევაში, იგი ასევე დასძენს, რომ საერთაშორისო ინსტიტუციონალისტების ახსნა-განმარტება არ არის სრულყოფილი ახსნა ამ პროცესისა. მაკკალას სჯერა, რომ ინსტიტუციურ მდგრადობასთან ერთად ასევე ანგარიში უნდა გავუწიოთ წვერ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე პროცესებს, რადგანაც საბოლოო ჯამში ინსტიტუტს მაინც მისი დონორი სახელმწიფოები მართავენ. ანუ, ის ამბობს, რომ საშინაო ფაქტორები აწესებენ ლიმიტებს ალიანსების მონაწილეობაზე, რადგანაც წვერი სახელმწიფოები იხდიან ალიანსის შენახვის და მართვის თანხებს და შესაბამისად მათ მუდმივად აქვთ სურვილი, რომ ეს დანახარჯები სხვა მიმართულებით იქნას მიმართული. ანუ, მაკკალა ვარაუდობს, რომ ადვილად ამოსაცნობი მტრის არარსებობის შემთხვევაში საშინაო ოპოზიცია უფრო და უფრო მომძლავრდება და “შიდა მხარდაჭერასა და ოპოზიციას შორის ინტერაქცია შექმნის საზღვრებს, რომლის შიგნითაც მოუწევთ მოქმედება ეროვნულ ლიდერებს.”⁹⁶ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ნატოს არსებობა არარსებობა დიდად არის დამოკიდებული ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების და თუნდაც სახალხო აზრის კეთილგანწყობაზე, ვინაიდან და რადგანაც ისინი გამოჰყოფენ ამ ორგანიზაციის შესანახ ფულს. ასევე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი როლი ნატოს ბედის გადანყვეტაში აშშ-ს მთავრობას და იქ არსებულ სახალხო აზრს აქვს, რადგანაც აშშ არის ნატოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო სამხედრო თვალსაზრისით და შესაბამისად გამოჰყოფს ყველაზე მეტ თანხას ამ ორგანიზაციის საარსებოდ.

კონსტრუქტივიზმი

როგორც უკვე ითქვა, კონსტრუქტივიზმის ფუნდამენტური მოსაზრება ისაა, რომ ადამიანები არიან სოციალური არსებები და მათ ახასიათებთ სოციალური ურთიერთობები. ეს ურთიერთობები კონსტრუირებას უკეთებენ იმას, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ საკუთარ თავებს და ჩვენს სამყაროს. შესაბამისად, ადამიანები ქმნიან სამყაროს ისეთს, როგორადაც იგი დღესდღეობით გვევლინება იმისდა მეშვეობით თუ როგორ იქცევით ისინი, რას ეუბნებიან ერთმანეთს და რას აკეთებენ.⁹⁷ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რასაც ვამბობთ და რასაც ვფიქრობთ სამყაროს შესახებ დიდად განსაზღვრავს

⁹⁵ Robert McCalla, “NATO’s persistence after the Cold War,” *International Organization*, Vol. 50, No. 3 (Summer, 1996): 464.

⁹⁶ იქვე, . . . , გვ. 468.

⁹⁷ V. Kubalkova, Nicholas G. Onuf and Paul Kowert, *International Relations in a Constructed World* (M.E. Sharpe, April, 1998), 59.

საქციელს. შესაბამისად, კონსტრუქტივისტებს სჯერათ, რომ რეალობა არის სოციალურად შექმნილი/კონსტრუირებული. სოციალური და პოლიტიკური სამყარო არ არის ბუნების ნაწილი, არც ისტორია, საზოგადოების, ეკონომიკის და პოლიტიკის კანონები არიან თვითმყოფადი. ისინი არიან მათ შექმნაში ჩართული ადამიანების ფიქრების და იდეების ნაყოფი, და ეს იდეები წარმოადგენენ ისტორიის მამოძრავებელ ძალას.⁹⁸

კონსტრუქტივისტები ამბობენ, რომ ვინაიდან და რადგანაც რეალიზმი დიდი ხნის მანძილზე იყო დომინანტური თეორია საერთაშორისო პოლიტიკაში, მან იქონია შესამჩნევი გავლენა სახელმწიფოთა საქციელზე. მაშასადამე, კონსტრუქტივისტების მიზანია მოახდინონ რეალიზმის მიერ მოწოდებული დეპრესიული და ბნელი იდეების და ფიქრების დეკონსტრუქცია.⁹⁹ ამის მცდელობისას კონსტრუქტივისტები უარყოფენ სახელმწიფოს იმ მცნებას რომელსაც ორივე, რეალისტებიც და ლიბერალისტებიც ასე უპირობოდ იზიარებენ და ამბობენ, რომ სახელმწიფოებიც სოციალური ქმნილებები არიან, ამიტომაც მათი საქციელი ექვემდებარება სოციალურ ცვლილებას. შესაბამისად, კონსტრუქტივისტები თავს უფლებას აძლევენ ამტკიცონ, რომ არ არსებობს ისეთი მუდმივი მცნებები, როგორცაა “სახელმწიფოების რაციონალური ეგოიზმი” ან “ანარქიული სისტემა.” კონსტრუქტივისტები უარყოფენ ეგოიზმის მცნებას და ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო აქტორები არიან ფასეულობების და ნორმების ერთგულები და ისინი ირჩევენ შესაფერის (appropriate) და არა ქმედით/მომგებიან (efficient) ქცევის ფორმებს.

რაც შეეხება ინსტიტუტებს, კონსტრუქტივისტების მიხედვით ისინი არიან “საერთაშორისოდ გაზიარებული ნორმების და ფასეულობების ინსტიტუციური გამოხატულებანი, რომელთა განმარტებები, წესები და პრინციპები ჩადებულია ქცევის იმ რეცეპტებში, რომლებსაც ისინი აყალიბებენ სახელმწიფოთათვის.¹⁰⁰ შესაბამისად, ინსტიტუტების გაფართოება მიიჩნევა როგორც ‘სოციალიზაციის’ პროცესი, რომლის დროსაც საერთაშორისო საზოგადოება და მისი ორგანიზაციები “ასწავლიან” საკუთარ ნორმებს და ფასეულობებს სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს.”¹⁰¹ ორგანიზაცია დაინტერესებულია ნორმების და ფასეულობების გავრცელებით და შესაბამისად “სწავლების” დანახარჯებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, სწავლების დანახარჯები არ უნდა აღემატებოდეს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობებს იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას თვით ამ ორგანიზაციის არსებობას.

მაშასადამე, კონსტრუქტივისტებისათვის ნატო მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია კი არ არის, როგორც ამას რეალისტები მიიჩნევენ. არც მხოლოდ ფუნქციური დატვირთვის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტია, როგორც ამას ლიბერალური ინსტიტუციონალისტები ამბობენ. მათთვის ნატო არის საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც გააჩნია საერთო ნორმები და ფასეულობები. ეს ორგანიზაცია თავისმხრივ ჩაქსოვილია მეორე, კიდევ უფრო დიდ ევრო-ატლანტიკურ ანუ, დასავლურ საზოგადოებაში და წარმოადგენს მის სამხედრო მკლავს. მაშასადამე, ნატოს გაფართოების პროცესი იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ითხოვს მასში გაწევრიანებას, რაც იგივეა, რომ ამ სახელმწიფოს აქვს სურვილი გაიზიაროს ამ ორგანიზაციის ნორმები და ფასეულობები. რეალური წევრობა გაიცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოება დაინახავს, რომ ამ სახელმწიფომ გაიზიარა დასავლური საზოგადოების ლიბერალური ფასეულობები და

⁹⁸ Alexander Wendt, “Anarchy is What States Make of It,” *International Organization*, 46, (1992).

⁹⁹ Richard K. Ashley, “The Poverty of Neorealism,” *International Organization*, Vol. 12, No. 4 (October 1987): 286. Quoted in Mearsheimer’s “False Promise of International Institutions,” 38.

¹⁰⁰ Connie L. McNeely, *Constructing the Nation-state. International Organization and Prescriptive Action* (Westport, Conn.: Greenwood, 1995), 27, quoted in Frank Shimmelfenning, “NATO Enlargement: A Constructivist Explanation,” *Security Studies*, Vol. 8, Issue 2/3, (1999): 211.

¹⁰¹ Martha Finnemore, *National Interests in International Society* (Ithaca: Cornell University Press, 1996), 11-12.

მულტილატერული ნორმები.

ზემოთ ნახსენები “სოციალიზაციის” და “სწავლების” მცნებებზე დაყრდნობით ერთ-ერთი კონსტრუქტივისტი, ფრანკ შიმელფენინგი ასკვნის, რომ სახელმწიფო ხდება საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, თუკი იგი რეალურად გაითავისებს ამ საზოგადოების ფასეულობებს და ნორმებს. რაც უფრო სწრაფად ისწავლის ესა თუ ის სახელმწიფო, უფრო ადრე გახდება ის ამ ორგანიზაციის წევრი.¹⁰² შესაბამისად, კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ნატოს წევრი გახდნენ ცივი ომის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნენ ორგანიზაციაში იმისდა გამო, რომ მათ არამარტო გაითავისეს ნატოს ფასეულობები, არამედ თვითონ დასავლურმა საზოგადოებამ დაინახა და აღიარა, რომ ისინი არიან ერთი და იგივე ფასეულობების და ნორმების მატარებლები.

¹⁰² Frank Shimmelfenning, “NATO Enlargement: A Constructivist Explanation,” *Security Studies*, Vol. 8, Issue 2/3, (1999): 211.

ლექცია XI

საერთაშორისო ურთიერთობები და საშინაო პოლიტიკა

საშინაო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები ხშირად ერთმანეთშია გადაჯაჭვული. ბუნებრივია, ისინი ერთმანეთს განსაზღვრავენ და ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მაგრამ, უფრო საინტერესოა გავარკვიოთ “როდის” და “როგორ” განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა ერთმანეთს. ამაზე პასუხი მოგვცა რობერტ პუტნამმა თავის საყოველთაოდ ცნობილ სტატიაში “*დიპლომატია და საშინაო პოლიტიკა, ორ დონეზე თამაშის ლოგიკა*,” რომელიც 1988 წელს დაიბეჭდა ჟურნალ საერთაშორისო ორგანიზაციებში.¹⁰³

საერთაშორისო და საშინაო ურთიერთქმედების ასაღწერად პუტნამმა პირველად შემოიღო მეტაფორა - თამაში ორ დონეზე, რომელიც ზუსტად ასახავს მოცემულ სიტუაციას. პუტნამის თქმით, “საერთაშორისო მოლაპარაკებების პოლიტიკა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც თამაში ორ დონეზე. ეროვნულ დონეზე შიდა ჯგუფები ცდილობენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას მთავრობაზე ზეწოლით, რომ მათ გაატარონ მათთვის სასარგებლო პოლიტიკა და პოლიტიკოსები მოიხვეჭენ ძალას ამ ჯგუფებს შორის კოალიციების ჩამოყალიბებით. საერთაშორისო დონეზე ეროვნული მთავრობები ცდილობენ, რომ მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი შესაძლებლობა დააკმაყოფილონ შიდა ზეწოლა და ამავე დროს მინიმუმადე დაიყვანონ საგარეო მოვლენების სავალალო შედეგები. არც ერთი დონის თამაშის იგნორირება არ შეუძლიათ ცენტრალურ ფიგურებს მანამდე, სანამ მათი ქვეყნები არიან ურთიერთდამოკიდებულნი და ამავედროულად სუვერენულები.”¹⁰⁴ თითოეული ეროვნული პოლიტიკური ლიდერი ორ დაფაზე მოქმედებს: საერთაშორისოზე, სადაც მის ირგვლივ დგანან დიპლომატები და საერთაშორისო მრჩეველები და საშინაო დაფაზე, სადაც გვერდში ჰყავთ პარტია, პარლამენტი, მრჩეველები, სპიკერები და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები. პუტნამი ამბობს, რომ ორ დაფაზე თამაში ძალიან რთულია და დიდ პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული. მაგრამ, ზოგჯერ ჭკვიანი მოთამაშეები შენიშნავენ ხოლმე მოძრაობას ერთ დაფაზე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გადაადგილებები მეორე დაფაზე, რაც საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს სხვაგვარად მიუღწეველ შედეგებს.

ანალიზისათვის პუტნამი აკეთებს ორ დონეზე თამაშის დანაწევრებას რათა უფრო ადვილად იქნას აღქმული მათ შორის ურთიერთქმედება და კავშირი:

1. დიალოგი მოლაპარაკების მწარმოებლებს შორის, რომელსაც მიყვავართ წინასწარ შეთანხმებამდე. დონე I.
2. ცალკეული განხილვები ამომრჩეველებს შორის მოანერონ თუ არ მოანერონ ხელი შეთანხმებას. დონე II.

ანუ, გვაქვს ორი ფაზა, მოლაპარაკების და რატიფიკაციის. ის გარემოება, რომ ნებისმიერი შეთანხმება პირველ დონეზე რატიფიცირებული უნდა იქნას მეორე დონეზე აწესებს მნიშვნელოვან თეორიულ კავშირს ამ ორ დონეს შორის.

ამის გათვალისწინებით, მეორე დონის ამომრჩეველების **ვინსეტი** (მოგებების

¹⁰³ Robert D. Putnam, “Diplomacy and Domestic Politics, the logic of two level games,” *International Organizations*, Vol. 3, Issue 42, Summer 1988: 427-460

¹⁰⁴ Robert D. Putnam “Diplomacy and Domestic Politics, the logic of two level games,” in Peter B. Evans, Harold K. Jacobson and Robert D. Putnam ed. *International Bargaining and Domestic Politics: Double-Edged Diplomacy*, University of California Press, 1993: 436

კომპლექტი) არის ყველა ის შესაძლო შეთანხმებები პირველ დონეზე, რომლებსაც შეუძლიათ მოიპოვონ საჭირო მხარდაჭერა ამომრჩეველთა შორის, როდესაც ჯერი მიდგება არჩევაზე ან არ არჩევაზე. მეორე დონის ვინსეტების კონტურები ძალიან მნიშვნელოვანია პირველ დონეზე მიღწეული შეთანხმებების თავისებურებებში გასარკვევად ორი მიზეზის გამო:

პირველი: დიდი ვინსეტი პირველ დონეზე შეთანხმებების მიღწევის ალბათობას ზრდის, როცა ყველაფერი დანარჩენი თანასწორია: *ceteris paribus*. რეალურად, ნებისმიერი წარმატებული შეთანხმება უნდა ექცეოდეს ორივე მხარის მეორე დონის ვინსეტებს შორის. შესაბამისად, შეთანხმება მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუ სხვადასხვა მხარის ვინსეტები ერთმანეთს გადაფარავენ. და შესაბამისად, რაც უფრო დიდია ვინსეტი მით უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ერთმანეთს გადაკვეთენ. ამავნაირად, თუ პატარა თითოეული მხარის ვინსეტები მაშინ სათუთაა, რომ მოლაპარაკება ჩაიშლება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩაშლილი მოლაპარაკების ალბათობის გათვალისწინებისას უნდა განვასხვაოთ ორი ტიპის მიზეზი: ნებაყოფლობითი ჩავარდნა და არანებაყოფლობითი ჩავარდნა. ნებაყოფლობითი ჩავარდნა ეხება შეთანხმების ჩავარდნას რაციონალური ეგოისტის მიერ, რომელიც პირობებს არ ასრულებს როცა არ არის ძალდატანებითი კონტრაქტი. (ეს პრობლემა ხშირად იჩენს თავს და კარგად არის გადმოცემული კოლექტიური მოქმედებების დილემაში, ან პატიმრის დილემაში). არანებაყოფლობითი ჩავარდნა კი ეხება სიტუაციას, როდესაც აგენტს არ აქვს საშუალება პირობა შეასრულოს წარუმატებელი რატიფიკაციის პროცესის გამო.

მეორე: ვინსეტების ფარდობითი ზომა განსაზღვრავს მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სარგებელს. მაგალითად, რაც უფრო დიდია ამა თუ იმ მხარის ვინსეტი, მით უფრო ადვილად შეიძლება მისით მანიპულირება მოლაპარაკებების დროს. ამავნაირად, პატარა საშინაო ვინსეტი შეიძლება გახდეს მოლაპარაკების დროს უპირატესობა: “მე დიდი სიამოვნებით მივიღებდი თქვენს შემოთავაზებას, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას შინ მხარს არ დაუჭერენ.” ხშირ შემთხვევაში, ამ სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით ოპონენტები წინასწარ მოითხოვენ მეორე მხარისგან, რომ გააფართოვონ *ასპარეზი მანევრირებისათვის* პირველ დონეზე, სანამ დაიწყებენ მოლაპარაკებას მეორე დონეზე.

ვინსეტების დედააზრს პუტნამი გადმოსცემს ფიგურალურად. წარმოვიდგინოთ მარტივი ნულოვანი ურთიერთობა X და Y შორის. X max და Y max წარმოადგენენ მაქსიმუმ შედეგს X და Y თვის. მაშინ, როდესაც $X1$ და $Y1$ წარმოადგენენ იმ შედეგების მინიმუმს, რომელზეც ორივე მხარე მოახდენს რატიფიცირებას. ან, შესაბამისად, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ექცევა $X1$ და $Y1$ შორის, ხელმონერილ იქნება ორივე მხარის მიერ. მაგრამ თუ Y ვინსეტი შემცირდება $Y2$ -მდე მაშინ ურთიერთგადამფარავი ვინსეტები შემცირდება სასარგებლოდ. თუ წარმატებით თავბრუდახვეულმა Y გადაწყვიტა კიდევ უფრო შეამციროს თავისი ვინსეტები $Y3$ -მდე, მაშინ აღმოჩნდება, რომ უცაბედად მოლაპარაკებები ჩიხში ექცევა, რადგანაც უკვე ვინსეტები საერთოდ არ გადაკვეთავენ ერთმანეთს.

ვინსეტების დეტერმინანტები

აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა გარემოებები ახდენენ ზეგავლენას ვინსეტების ზომაზე. პუტნამი გამოყოფს სამ ფაქტორს:

1. მეორე დონეზე უპირატესობები და კოალიციები;
2. მეორე დონის ინსტიტუტები;
3. პირველი დონის მოლაპარაკებაში მონაწილე პირების სტრატეგიები.

1. ვინსეტების სიდიდე დამოკიდებულია ძალთა გადანაწილებაზე, უპირატესობებზე (ვის/რას ანიჭებს უპირატესობას) და შესაძლო კოალიციებზე მეორე დონის ამომრჩევლებს შორის.

ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერ თეორიას, რომელსაც აქვს პრეტენზია ახსნას ორ დონეზე თამაში ფესვები უნდა ჰქონდეს საშინაო პოლიტიკაში. მაგრამ ამ ეტაპზე საჭირო არ არის გადავარდეთ საშინაო პოლიტიკის თეორიულ მორევში (მარქსიზმი, ინტერესთა ჯგუფების პლურალიზმი, ბიუროკრატიული პოლიტიკა და ნეო კორპორატიზმი). ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ აბსტრაგირება თეორიისგან და მოვხაზოთ *ზოგადი პრინციპები*, რომლებიც განსაზღვრავენ ვინსეტების ზომას. მაგალითად, რაც უფრო დაბალია “შეუთანხმებლობის” *ღირებულება* მით უფრო პატარაა ვინსეტი. ასევე, ზოგ დაჯგუფებებს შეიძლება უფრო მეტი ინტერესი აქვთ პირველ დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებებისადმი ვიდრე სხვა დაჯგუფებებს, რაც არის წინაპირობა მათი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებისა ამ შეთანხმებისადმი. აქედან მეორე პრინციპი: ვინსეტის ზომა დამოკიდებულია იზოლაციონისტების ზომაზე (რომლებიც როგორც წესი გამოდიან საერთაშორისო შეთანხმებების წინააღმდეგ) და ინტერნაციონალისტების (მხარს უჭერენ ასეთ შეთანხმებებს) ზომაზე. ინტერნაციონალისტები უფრო მეტი არიან პატარა და დამოკიდებულ ქვეყნებში, რომლებსაც ღია ეკონომიკა აქვთ ვიდრე დიდ თვითუზრუნველყოფად ქვეყნებში, როგორც არის მაგალითად, აშშ.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი მნიშვნელოვანი განხეთქილების საგანი ამომრჩევლებს შორის მეორე დონეზე შეიძლება იყოს “შეუთანხმებლობის საშიშროება” ვინაიდან და რადგანაც ასეთ სიტუაციებში მათი ინტერესები არის *ერთგვაროვანი, ანუ ჰომოგენური* (მაგალითად ქართული მხარის მიერ წარმოებულ მოლაპარაკებებს ბაზების გაყვანის თაობაზე ჰქონდა თითქმის ჰომოგენური მხარდაჭერა ამომრჩევლებისაგან. სხვა მაგალითებია, პანამის არხის ხელშეკრულება, სალტის მოლაპარაკებები, არაბ-იზრაელის კონფლიქტი და ასე შემდეგ.)

ამის საპირისპირო შემთხვევაა *არაჰომოგენური* ამომრჩეველი. ასეთ სიტუაციაში შეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ვნებათაღელვანი ქვეყნის შიგნით იმისდა მიხედვით, თუ რა პრეფერენციები აქვთ სხვადასხვა ჯგუფებს.

ამ ორ შემთხვევაში მოლაპარაკებაში მონაწილე პირების პრობლემებიც სხვადასხვაა. პირველ შემთხვევაში რაც უფრო მეტს მიაღწევს მოლაპარაკებების დროს პირველ დონეზე მით უფრო მეტი შანსი აქვს მას, რომ მის შეთანხმებას შინ ხელს მოაწერენ. ამ შემთხვევაში მომლაპარაკებელს პირდაპირ შეუძლია გამოიყენოს მისი შინაური “ძერები” (Hawk), რომ მაქსიმალურად გაზარდოს მისი მოგება ან მინიმუმამდე დაიყვანოს მისი დანაკარგი პირველ დონეზე.

მომლაპარაკებლის საქმე უფრო რთულად არის როცა მას საქმე აქვს ჰეტეროგენულ ამომრჩეველთან, მაგრამ ამ დროს სიტუაცია პოტენციურად უფრო საინტერესოა. ასეთ შემთხვევაში საშინაო განხეთქილებებმა შეიძლება გააუმჯობესონ საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები.

2. ვინსეტების ზომა დამოკიდებულია მეორე დონეზე არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე.

რატიფიკაციის პრცედურები თვალნათლად ახდენენ ზეგავლენას ვინსეტებზე. მაგალითად, თუ ორი მესამედია საჭირო რატიფიკაციისათვის ვინსეტი იქნება უფრო მცირე ვიდრე ისეთ შემთხვევაში როდესაც მხოლოდ მარტივი უმრავლესობაა საჭირო. მაგალითად, აშშ-ში 100 დან 33 სენატორს შეუძლია ნებისმიერი ხელშეკრულების ჩაგდება. არსებობს ისეთი ინსტიტუტებიც, რომლებიც მოითხოვენ რატიფიკაციას რამდენიმე დონეზე. ეს კიდევ უფრო ართულებს მოლაპარაკებას და ამცირებს ვინსეტს. მაგალითად, მოლაპარაკებები აშშ-სა და ევროკავშირს შორის აგროვაცრობის საკითხებზე. შეთანხმება უნდა იქნეს რატიფიცირებული კომისიის მიერ და ეროვნული მთავრობების მიერაც. ამერიკაში კი რატიფიკაცია უნდა მოხდეს მთავარი აგრო ორგანიზაციების და ამ ორგანიზაციებს შორის მთავარ ინტერესთა ჯგუფების მიერ.

3. ვინსეტების ზომა დამოკიდებულია პირველი დონის მომლაპარაკებლების სტრატეგიაზე

თითოეულ მომლაპარაკებელს პირველ დონეზე სურს, რომ გაზარდოს მისი ოპონენტის ვინსეტი, მაგრამ საკუთარი ვინსეტისადმი მას შერეული გრძნობები აქვს. ერთის მხრივ, რაც უფრო დიდია მისი ვინსეტი უფრო ადვილად შეუძლია მას შეთანხმების დადება, მაგრამ ამავდროულად უფრო სუსტია მისი დიპლომატიური პოზიცია სხვა მომლაპარაკებლის ფონზე. მომლაპარაკებელს შეუძლია სხვადასხვა სტრატეგიებს მიმართოს. მაგალითად, იმისთვის რომ დაამტკიცოს მხარდაჭერა თავისი პოზიციისადმი პირველ დონეზე მას შეუძლია შინ მოაწყოს გამოსვლები ამ პოზიციის მხარდასაჭერად და ასე შემდეგ, მაგრამ ამავდროულად ასეთ ტაქტიკას შეიძლება ქონდეს შეუქცევადი უარყოფითი შედეგები ამომრჩეველთა დამოკიდებულებებზე, ანუ შეაფერხოს შესაძლებლობა იმისა, რომ ხელი მოეწეროს ალტერნატიულ, კომპრომისულ ხელშეკრულებას/შეთანხმებას. იგივენაირად, თუ მოლაპარაკებამდე ლიდერი/მომლაპარაკებელი ეცდება შეარბილოს ამომრჩეველთა სიმკაცრე საკითხთან დაკავშირებით რატიფიკაციის პერიოდში სირთულეების მოლოდინში იგი ვერ შეძლებს შეინარჩუნოს მტკიცე პოზიცია საზღვარგარეთ.

მიუხედავად ამისა, თუ ლიდერს სურს გაზარდოს თავისი ვინსეტი მას შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები, როგორცაა “პირის მოქონვა” და ან გულრწფელი “კეთილი სურვილები.” გარდა ამისა, თუ მომლაპარაკებელს შინ აქვს მაღალი პოლიტიკური რეიტინგი იგი უფრო ადვილად მოიპოვებს მხარდაჭერას და შესაბამისად რატიფიკაციას თავის საგარეო წამოწყებებზე.

ლექცია XII

პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში

გასული საუკუნე უნიკალური იყო წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოების სიმრავლის მხრივ. დეკოლონიზაციამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი წარმონაქმნების შექმნა, რომელთაგანაც უმრავლესობა იყო პატარა და სუსტი. პატარა ქვეყნების მნიშვნელობა შემჩნეული და აღიარებული იყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე რადგანაც ერთა ლიგა შედგებოდა პატარა და სუსტი სახელმწიფოებისგან.¹⁰⁵ მიუხედავად ამისა, პატარა ქვეყნის მცნებამ როგორც ანალიტიკურმა კონცეფციამ მნიშვნელობა შეიძინა მხოლოდ ომის შემდეგ.¹⁰⁶ ა. ბ. ფოქსის, დავიდ ვიტალის, შუ და ბრუდტლანდის, როტსტეინის, მატისენის და ისტის ნაწერებმა შექმნეს პატარა ქვეყნების შესწავლის მეცნიერული ფუნდამენტი.¹⁰⁷

ახლანდარმოქმნილ დისციპლინას თავისი წინააღმდეგობებიც გააჩნდა რადგან ზოგიერთი ავტორები, მაგალითად პიტერ ბაერი¹⁰⁸ და ნილს¹⁰⁹ ამსტრუმი ამბობდნენ, რომ კონცეფციის შესწავლა უნდა შეწყვეტილიყო მისი გამოუსადეგარობის და სირთულის გამო.¹¹⁰

მიუხედავად ამ კონცეფციასთან დაკავშირებული უთანხმოებებისა, მისმა მნიშვნელობამ წინ წამოიწია 80 და 90-იან წლებში, ცივი ომის დასასრულის და ახალი მსოფლიო წესრიგის წარმოქმნის შემდგომ. უკანასკნელი მცდელობა იმისა, რომ პატარა ქვეყნების შესწავლას შეეძინა სისტემური ხასიათი გახლდათ ოლავ კნუდსენის მიერ გამოქვეყნებული სტატია. კნუდსენმა გამოყო სამი ძირითადი მიმართულება პატარა ქვეყნების შესწავლის თანამედროვე პრაქტიკაში. მან ასევე რჩევა მისცა მკვლევარებს წარემართათ თავიანთი საქმიანობა ისე, რომ ჩამოყალიბებულიყო უფრო მჭიდრო სუბდისციპლინა უფრო შესაფერისი თეორიებით პატარა ქვეყნების შესახებ.¹¹¹

დებატები პატარა ქვეყნის მნიშვნელობაზე კიდევ უფრო მძაფრი ხდება, როდესაც ჯერი მიდგება “სუსტის” და “პატარის” განსაზღვრაზე. ზოგიერთი ავტორი ამ ტერმინებს ერთგვაროვნად იყენებს ხოლო ზოგი პატარა ქვეყნებად მოიაზრებს მთელს “მესამე სამყაროს.”¹¹²

ეს უკანასკნელი განსაზღვრება წარმატებული არ იყო, რადგანაც იგი უგელე-

¹⁰⁵ William E. Rappard, “Small States in the League of Nations”, *Political Science Quarterly*, 49:4 (Dec. 1934).

¹⁰⁶ Werner Bauwens, Armand Clesse & Olav Knudsen, eds., *Small States and the Security Challenge in the New Europe*, (London, Washington, Brasey’s, 1996), p. 4

¹⁰⁷ იხილეთ, Anette Fox, *The Power of the Small States, Diplomacy in World War II*, (Chicago, University of Chicago Press, 1959). David Vital, *The Inequality of States*, (New York, Oxford University Press, 1967); David Vital, *The Survival of Small States; Studies of Small Power/Great Power Conflict*, (New York, Oxford University Press, 1971). August Schou, and Arne Brundtland, eds., *Small States in International Relations*, (Nobel Symposium No 17, Stockholm, 1971). Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers*, (New York, Columbia University Press, 1968); Robert L. Rothstein. “Alignment, Non-Alignment and Small Powers: 1945-1965”, *International Organization*, 20:3 (Summer 1966). Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers*, (Oslo, Bergen Tromso, 1971). Maurice A. East, “Size and Foreign Policy Behavior: A Test of Two Models”, *World Politics*, 25:4 (1973).

¹⁰⁸ Peter R. Baehr, “Small States: A Tool for Analysis?”, *World Politics*, No. 27:3, (1975).

¹⁰⁹ Niels Amstrup, “The Perennial Problem of Small States: A Survey of Research Efforts”, *Cooperation and Conflict*, 11:3, (1976).

¹¹⁰ Bauwens et al, *Small States and Security Challenge*, 4.

¹¹¹ Olav F. Knudsen. “Small States, Latent and Extant: Towards a General Perspective”, *Journal of International Relations and Development*, 5:2 (June 2002): 182

¹¹² Mohammed Ayoob, “The Security Problematique of the Third World”, *World Politics*, 43:2 (Jan. 1991); Bahgat Korany, “The Take-off of Third World Studies? The Case of Foreign Policy”, *World Politics*, 35:3 (April 1983); Tony Smith, “Requiem or New Agenda for Third World Studies”, *World Politics*, 37:4 (July 1985); Keyusuke Iida, “Third World Solidarity; Group of 77 in the UN General Assembly”, *International Organization*, 42:2 (Spring 1988).

ბელყოფდა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც იყვნენ სუსტი, მაგრამ არ ეკუთვნოდნენ მესამე სამყაროს. ამას გარდა დგლესდღობით უფრო და უფრო მეტი მეცნიერი უთმობს ყურადღებას ისეთი პატარა ქვეყნების შესწავლას რომლებიც ეკონომიკურად უაღესად განვითარებულნი არიან, არიან საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრები, მაგრამ ამავდროულად ითვლებიან “პატარა” ქვეყნებად.¹¹³

კონცეფციის განმარტებითი სირთულეები ნათელი გახდება თუკი შევხედავთ რამოდენიმე მაგალითს. საქართველო ბუნებრივია პატარა ქვეყანაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, მაგრამ თუკი გვინდა მისი შედარება ტუვალუს ან ვანუატუსთან მიმართებაში მაინც პატარად ჩაითვლება იგი? მეორე მხრივ, საქართველოს ჰყავს თითქმის იმდენივე მოსახლეობა და აქვს თითქმის იგივე ტერიტორიული სიდიდე როგორც ნიდერლანდებს, ან ბელგიას, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ რომ იგი ისევე ძლიერია როგორც ეს ქვეყნები? იგივეაირად, საქართველოსთან შედარებით რუსეთი არის ძლიერი ქვეყანა ყველა მონაცემებით, მაგრამ თუკი მას შევადარებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ან ჩინეთს მაშინ იგივეს თქმას შევძლებთ? ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ პატარის და სუსტის განსაზღვრებები ფარდობითი მცნებებია და არა აბსოლიტური.

ამ მცნების განმარტებასთან დაკავშირებული სირთულეები გახდად მიზეზი იმისა, რომ ბევრი მკვლევარი სკეპტიკურად უყურებს პატარა ქვეყნების გამოყენებას როგორც კვლევის საგანს საერთაშორისო ურთიერთობებში. ამავე მიზეზით ბევრი არ ცდილობს პატა და სუსტის მცნებების შესაბამისი დეფინიციის მოფიქრებას. გოტჩელი ამბობს, რომ “ ამ ქვეყნების ანალიზის კატეგორიად გამოყენების მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა” და მათი განმარტებები დიდად არის დამოკიდებული ავტორების თეორიულ საფუძველზე, მეთოდოლოგიურ მიდგომაზე და მსოფხედველობაზე.¹¹⁴ მაგრამ მიუხედავად ამ სკეპტიციზმისა იმ ავტორების რიცხვი, რომლებიც პატარა ქვეყნების პრობლემატიკას შეისწავლიან თანდათან იზრდება.

თავდაპირველად განმარტება ეფუძნებოდა ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა მოსახლეობა, მთლიანი შიდა პროდუქტი და ტერიტორია. ისტმა პატარა ქვეყნები განსაზღვრა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1) პატარა სახმელეთო ტერიტორია, 2) მცირე ადგილობრივი მოსახლეობა, 3) მცირე მთლიანი ეროვნული პროდუქტი, 4) და სამხედრო შესაძლებლობების დაბალი დონე.¹¹⁵

როგორც მოსერმა აღნიშნა, აბსოლიტური განსაზღვრება “როგორც წესი, ეფუძნება ზღურბლს,” და როგორც კი ქვეყანა მაჩვენებლის ზღურბლს გადასცდება იგი აღარ ითვლება სუსტ ან პატარა ქვეყანად.¹¹⁶ შესაბამისად ეს კატეგორიები ზუსტად ვერ გადმოსცემენ “პატარის” ბუნებას. როგორც ბიოლმა აღნიშნა “ბელგია შეიძლება პატარაა საფრანგეთთან მიმართებაში, მაგრამ ლუქსემბურგი პატარა ქვეყანაა ბელგიასთან მიმართებაში და საფრანგეთი პატარა ქვეყანაა აშშ-სთან მიმართებაში.”¹¹⁷

არსებობს ფარდობითი კრიტერიუმებიც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით “სისუსტე”

¹¹³ Peter J. Katzenstein, *Corporatism and Change: Austria, Switzerland and The Politics of Industry*, (Ithaca, Cornell University Press, 1984); Peter J. Katzenstein, *Small States in World Markets: Industrial Policy in Europe*, (Ithaca, Cornell University Press, 1985); Risto Alapuro et al., eds., *Small States in Comparative Perspective: essays for Erik Allardt*, (Oslo, Norwegian University Press, 1985)

¹¹⁴ Laurent Goetschel, “Small States and the Common Foreign and Security Policy of the EU: A Comparative Analysis”; Working Paper No. 14, Nationales Forschungsprogramm, Berne, May 2000: 42, available from <http://www.snf.ch/NFP/nfp42/working/WP14GoetschelPDF.pdf>; Internet. accessed June 01, 2003

¹¹⁵ East, “Size and Foreign Policy”, 558

¹¹⁶ Michael W. Mosser, “Engineering Influence: the Subtle Power of Small States in the CSCE?OSCE”, paper presented at the workshop on “Small States and Alliances”, Austrian Defense Academy, Vienna, 25-27 November 1999, p. 3

¹¹⁷ Erling Bjøl, “Small States in International Politics”, in Schou et al., *Small States*, 9.

და “ძლიერება” უნდა განისაზღვროს სამხედრო შესაძლებლობების მიხედვით. ვანდენბოსხისათვის “პატარა ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს შეეჯიბროს ომში ძლიერ ქვეყნებს თანაბარი ძალებით.”¹¹⁸ გოტჩელი კი ამბობს, რომ ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო გარემოს ცვლილებასთან ერთად “რიცხოვრივმა ძალისმიერმა ატრიბუტებმა” დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. სამხედრო ძალა რჩება მხოლოდ როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ძალისა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ავტომატურად არ არის სიძლიერის მაჩვენებელი.¹¹⁹ ისეთი ელემენტები, როგორცაა საერთაშორისო ინსტიტუტების როლი,¹²⁰ ინსტიტუციონალიზებული იდეები,¹²¹ ან დიპლომატიური კორპუსის სიძლიერე,¹²² შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტად ამათუ იმ ქვეყნისათვის სუსტის, ან ძლიერის სტატუსის მინიჭებისას.

საქართველოს მაგალითშიც მხოლოდ აბსოლიტური განამრტებებით სარგებლობა შეცდომაში შეგვიყვანდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბიციებს, რომლებიც საქართველოს გააჩნია რეგიონში და მის მეზობელ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობებს, მაშინ მხოლოდ რიცხოვრივი მიდგომა არასწორი იქნებოდა.

ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ‘სისუტე’ დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ადარებ. ეს განსაზღვრებები განიხილავენ ‘პატარაობას’ შესაძლებლობების, და ასევე იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიყენება ეს შესაძლებლობები, ვის წინააღმდეგ, როდის და რა მიზნების მისაღწევად.¹²³ კნუდსენი თვლის, რომ სახელმწიფო სუსტია მაშინ, როდესაც მისი საგარეო პოლიტიკური ეფექტურობა და ძლიერება საგრძნობლად მცირეა მის თუნდაც ერთ მეზობელთან შედარებით.¹²⁴

უფრო მოგვიანებით კნუდსენმა პატარა სახელმწიფოს ასეთი განმარტება მისცა “ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არის შესამჩნევად სუსტი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში.”¹²⁵ ზოგიერთი მკვლევარები კი იზიარებენ აზრს, რომ ‘პატარაობა’ ნიშნავს ქვეყნის შეუძლებლობას განახორციელოს საკუთარი ეროვნული ინტერესები საერთაშორისო არენაზე. მაგალითად, გოდჰამერი ხაზს უსვამს, რომ პატარანი არიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ ერევიან მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო საქმიანობებში.¹²⁶

არსებობს აგრეთვე სუბიექტური განსაზღვრებები, რომლებიც ეყრდნობიან ქვეყნის საკუთარ მოსაზრებას საკუთარი ძლიერების შესახებ. როგმტენი ამბობს, რომ “პატარაა ის სახელმწიფო, რომელიც აღიარებს რომ მას არ შეუძლია მოიპოვოს უსაფრთხოება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, და რომ ის უნდა დაეყრდნოს ძირითადად

¹¹⁸ Amry Vandenbosch, “The Small States in International Politics and Organization”, *The Journal of Politics*, 26:2, (May 1964): 294.

¹¹⁹ Goetschell, “Small States and the CFSP”, 4.

¹²⁰ Karoliina Honkanen, “The Influence of Small States on NATO Decision-Making: The Membership Experiences of Denmark, Norway, Hungary and Czech Republic”, (Totalförsvarets Orskningsinstitut, Stockholm, November 2002); Michael W. Mosser, “Engineering Influence”; Keyusuke Iida, “Third World Solidarity”.

¹²¹ Judith Goldstein, and Robert O. Keohane, *Ideas and foreign policy: Beliefs, Institutions, and Political Change*, (Ithaca, Cornell University Press, 1993).

¹²² Alexander Rondeli, “პატარა ქვეყნის დიპლომატიური საქმიანობა” (Diplomatic Activity of a Small Country), “Georgian Diplomacy,” Annual, No 7. (Tbilisi University Press, Tbilisi, 2000): 5-20; Bengt Sundelius, “Independence and Foreign Policy”, *Cooperation and Conflict*, 15 (1980): 202

¹²³ Miriam Fendius Elman, “The Foreign Policies of Small States: Challenging Neorealism in its own Backyard”, *British Journal of Political Science*, No 25 (1995): 172

¹²⁴ Olaf Knutsen “Patara Sakhelmtsifo: Usafitxoebis Problema” (Small State, the Problem of Security), *Politics*, No. 7, (Tbilisi, 1991): 27; quoted in - Alexander Rondeli, *Saertashoriso Urtiertobebi*, (International Relations), (Independent University of Tbilisi, 1996), 216.

¹²⁵ Olaf Knudsen, “Small States: Latent and Extant,” 184

¹²⁶ H. Goldhammer, *The Foreign Powers in Latin America*, (Princeton, Princeton University Press, 1972): 237

სხვა სახელმწიფოთა დახმარებას, ინსტიტუტებს, პროცესებს, ან გარემოებებს რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება. ასევე, პატარა ქვეყნის რწმენა საკუთარ უძლურებაში აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაბმული სხვა სახელმწიფოების მიერ”.¹²⁷

ნეორეალიზმის სკოლა იყენებს პატარა ქვეყნების ფარდობით დეფინიციებს. მათთვის ძალა, ძლიერება არის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი და ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკისა.¹²⁸ ძლიერი არიან ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, პატარანი არიან ქვეყნები, რომლებსაც არ ძალუძთ რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა საერთაშორისო არენაზე. კენეტ უოლცისათვის ზუსტად ეს კრიტერიუმი, ანუ ქვეყნის შეუძლებლობა შეცვალოს რაიმე საერთაშორისო სისტემაში, წარმოადგენს ქვეყნის სისუსტის განმსაზღვრელ ფაქტორს.¹²⁹ ნეორეალისტებისათვის პატარა ქვეყნები უფრო ფსონები არიან ვიდრე მოთამაშეები.¹³⁰ ამდროულად, ისინი არიან უსაფრთხოების მომხმარებლები და არა მწარმოებლები.¹³¹ ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და პატარა ქვეყნებს საერთაშორისო სისტემის ‘ანაქრონიზმებად’ აღიქვამს. “პატარა სახელმწიფო არის ვაკუუმი მაღალი წნევის არეალში. ის ცოცხლობს არა იმიტომ, რომ ის ძლიერია, არამედ იმიტომ, რომ არავის სურს მისი ტერიტორია, ან იმიტომ რომ მისი შენარჩუნება როგორც ბუფერულ სახელმწიფოდ, ან ზენოლის იარაღად ძალთა ბალანსში შედის ძლიერი სახელმწიფოს ინტერესებში. როდესაც ბალანსი ქრება, როგორც წესი პატარა სახელმწიფო მასთან ერთად ქრება.”¹³²

ერთ-ერთი ყველაზე მიღებული დეფინიცია პატარა ქვეყნისა ეკუთვნის კიოჰენს, რომელიც აერთიანებს როტსტეინის სუბიექტურ ელემენტს და ნეორეალისტურ სისტემურ ელემენტს. შედეგად იგი ასკვნის, რომ სისუსტე, ან სიძლიერე, დამოკიდებულია ამ ქვეყნის ლიდერის აღქმაზე, თუ რა როლს ასრულებს მისი ქვეყანა სისტემურ თამაშში. 133 ფსიქოლოგიური და სისტემური კრიტერიუმების შეჯერებით კიოჰენი ასკვნის, რომ “პატარა სახელმწიფო, რომლის ლიდერები თვლიან, რომ მას არასოდეს არ შეეძლება მარტო, ან სხვა პატარა ჯგუფთან ერთად, მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა სისტემაზე.”¹³⁴

შველერი სახელმწიფოებს ყოფს ლომებად, ცხვრებად, ქურციკებად და მგლებად. პირველი ორი არიან სტატუს-კვო ქვეყნები, ხოლო ბოლო ორი რევიზიონისტი ქვეყნები.¹³⁵ ლომები არიან დიდი სახელმწიფოები, რომლებიც მართავენ სისტემას და ახორციელებენ საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, ხშირად ძალისმიერი საშუალებებითაც კი. ქურციკები არიან ის ქვეყნები, რომლებიც უფრო აფასებენ იმას რაც გააჩნიათ, ვიდრე იმას რაც შეიძლება მიიღონ სისტემისგან, მაგრამ რომლებიც ყოველ მიზეზ გარეშე ჩაებმებოდნენ კონფლიქტში თუკი რაიმეს მოპოვების შანსი არის საგრძნობლად მაღალი. მგლები აფასებენ იმას, რაც მათ შეუძლიათ მოიპოვონ უფრო მეტად, ვიდრე რაც მათ გააჩნიათ. როგორც წესი, ეს ქვეყნები მუდმივი აგრესორები არიან. ცხვრები კი არიან სუსტი

¹²⁷ Rothstein, *Alliances and Small Powers*, 29.

¹²⁸ Hans Morgenthau, *Politics among Nations*. (New York, Knopf. 1967), 5.

¹²⁹ Kenneth Waltz, *Theory of International Politics*, (Reading, MA, Addison-Wesley, 1979): 184-185, 195.

¹³⁰ Vandenbosch, “The Small States”, 294.

¹³¹ Ibid., 301.

¹³² Nicholas John Spykman, *America’s Strategy in World Politics*, (New York, Harcourt, Brace and Co, 1942): 20; quoted in Vandenbosch, “The Small States,” 294-5

¹³³ Robert O. Keohane, “Lilliputians’ Dilemmas: Small States in International Relations”, *International Organization*, 23:2 (1969), 295

¹³⁴ იქვე, . . . , გვ. 296.

¹³⁵ Randall Schweller, “Bandwagoning for Profit, Bringing the Revisionist State back in”, *International Security*, 19:1 (Summer, 1994): p. 100.

სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ თავი შორს დაიჭირონ მსოფლიო პოლიტიკისგან და შეინარჩუნონ თავიანთი უსაფრთხოება ყველა შესაძლო საშუალებით.¹³⁶

შველერის განმარტებით, სუსტია სახელმწიფო თუ “მათ გააჩნიათ შედარებით სუსტი შესაძლებლობები ან აქვთ ცუდი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობები ამა თუ იმ მიზეზების გამო. მათი ელიტები და ინსტიტუტები განიცდიან ლეგიტიმურობის სიმცირეს მასებთან მიმართებაში; ისინი შეიძლება დაყოფილი იყვნენ შიგნიდან ეთნიკური, პოლიტიკური, კლასობრივი, რელიგიური თუ ტომობრივი მაჩვენებლების მიხედვით; სახელმწიფო იდეოლოგია შესაძლოა კონფლიქტში იყოს და ძალით იყოს თავს მოხვეული პოპულარულ კულტურაზე; ან შესაძლებელია ისინი იყვნენ, რასაც ჰანტიგტონი უწოდებს, გახლეჩილი სახელმწიფოები: სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნიათ საკმაოდ დონის კულტურული ჰომოგენურობა, მაგრამ განხეთქილება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ცივილიზაციას ეკუთვნის მათი საზოგადოება.”¹³⁷

¹³⁶ იქვე, . . . , გვ. 99-100.

¹³⁷ იქვე, . . . , გვ. 102.

ლექცია XIII გლობალიზაცია

საერთაშორისო ურთიერთობების და გლობალიზაციის ურთიერთმიმართებაზე საინტერესო თეზისები აქვს წამოყენებული ჰარვარდელ პროფესორს ერნსტ ჰოფმანს. ჰოფმანის აზრით, 90-იანი წლებში დომინირებდა შეტაკება სახელმწიფოების და სახელმწიფოთა სისტემის ფრაგმენტაციას და მზარდ გლობალიზაციას ანუ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შორის. სწორედ ამის გამო წინა ათწლეულში მრავლად წარმოიშვა თეორიები, რომლებიც საუბრობდნენ საერთაშორისო ურთიერთობებზე გლობალიზაციის გავლენაზე.

1990-იან წლებში წარმოიშვა რამდენიმე თეორია, რომელიც საუბრობდა გლობალიზაციის შედეგებზე მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, ფრენსის ფუკუიამა და მისი თეზისი ისტორიის დასასრულის შესახებ, სადაც ავტორმა იწინასწარმეტყველა იდეოლოგიური კონფლიქტების აღმოფხვრა და პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზმის მთელს მსოფლიოში გავრცელება, რაც მსოფლიოში კონფლიქტების გაუჩინარების საწინდარად მიიჩნია.

მეორე მხრივ, ფუკუიამას სტატიის საპასუხოდ სემუელ ჰანტინგტონმა თავის ნაშრომში “ცივილიზაციათა შეჯახება” ხაზი გაუსვა ცივილიზაციებს შორის მომავალი დაპირისპირების გარდაუვალობას და მომავალი კონფლიქტების კერებად ცივილიზაციებს შორის გამყოფი ხაზები მიიჩნია. ჰანტინგტონი ვარაუდობდა, რომ მსგავსი კულტურის, ენის და ცივილიზაციური კუთვნილების სახელმწიფოები გაერთიანდებოდნენ ცივილიზაციის ნიშნის ქვეშ და დაუპირისპირდებოდნენ სხვა ცივილიზაციებს, რასაც მსოფლიოში ახალი ტიპის კონფლიქტები მოჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, ჰანტინგტონმა ვერ მოახერხა ცივილიზაციის ზუსტი განსაზღვრა და გადამეტებით დიდი როლი მიანიჭა რელიგიას, არ გაითვალისწინა რა, რომ არადასავლური ელიტები ხშირად ივინყებენ რელიგიას და ვესტერნიზებული და საერო მეთოდებით მართავენ სახელმწიფოს. სევე, ვერ გასცა ჰანტინგტონმა პასუხი კითხვას, თუ რატომ მიმდინარეობდა დაპირისპირები თავად ცივილიზაციებს შიგნით.

ჰოფმანი ასევე აღნიშნავს სხვა მოდელებს. რეალისტებს ისევ სჯერათ, რომ მსოფლიოში არაფერი შეცვლილა თუკიდედეს დროიდან, და რომ სახელმწიფო ისევ აკონტროლებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ამ მოდელის უდავო სისუსტე ისაა, რომ იგი ვერ ახერხებს ცვლილებების, უფრო ზუსტად კი გლობალიზაციის ინტეგრირებას თავის რეალობაში. ამ თეორიის მიხედვით ასევე უგულვებლყოფილია ის, რასაც რაიმონ არონი “სამყაროს ცნობიერების ნაწილს” უწოდებს. ეს, მისი აზრით, დღეისათვის სახელმწიფოების უმეტესი ნაწილისათვის ღირებულებას წარმოადგენს.

სევე, არიან მეცნიერები, რომელთაც დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის ტრიუმფის ასპარეზად მიაჩნიათ. ამ მეცნიერებს შორის აღსანიშნავია “ნიუ იორკ ტაიმის” ჟურნალისტი ტომას ფრიდმანი, რომლის აზრით გლობალიზაცია არის დღევანდელი ეპოქის გადამრჩენელი, რადგან მას აუცილებლად მოაქვს მშვიდობა და დემოკრატია. ომი გლობალიზაციის უპირველესი ხელისშემშლელია და შესაბამისად ხელს უშლის პროგრესსაც, ხოლო ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინდივიდუალურ ავტონომიას და ინიციატივებს, რაც დემოკრატის უპირველესი მამოძრავებელია.

ჰოფმანის აზრით გლობალიზაცია მთლად ისეთი ვარდისფერი არ არის, როგორც ეს ფრიდმანს წარმოუდგენია. მისი აზრით გლობალიზაციას აქვს სამი ფორმა, რომელთაგან თითოეულს თავისი პრობლემები გააჩნია. პირველ რიგში ესაა ეკონომიკური გლობალიზაცია, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, სავაჭრო და სხვა სახის უკანასკნელი დროის აქტივობასთან. კაპიტალიზმის ასეთი ზრდა წარმოშობს

მნიშვნელოვან დილემას ეფექტურობას და სამართლიანობას შორის. შესაბამისად, ეკონომიკური გლობალიზაცია, გარდა სიკეთის მოტანისა, ქვეყნებს შორის მზარდი უთანასწორობის გამომწვევიცაა.

კულტურული გლობალიზაცია, ჰოფმანის აზრით, ტექნოლოგიური პროგრესის და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგია. აქ დილემა დგას უნიფორმიზაციას და მრავალგვარობას შორის. შედეგად ხდება მსოფლიოს დანაწევრება (disenchantment of the world – Webber) და ერთგვაროვნების წინააღმდეგი რეაქციის წარმოშობაც. უკანასკნელის დასტურია ადგილობრივი კულტურების რენესანსი და ადგილობრივი ენების აღორძინება, ასევე დასავლეთის კულტურის წინააღმდეგ მომრავლებული გალაშქრებები.

მესამე ფორმა, ჰოფმანის აზრით, არის პოლიტიკური გლობალიზაცია, რომელიც წინა ორი გლობალიზაციის პროდუქტია. აქ გამოირჩევა ამერიკის პოლიტიკური ინსტიტუტების და პოლიტიკის დომინირება, ასევე, არასახელმწიფო ინსტიტუტების მომრავლება და გააქტიურება მსოფლიო ასპარეზზე.

ჰოფმანის აზრით გლობალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი:

- 1) გლობალიზაცია არის ამერიკული ნაწარმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა პოპულარული;
- 2) გლობალიზაცია არ არის ყოვლისმომცველი, რადგან მასში არ მონაწილეობს უამრავი პატარა ლარიბი ქვეყანა. ბაზრები არ არის ინტეგრირებული;
- 3) საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების იდეა მხოლოდ ემბრიონულ ფორმაშია. არასამთავრობოები ხშირად მთავრობების წინააღმდეგ წარმოადგენენ;
- 4) ინდივიდუალური ემანსიპაცია არ არის აუცილებელი თანსართი დემოკრატიზაციის გზაზე მყოფ რეჟიმებში. ასევე საერთაშორისო ინსტიტუტები ხშირად მიკერძოებულნი არიან რაც ხელს უშლის ემანსიპაციას და დემოკრატიზაციას;
- 5) ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ბარიერების მოშლის შედეგად საკმაოდ საეჭვო იდეაა. ჰოფმანის აზრით, გლობალიზაცია მხოლოდ სხვადასხვა ტექნიკების (აუდიო და ვიდეოკასეტები, ინტერნეტი, კომუნიკაციები) ჯამია, რომლებიც სახელმწიფოების და კერძო სექტორის ხელშია. ეს აქტორები კი მოძრაობენ საკუთარი ინტერესების და იდეოლოგიის ძახილით და არა ჰუმანიტარული მოსაზრებებით. მათი ქმედებები არსებითად განსხვავდება გლობალიზაციის იმ ხედვისგან, რომელიც გლობალიზაციას აღიქვამს როგორც განმანათლებლურ ფენომენს, რომელიც ერთდროულად მეცნიერული, რაციონალური და უნივერსალურია.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც აღწერს დიდ დებატებს გლობალისტებს და სკეპტიკოსებს შორის მათ მიერ წამოყენებულ ძირითად თეზისებზე დაყრდნობით.

დიდი დებატები გლობალიზაციაზე

| | | სკეპტიკოსები | გლობალისტები |
|---|--------------|--|---|
| 1 | კონცეფციები | ინტერნაციონალიზაცია და არა გლობალიზაცია | მსოფლიო იძენება ძლიერი ექსტენსიური, ინტენსიური და სწრაფი დინებებით, რომლებიც კვეთენ რეგიონებს და კონტინენტებს |
| 2 | ძალა | სახელმწიფო არის მთავარი აქტორი ინტერგავერნმენტალიზმი | სახელმწიფოს სუვერენულობის ეროზია, ავტონომია და ლეგიტიმურობა სახელმწიფოს გავლენის შემცირება მულტილატერალიზმის აღზევება |
| 3 | კულტურა | ნაციონალიზმის და ნაციონალური იდენტურობის აღზევება | გლობალური პოპულარული კულტურის აღზევება მუდმივი პოლიტიკური იდენტურობის ეროზია ჰიბრიდიზაცია |
| 4 | ეკონომიკა | რეგიონალური ბლოკების განვითარება ტრიადიზაცია ახალი იმპერიალიზმი | გლობალური საინფორმაციო კაპიტალიზმი ტრანსნაციონალური ეკონომია სამუშაოს ახალი, გლობალური დაყოფა |
| 5 | უთანასწორობა | მზარდი ჩრდილოეთ სამხრეთ განხეთქილება ინტერესთა კონფლიქტების შეუთავსებლობა | მზარდი უთანასწორობა საზოგადოებებს შორის და შიგნით ძველი იერარქიების ეროზია |
| 6 | წესრიგი | სახ. საერთაშორისო საზოგადოება პოლიტიკური კონფლიქტების გარდაუვალობა საერთ. მმართველობა და გეოპოლიტიკა კომუნიტარიანიზმი | მულტი შრეებიანი გლობალური მმართველობა გლობალური სამოქალაქო საზოგადოება გლობალური საზოგადოება კოსმოპოლიტანიზმი |

ლექცია XII

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია

ყველაზე მნიშვნელოვანი არის დავინახოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებაში არიან ერთმანეთთან საერთაშორისო და საშინაო ეკონომიკები. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოებები, როდესაც საერთაშორისო გარემო ზღუდავს და მიმართულებას აძლევს ეროვნულ გადაწყვეტილებებს. მთავრობები მიილტვიან იმისაკენ, რომ შეინარჩუნონ კონტროლი ეროვნულ ეკონომიკაზე და ამავე დროს ცდილობენ მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შესაძლო სარგებელი. მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ამ ძალისხმევას კიდევ უფრო ართულებს და სათუოს ხდის. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს ეკონომიკური სფეროები, საჭიროა ვიცოდეთ ელემენტარული ეკონომიკური კონცეფციები.

უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გავიაზროთ თუ საერთოდ რატომ ვაჭრობენ ქვეყნები ურთიერთშორის. ამის გასაგებად საჭიროა გადავხედოთ თავისუფალი ვაჭრობის თეორიას და ამ თეორიის ძირითად ელემენტებს. მეორე, უნდა ვისწავლოთ თუ როგორ გავზომოთ საზღვრებს გარეთ საქონლის, მომსახურეობის და ფულის მოძრაობა/ბრუნვა. მესამე, უნდა ვერკვეოდეთ თუ რა ინსტრუმენტები გააჩნია მთავრობას საშინაო პოლიტიკური ეკონომიკის სამართავად. ამ ინსტრუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. მეოთხე, ვალუტის კონვერტაციის საჭიროება ქმნის გარკვეულ პრობლემებს. მაგალითად, სავალუტო კურსის ცვალებადობა არა მარტო გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტზე, არამედ ქმნის პოლიტიკური ჩარევის საშუალებას და საჭიროებასაც კი. მაშასადამე, სანამ პოლიტიკური ეკონომიკის თეორიებს განვიხილავდეთ, საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი მცნებების ცოდნა.

თავისუფალი ვაჭრობა

თავისუფალი ვაჭრობა ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანას აქვს საქონლის და მომსახურეობის წარმოების სხვადასხვა შესაძლებლობები. ძალიან ხშირად ერთ რომელიმე სახელმწიფოს აქვს ხოლმე რაღაც პროდუქტის წარმოებაში აბსოლიტური უპირატესობა. ანუ, ამ ქვეყანას შეუძლია ეს პროდუქცია აწარმოოს უფრო იაფად, ვიდრე სხვა დანარჩენ სახელმწიფოებს.

აბსოლიტური უპირატესობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი გამარტივებული მაგალითით. წარმოვიდგინოთ ორი ქვეყანა, აშშ და დიდი ბრიტანეთი და ორი სახის პროდუქტი: რკინა და ხორბალი. თითოეული ქვეყანა ერთ-ერთი ტიპის პროდუქტს უფრო ეფექტურად აწარმოებს.

| | ხორბალი | რკინა |
|-----------|---------|-------|
| | ბუშელი | ტონა |
| ბრიტანეთი | 100 | 250 |
| აშშ | 200 | 150 |

ნათელია, რომ ბრიტანეთს აქვს აბსოლიტური უპირატესობა რკინის წარმოებაში და აშშ-ს ხორბლის წარმოებაში. წარმოვიდგინოთ, რომ თითოეულ ქვეყანას ყავს 200 მუშახელი. თუ ორივე ქვეყანა აწარმოებს ორივე ტიპის პროდუქციას და თავიდან აიცილებს ვაჭრობას, ისინი მიიღებენ შემდეგი სახის შედეგს:

| | ხორბალი | რკინა |
|------------------|------------------|----------------|
| ბრიტანეთი | ბუშელი 10,000 | ტონა 25,000 |
| აშშ | 20,000 | 15,000 |
| მთლიანი წარმოება | 30,000 | 40,000 |

თვალნათელია, რომ ბრიტანეთს აქვს სპეციალიზაცია რკინის წარმოებაში და აშშ-ს ხორბლის წარმოებაში. თუ ისინი გადაისვრიან მთელს თავიანთ სამუშაო ძალას იმ პროდუქციის წარმოებად, რომლის წარმოების აბსოლუტური უპირატესობაც გააჩნიათ, მაშინ ორივეს მთლიანი წარმოებული პროდუქცია გაიზრდება. შესაბამისად, ბრიტანეთს შეეძლება აწარმოოს 50,000 ტონა რკინა და აშშ-ს 40,000 ბუშელი ხორბალი. ამის შედეგად მათ შეეძლება ერთმანეთში ივაჭრონ. 4 ბუშელ ხორბალში მოვა 5 ტონა რკინა და ორივე ქვეყანა მიიღებს სარგებელს. რა თქმა უნდა, ვაჭრობის მოცულობა იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენი პროდუქცია გჭირდება. მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთს შეუძლია 5 ტონა რკინა გაცვალოს 4 ბუშელ ხორბალში, მაშინ როდესაც თუ ბრიტანეთს მოუწევს ხორბლის საკუთარი ძალებით წარმოება მან უნდა დათმოს 10 ტონა რკინა. ანუ, იქმნება სიტუაცია, სადაც თავისუფალი ვაჭრობა უფრო მომგებიანია ვიდრე იზოლაციონიზმი.

გადასახადების ბალანსი

გადასახადების ბალანსი არის ერთგვარი საბუღალტრო მექანიზმი, რომელიც აღრიცხავს საქონლის, მომსახურების და კაპიტალის მოძრაობას დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, მეოთხედი, წელი). თვითონ ბალანსის მცნება ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს არაზუსტია, რადგანაც სინამდვილეში ჩვენ დისბალანსი უფრო გვანტივითვებებს, რომელიც სხვადასხვა პუნქტებში იჩენს ხოლმე თავს. განვიხილოთ, თუ რომელი პუნქტებისაგან შედგება გადასახადების ბალანსი:

1. საქონლის ექსპორტი-იმპორტი

ეს პუნქტი აღნიშნავს იმ საქონელს, რომელიც შეიქმნა ქვეყნის შიგნით და გაიყიდა ქვეყნის გარეთ (ექსპორტი) და იმ საქონელს, რომელიც შეიქმნა ქვეყნის გარეთ და გაიყიდა ქვეყნის შიგნით (იმპორტი).

2. მომსახურების ექსპორტი და იმპორტი

ეს ეხება უფრო არახელშესახებ მომსახურებას, როგორცაა ტრანსპორტაციის ხარჯები, დაზღვევა, ინფორმაცია, თანამგზავრული გადაცემები, საბანკო დანახარჯები.

3. საინვესტიციო შემოსავლები და გადასახადები/გასავლები

როდესაც ვიღაც აკეთებს ინვესტიციას ამა თუ იმ ქვეყანაში, იგი მოელის მოგების დივიდენდებს ან პროცენტებს ამ ინვესტიციიდან. ეს პუნქტი ეხება საინვესტიციო მოგების გადასახადს გადახდილს ინვესტორების მიერ ამ ქვეყნის მოქალაქეთათვის და პირიქით, ამ ქვეყნის მიერ უცხოელებისათვის მიცემულ გადასახადებს.

4. სამთავრობო ექსპორტი/იმპორტი და უცხოური დახმარება

ის საქონელი, რომელსაც მთავრობა ყიდის საერთაშორისო ბაზარზე, მაგალითად შეიარაღება. სევე, მთავრობები ლებულობენ ან გასცემენ უცხოურ

დახმარებას.

5. მიმდინარე ანგარიშების ბალანსი

ეს პუნქტი არის 1-4 პუნქტების ჯამური პუნქტი. ანუ, საქონლის, მომსახურეობის, საინვესტიციო შემოსავლების და მთავრობის.

6. კაპიტალური ანგარიში

ეს პუნქტი შეეხება იმ ინვესტიციებს, რომლებიც დაბანდებულია საზღვარგარეთ ან ამ ქვეყანაში, უცხოელების მიერ. როგორც წესი, განასხვავებენ მოკლევადიან (რომლის სიმნიშვნის პერიოდია ერთ წელიწადზე ნაკლები) და გრძელვადიან ინვესტიციებს (წელზე მეტი). მაგალითად, როდესაც იაპონიის ბანკი ყიდულობს ობლიგაციებს აშშ-ს მთავრობისგან, რომელიც მნიშვნელოვან 180 დღეში, ეს იწერება მოკლევადიან კაპიტალურ ანგარიშში, მაგრამ როდესაც მთავრობა უხდის იაპონიის ბანკს პროცენტს ეს იწერება საინვესტიციო შემოსავლების და გასაღების პუნქტში.

7. ოფიციალური რეზერვები

ქვეყნის ცენტრალურ ბანკს გააჩნია უცხოური ვალუტის და ოქროს რეზერვი, რომელსაც იგი იყენებს მაშინ, როდესაც ის აწარმოებს ტრანსაქციებს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან, ან როდესაც იგი ერთვება უცხოური ვალუტის ბაზარში ვალუტის გასაყიდად ან შესაძენად. ამ ოპერაციების საბოლოო ეფექტი არის ის, რომ დააბალანსოს სხვა პუნქტების ჯამური სხვაობა.

8. სტატისტიკური უზუსტობა

გადასახადების ბალანსის გაზომვა არაზუსტი პროცესია მისი სირთულის გამო და ასევე იმის გამო, რომ ზოგიერთი ტრანსაქციები დამალულია (მაგალითად ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა). ეს პუნქტი არის სტატისტიკური ხრიკი, რომელიც გამოიყენება უზუსტობის გასაზომად და შემდეგ საბოლოო კრედიტების და დებიტების ბალანსში მოსაყვანად.

უფრო მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, გადასახადების ბალანსი აღნიშნავს ორ რამეს: ტრანსაქციის შედეგად უცხოელს უხდის თანხას ქვეყანა (დებიტი), თუ უცხოელი უხდის თანხას ქვეყანას (კრედიტი).

ცხრილი 1.1

| | კრედიტი | დებიტი | ბალანსი |
|---|-----------------|--------------|--------------|
| | მილიარდი დოლარი | | |
| 1. საქონელი | | | |
| ა. ექსპორტი | 164.3 | | |
| ბ. იმპორტი | | 129.6 | |
| 2. მომსახურეობა | | | |
| ა. ექსპორტი | 21.1 | | |
| ბ. იმპორტი | | 19.3 | |
| ც. სავაჭრო ბალანსი | 185.4 | 148.9 | +36.5 |
| 3. საინვესტიციო შემოსავლები და გასაღები | | | |
| ა. შემოსავალი | 14.6 | | |
| ბ. გასაღები | | 21.4 | |
| 4. მთავრობა | | | |
| ა. ექსპორტი | 13.5 | | |
| ბ. იმპორტი | | 2.6 | |

| | | | |
|---|--------------|--------------|-------|
| ც. დახმარება (ჯამში) | | 0.7 | |
| 5. მიმდინარე ანგარიშების ბალანსი | 213.5 | 173.6 | |
| +39.9 | | | |
| 6. კაპიტალური ანგარიში | | | |
| ა. ექსპორტი | | 58.4 | |
| (გრძელი და მოკლე ვადიანი) | | | |
| ბ. იმპორტი | 31.7 | | |
| (გრძელი და მოკლე ვადიანი) | | | |
| ც. კაპიტალური ანგარიშის ბალანსი | | | -26.7 |
| 7. ოფიციალური რეზერვები | | 7.0 | -7.0 |
| 8. სტატისტიკური უზუსტობა | | 6.2 | -6.2 |

ცხრილი 1.2

| | წელი | 1 | 2 | 3 | 4 |
|--------------------------------|------|-------|-------|-------|--------------------|
| საქონელი/მომსახურეობა | | | | | |
| ექსპორტი | | 102.2 | 156.7 | 185.4 | 191.4 |
| იმპორტი | | 119.9 | 140.1 | 148.9 | 227.5 |
| ინვესტიციები | | | | | |
| შემოსავალი | | 3.2 | 3.7 | 14.6 | 20.2 |
| გასავალი | | 8.4 | 11.9 | 21.4 | 23.1 |
| მთავრობა | | 1.5 | 11.8 | 10.2 | 8.1 |
| მიმდინარე ანგარიშების ბალანსი | | -21.4 | 20.2 | 39.9 | -30.9 |
| კაპიტალური ანგარიში | | | | | |
| ექსპორტი | | 12.2 | 32.6 | 58.4 | 27.7 |
| იმპორტი | | 26.8 | 29.1 | 31.7 | 50.3 |
| კაპიტალური ანგარიშების ბალანსი | | 14.6 | -3.5 | -26.7 | 22.6 |
| სარეზერვო ანგარიში | | 3.2 | -11.0 | -7.0 | 4.1 |
| სტატისტიკური უზუსტობა | | 3.6 | -5.7 | -6.2 | 4.2 ¹³⁸ |

დავაკვირდეთ ცხრილს 1.2, რომელშიც გამოგონილი ქვეყნის გადასახადთა ბალანსია მოცემული 4 წლის განმავლობაში. როგორც ჩანს, ეს ქვეყანა განიცდის ექსპორტის ზრდას, მაგრამ ამავე დროს იმპორტი უფრო სწრაფად იზრდება. ეს სხვადასხვა სიხშირის ზრდის ტემპები იწვევს მიმდინარე ანგარიშის ცვალებადობას დეფიციტიდან სიჭარბემდე და შემდეგ ისევ დეფიციტამდე. ჩვენ ამას ვხედავთ მიმდინარე ანგარიშების ბალანსში

21.4 მილიარდიან დეფიციტიდან ორწლიან შემოსავალზე გადასვლით და შემდეგ ისევ 30.9 მილიარდი დოლარის დეფიციტის არსებობით.

კაპიტალური ანგარიში თითქოს სარკისებურად აირეკლავს ამ გარემოებას, ანუ, გვაქვს თანხების ჯამური შემოსვლა პირველ წელს და შემდეგი ორი წლის მანძილზე ჯამური გასვლა და შემდეგ ისევ ვუბრუნდებით შემოსვლას. ანუ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანამ შეძლო უფრო მეტი ინვესტიციები გაეტანა საზღვარგარეთ და სამაგიეროდ ნახა სარგებელი შემოსავლის სახით შემდგომი ორი წლის მანძილზე. მაგრამ, ხელმეორე დეფიციტი საგრძნობლად ამცირებს ამ ინვესტიციას და სამაგიეროდ იზიდავს უცხოურ

¹³⁸ ცხრილი ადაპტირებულია ტომას ლარსონის და დევიდ სკიდმორის წიგნიდან “საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა”

ინვესტიციას. ეს პროცესი ჩანს კაპიტალის ექსპორტის მკვეთრი დაცემით და კაპიტალის იმპორტის მკვეთრი ზრდით მეოთხე წელიწადში. ეს მაგალითი გვაჩვენებს, რომ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა დააბანდოს ინვესტიცია საზღვარგარეთ და მიიღოს სარგებელი ორი შემდგომი წლის განმავლობაში. მაგრამ, მეოთხე წელს დეფიციტის გაჩენა ინვესტიციების შემცირებას და ამის საპირისპიროდ მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს. ეს პროცესი ჩანს იმ ფაქტით, რომ კაპიტალის ექსპორტი მკვეთრად ეცემა მეოთხე წელიწადში და კაპიტალის იმპორტი იზრდება.

ეს შეიძლება დადებით ფაქტად გვეჩვენოს, რადგან სხვა ქვეყნებს აქვთ სურვილი დააბანდონ ინვესტიცია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სიტუაციას შეიძლება ექნეს პოტენციურად სავალალო შედეგები მომავალში. კაპიტალის იმპორტის ზრდა ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას მოუწევს შემოსავლის გადახდა უცხოელი ინვესტორებისათვის მომავალში, მაშინ როდესაც შემოსავალი საზღვარგარეთიდან დაეცემა, რადგან ამ დროისათვის ამ ქვეყნის კაპიტალის ინვესტიციები საზღვარგარეთ შემცირდა. თუ სავაჭრო დეფიციტის და კაპიტალის იმპორტის ზრდის კომბინაცია დიდხანს გაგრძელდება, ამან შეიძლება ქვეყანა მძიმე არჩევანის წინაშე დააყენოს. ერთ-ერთი გამოსავალი, შეიძლება იყოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემობრუნება იმპორტის შემცირების ხარჯზე, რომ შესაძლებელი იყოს კაპიტალის იმპორტის შემოსავლის გადახდა უცხოელებისათვის. ამის ალტერნატივა არის ის, რომ ხანგრძლივი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აიძულებს ქვეყანას აიღოს უფრო მეტი საგარეო ვალი იმასათვის, რომ გადაიხადოს სარგებელი ადრინდელ ინვესტიციებზე.

მაგრამ შესაძლებლობა, რომ საგარეო ვალი გამოიყენო დეფიციტის დასაფარავად დამოკიდებულია უცხოელების სურვილზე უნდათ თუ არა ინვესტირება. ისინი არ არიან ვალდებული ასე მოიქცნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სპეციფიურობა, რომ ყველა უნდა გასწორდეს (ყველამ თავისი მიიღოს) ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გასასწორებლად. შესწორებებს შეიძლება ჰქონდეთ საბაზრო ოპერაციების, ან პოლიტიკური ქმედებების სახე.

მსგავსი მაჩვენებელი არის ერის როლი საერთაშორისო არენაზე, ანუ დებიტორია იგი თუ კრედიტორი. ჩვენს შემთხვევაში, მეოთხე წლის მონაცემების მიხედვით ქვეყანა არის დებიტორი იმ გაგებით, რომ უცხოელები ფლობენ ამ ქვეყნის უფრო მეტ სიმდიდრეს ვიდრე ამ ქვეყნის მოქალაქეები უცხოურს. ეს არის შედეგი იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე დეფიციტი მიმდინარე ანგარიშში ფინანსდებოდა უცხოური ინვესტიციებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დებიტორ ქვეყანას უწევს ინტერესების და დივიდენდების სახით უფრო მეტი თანხის გადახდა ვიდრე ის ღებულობს (მაგ. მე-4 წელიწადში შემოსავალი არის 20. 2 მილიარდი და გასავალი 23. 1 მილიარდი) რაც არის კიდევ ერთი უარყოფითი პუნქტი ბალანსში). ეს სიტუაცია გაგრძელდება სანამ მიმდინარე ბალანსი არ გადავა პლუსებში რამოდენიმე წლის განმავლობაში. ეს რომ პირიქით ყოფილიყო, ანუ ქვეყანას ჰქონოდა უფრო მეტი ქონება საზღვარგარეთ, ვიდრე უცხოელები ფლობენ სიმდიდრეს ამ ქვეყანაში, მაშინ ქვეყანა იქნებოდა კრედიტორი ქვეყანა და მაშინ იგი მიიღებდა ჯამურ შემოსავალს უცხოეთიდან, ანუ დადებითი პუნქტი გადასახადების ბალანსში.

თუ დაუფკვირდებით, გადასახადების ბალანსი ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, თუ რას გვიმხელს ის დისბალანსების შესახებ, განსაკუთრებით განმეორებად დისბალანსებზე მიმდინარე ანგარიშების ბალანსში. მაგრამ საკითხავი ის არის, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს დეფიციტი ან ფროფიციტი ქვეყნის კეთილდღეობაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე? რა საშუალებებს ფლობს სახელმწიფო, რომ გამოასწოროს ეს პრობლემები? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა განვიხილოთ ურთიერთობები მსოფლიო და საშინაო ეკონომიკებს შორის, რაც მოითხოვს მაკროეკონომიკის ელემენტარული მცნებების განხილვას, როგორცაა სესხის განაკვეთი, ფულის მინოდება, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა.

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკა ეხება მთავრობის პოლიტიკას დანახარჯების, გადასახადების და სესხების შესახებ. მონეტარული პოლიტიკა ეხება ცენტრალური ბანკის პოლიტიკას დაარეგულიროს ფულის მიწოდება და სესხის განაკვეთი. ამ ორი პოლიტიკიდან მონეტარული პოლიტიკა როგორც წესი უფრო ინსტიტუციონალიზებული და ეფექტურია. ფისკალური პოლიტიკა კი უფრო პოლიტიზირებულია. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის გამოყენება მაკროეკონომიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ცოტა უფრო ნაკლებ ეფექტურია.

მაგალითად, ამერიკის ცენტრალური ბანკი შეიქმნა 1913 წელს. კონსერვატორმა ჯგუფებმა ფედერალური რეზერვიც კი შექმნეს. აშშ-მდე ბევრ წამყვან ქვეყანას უკვე ჰქონდა ცენტრალური ბანკები. მაგ: დიდ ბრიტანეთს 1840-იან წლებში, გერმანიას 1870-იან წლებში და იაპონიას 1880-იან წლებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განამსხვავებელი ნიშანი ცენტრალური ბანკებისა ისაა, თუ რამდენად დამოუკიდებელი არიან ისინი პოლიტიკური დიქტატისაგან. ამ გაგებით, გერმანიის ცენტრალური ბანკი, ბუნდესბანკი, ყველაზე დამოუკიდებელია. შემდეგ მოდის ინგლისის ბანკი და საფრანგეთის ბანკი. ფედერალური რეზერვი ამ ორი უკიდურესობის შუაში ექცევა. ანუ მას აქვს დამოუკიდებლად მოქცევის საშუალება, მაგრამ ამავდროულად ხშირად პასუხობს პოლიტიკურ ზეწოლას და ზრდის ფულის მიწოდებას, ან ამცირებს განაკვეთის პროცენტს.

მონეტარული პოლიტიკა

მაგალითისთვის, განვიხილოთ თუ როგორ ახორციელებს მონეტარულ პოლიტიკას ფედი. მას აქვს ორი ინსტრუმენტი, რომლითაც ეკონომიკაზე ახდენს ზეგავლენას: ღია საბაზრო ოპერაციები (open market operations) და პროცენტი (discount rate). ორივე ინსტრუმენტის მიზანია გავლენა მოახდინოს კრედიტის ხელმისაწვდომობაზე ანუ ბანკების სურვილი გასცენ სესხი და ინდივიდების და კორპორაციების სურვილი აიღონ სესხი.

როგორც ცნობილია, ფულის ბრუნვის დიდი ნაწილი არის უხილავი ფული, ანუ ჩეკები და გადარიცხვები და არა ნაღდი ფული. ამერიკაში უფრო მეტად გამოიყენება საბანკო ტრანსფერები ანგარიშსწორებისას. უფრო მეტიც, ფულის ნაკადის მოცულობა უფრო მეტად დამოკიდებულია ბანკების მიერ კრედიტის გამოყოფაზე ვიდრე სახელმწიფოს მიერ ფულის დაბეჭდვაზე. ფედი ახდენს ფულის მიწოდების მენეჯმენტს სწორედ ამ პროცესებზე ზეგავლენით. როდესაც ბანკი გამოუყოფს სესხს თავის კლიენტებს ეს ზრდის ეკონომიურ აქტივობას. საქონლის და სერვისების წარმოების ზრდა გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იწვევს დასაქმების ზრდას. ეს დამატებითი მუშახელი კი თავის შემოსავალს ხარჯავს, ან სულაც თავად იღებს სესხს შენაძენის გასაკეთებლად. ეს პროცესი შებრუნებადია: როდესაც ბანკები ამცირებენ სესხის გაცემას, საქონლის და მომსახურეობის შექმნა მცირდება, უმუშევრობა კი იზრდება, რასაც მოსდევს დანახარჯების შემცირება, შესაბამისად ეკონომიკური აქტივობის დაცემა.

ამ ყოველივეზე ზემოქმედებს და არეგულირებს ფედერალური რეზერვი. ფედი განსაზღვრავს იმ ქონების პროპორციებს, რომელიც უნდა იმყოფებოდეს რეზერვში. მას აქვს ინსპექციის უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე და ასევე შეუძლია დააძალოს ცვლილებები სესხის გაცემის პოლიტიკაში. ყველაზე გავრცელებული ტექნიკა ფულის მიწოდების სამართავად არის **ღია საბაზრო ოპერაციები**. ფედი ან ზრდის ფულის

მიწოდებას, ან გამოწვას ფულს საბანკო სისტემიდან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის გზით. როდესაც რამდენიმე მილიარდი დოლარის ფასიანი ქაღალდები იყიდება, მაშინ ამ ქაღალდების გამყიდველი ინსტიტუტები (როგორც წესი ბანკები და სადაზღვევო კომპანიები), იღებენ დიდი რაოდენობით ფულს ჩეკის სახით ფედისგან, რაც ზრდის ფულის მიწოდებას. საბანკო სისტემაში ფულის ჩადებით და შესაბამისად ბანკების სესხის გაცემის უნარიანობის ამალღებით ფედი აწარმოებს გაფართოებაზე ორიენტირებულ მონეტარულ/ფინანსურ პოლიტიკას (expansionary monetary policy). ამის საპირისპირო არის ხელმომჭირნეობაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა (tight monetary policy), რომლის დროსაც ფედი ყიდის ფასიან ქაღალდებს და მიღებული ფულის შედეგად ეფექტურად გამოსწავს ფულს საბანკო სისტემიდან.

საწყისი პროცენტი/დისკონტი (discount rate) არის ასევე ძლიერი ინსტრუმენტი ფულის მიწოდების სამართავად. ეს არის ის პროცენტი, რომელსაც ფედი უწესებს წევრ ბანკებს, როდესაც ისინი ფულს სესხულობენ ფედისგან. საწყისი პროცენტი ასევე არის ერთგვარი პროცენტი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს დანარჩენი პროცენტების ოდენობაზე და მისი ცვალებადობა იწვევს ცვლილებებს სხვა პროცენტებშიც. შესაბამისად, კიდევ ერთხელ, მიზანი არის ფულის მიწოდების გაფართოება და შემცირება. საწყისი პროცენტის გაზრდა აძვირებს ფულის ღირებულებას, სესხის აღების სურვილს ამცირებს და შესაბამისად უნდა შეანელოს ეკონომიკური ექსპანსიაც. მისი შემცირება აქეზებს სესხის აღებას და შესაბამისად ეკონომიკური აქტივობაც უნდა გაიზარდოს.

ფედის როლი აშშ-ში არის შეუნარჩუნოს სტაბილურობა ფინანსურ ბაზარს კრიზისების დროს და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და ამავე დროს აკონტროლოს ინფლაცია, ანუ ეკონომიკური ზრდა დაბალი ინფლაციის თანხლებით. მეოცე საუკუნის დასაწყისში ფინანსური პანიკა ძალიან გაიზარდა და ამიტომაც შეიქმნა ფედი. პანიკა არის პერიოდი, როდესაც შეშინებული ინვესტორები ცდილობენ სასწრაფოდ გაყიდონ თავიანთი ფასიანი ქაღალდები, რათა თავიანთი ფული უკან დაიბრუნონ.

ფედი ასევე არის ფულის საბოლოო გამსესხებელი რათა უზრუნველყოს ლიკვიდურობა (საჭირო ოდენობის ფული, რათა განხორციელდეს ყველა ტრანსაქცია, რომლის განხორციელებაც ხალხს სურს) როდესაც დანარჩენი გამსესხებელი ინსტიტუტები არიან პანიკით პარალიზებული. ფედის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი არის ინფლაციის კონტროლი ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერასთან ერთად. ინფლაცია განსაკუთრებით საშიშია იმათთვის ვინ გასცემს ფულს, ან იმათთვის ვისი შემოსავალიც განისაზღვრება მუდმივი შემოსავლის სახით (fixed income). ეს შემდეგანაირად აიხსნება: მუდმივი შემოსავლის ღირებულება მცირდება ინფლაციის გამო, რადგან მზარდი ფასების პირობებში მომავალი შემოსავალი, რომლის ოდენობა წარსულში დაიგეგმა, გამოირჩევა დაბალი მსყიდველობითი უნარიანობით. როდესაც ფედი ცდილობს გააკონტროლოს ინფლაცია იგი იცავს გამსესხებლების და სხვათა ინტერესებს, რომლებიც ზარალდებიან გაზრდილი ფასების შედეგად.

თუ მონაცემები აჩვენებს, რომ ეკონომიკა ფართოვდება ძალიან სწრაფად და საინფლაციო წნევა იზრდება, ფედი აუცილებლად მოქმედებას იწყებს. ჩუმი და მოკლევადიანი ქმედება ინფლაციის შესაჩერებლად იქნება ოპერაციები ღია ბაზარზე რაც შეამცირებს ფულის მიწოდებას და ასწავს განაკვეთს. უფრო საჯარო მოქმედება იქნება უკვე საწყისი პროცენტის გაზრდა. სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე ამ პოლიტიკის კომბინაციები შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. 70-იანი და 80-იანი წლების განმავლობაში, როდესაც ინფლაციური წნევა მაღალი იყო ფედი ახორციელებდა “მკაცრ მონეტარულ” პოლიტიკას და საპროცენტო განაკვეთიც უპრეცედენტოდ გაზარდა. 1994 წელს, როდესაც ინფლაციური წნევა იყო მოსალოდნელი, ფედმა წინასწარ გაზარდა საპროცენტო განაკვეთი და შეანელა ამერიკის ეკონომიკა.

ფისკალური პოლიტიკა

ეკონომიკის მენეჯმენტის მეორე უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ფისკალური პოლიტიკა – გადასახადების და დანახარჯების წარმოება მთავრობის მიერ ეკონომიკაზე ზემოქმედების მიზნით. ფისკალური პოლიტიკის ფუნდამენტურ მოსაზრებებს მივყავართ გავლენიან ბრიტანელ ეკონომისტამდე, ჯონ მეინარდ კეინსამდე, რომელიც ამბობდა, რომ არ არის აუცილებელი ფისკალური პოლიტიკა ემსახურებოდეს დაკანონებულ და დაბალანსებულ ბიუჯეტს, არამედ შეიძლება იგი გამოყენებულ იქნას ეკონომიკური ციკლების სამართავად და პროცესის გასაადვილებლად.

1960 წლამდე მიღებული იყო ე.წ. დეფიციტური გადახარჯვები, ანუ მთავრობა ხარჯავდა უფრო მეტს, ვიდრე მას შემოსავალი ჰქონდა გადასახადების სახით. ამის პრინციპი იყო ის, რომ მთავრობა ფულს დებდა ისევე ეკონომიკაში და ამით აჩქარებდა ეკონომიკური აქტივობის ტემპებს. 1964 წელს მიღებულ იქნა კენედი-ჯონსონის გადასახადების შემცირების აქტი და ამით ეს პრინციპი შეიცვალა. იმის მაგივრად, რომ დაყრდნობოდნენ გაზრდილ სამთავრობო დანახარჯებს, ეკონომისტებმა მხარი დაუჭირეს გადასახადების შემცირებას და დანახარჯების იგივე დონეზე დატოვებას, რათა წარმოქმნილიყო მასტიმულირებელი დეფიციტი. ანუ, იდეა ის არის, რომ ის პიროვნებები, რომლებსაც გადასახადების შემცირების შედეგად გაუჩნდათ ზედმეტი შემოსავალი ამ ფულს ისევე ეკონომიკაში დააბანდებენ და იგივე რეზულტატი იქნებოდა მიღწეული.

ფისკალურ პოლიტიკას ახასიათებს სისტუტე, რადგან იგი არის სხვადასხვა ჯგუფების და თავად პოლიტიკოსების უზურპაციის საგანი. მაგალითად, 1966 წელს პრეზიდენტმა ჯონსონმა გადაწყვიტა არ გაეზარდა გადასახადები ვიეტნამის ომში განეული ხარჯების ასანაზღაურებლად, რადგან ეს კიდევ უფრო შეასუსტებდა მისდამი სახალხო მხარდაჭერას. ასეთი ქმედებები შეიძლება რაციონალური იყოს მოკლე ვადაში, მაგრამ ჰქონდეს სავალალო შედეგები გრძელვადიან პერიოდში. ხშირად გადასახადების შემცირებას მივყავართ ეკონომიკის ზედმეტად სტიმულაციისაკენ, რასაც შედეგად ინფლაცია მოსდევს. სწორედ ეს მოჰყვა ჯონსონის გადაწყვეტილებას.

სავალუტო კურსი და სავაჭრო დეფიციტები

დარჩენილი კონცეფციების ნაკრები, რომელიც მნიშვნელოვანია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის გასაგებად ეხება ურთიერთობებს სავალუტო კურსსა და საერთაშორისო ვაჭრობას შორის. იმისათვის, რომ ვაჭრობა შედგეს, ფულმა პატრონი უნდა გამოიცვალოს. საერთაშორისო ვაჭრობაში ერთი ქვეყნის ვალუტა უნდა გაიცვალოს მეორეზე. შესაბამისად, სავალუტო კურსს აქვს დიდი ზეგავლენა ვაჭრობის პირობებზე.

სავალუტო კურსი მარტივად რომ ვთქვათ აღნიშნავს, თუ რამდენად შეიძლება გავცვალოთ ერთი ვალუტა მეორეზე. სავალუტო კურსი განისაზღვრება ამათუ იმ ვალუტაზე მოთხოვნის დონით და ამ ვალუტის მიწოდების დონით. სავალუტო კურსს აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა მთავრობებისათვის. ისინი გამოიყენებენ რამოდენიმე საშუალებას რათა ზეგავლენა იქონიონ ვალუტის კურსზე. ერთ-ერთი არის **მუდმივი/მყარი სავალუტო კურსის (fixed exchange rate)** დანესება. ტიპურად, ასეთი კურსის შენარჩუნებას ჭირდება მთავრობის მნიშვნელოვანი ჩარევა ვალუტის ბაზარზე, რათა ეს კურსი შენარჩუნებული იქნას. მუდმივი გაცვილითი კურსის პოლიტიკა ტარდებოდა მსოფლიოს უმეტეს ნაწილში 1958 წლიდან 1973 წლამდე და პირველ მსოფლიო ომამდეც ორმოცი წლის განმავლობაში. ამის საპირისპირო არის **მოტივტივე გაცვილითი კურსი (floating exchange rate)**, რომლის მიხედვითაც ვალუტის ფასი განისაზღვრება ბაზრის მიერ მთავრობის ჩაურევლად. დღევანდელი მდგომარეობა ძალიან რთულია. 50-მდე ქვეყნას

აქვს ასე თუ ისე მოტივტივე გაცვილითი კურსის პოლიტიკა ანუ, მთავრობები დროდადრო ერევიან ბაზრის საქმიანობაში, რომ ზემოქმედება მოახდინონ გარკვეულ პროცესებზე. 20-მდე ქვეყანას აქვს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ გაცვლით კურსს ქვეყნების ჯგუფებთან მიმართებაში. ქვეყნების უმრავლესობას კი (სუსტი და პატარა სახელმწიფოები) მიმაგრებული აქვთ თავიანთი ვალუტის ღირებულება სხვა უფრო ძლიერ ვალუტასთან. ამასთან, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ მყარი (სტაბილური და უსაფრთხო, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ტრანსაქციების დროს) და სუსტი (გამოიყენება მხოლოდ ქვეყნის შიგნით) ვალუტის ტიპები.

ჯერჯერობით არ არსებობს ვალუტა, რომელიც მხოლოდ ბაზრის მიერ არის რეგულირებადი. ცენტრალური ბანკები ხშირად ერთვებიან სავალუტო ბაზრის ოპერაციებში რათა გავლენა მოახდინონ მათი ვალუტის მოთხოვნა მიწოდებაზე. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ეროვნული ფულის ფასეულობა პირდაპირ კავშირშია ამ ქვეყნის საქონლის ღირებულებასთან საერთაშორისო ბაზარზე და საერთაშორისო საქონლის ღირებულებაზე შიდა ბაზარზე. საკუთარი ეროვნული ვალუტის ღირებულების შეცვლით მთავრობებს, როგორც წესი, სურთ შეცვალონ ფასები იმპორტზე და ექსპორტზე და შედეგად ზეგავლენა მოახდინონ საბოლოო სავაჭრო ბალანსზე.

როგორ ახდენს სავალუტო კურსი ზეგავლენას ვაჭრობაზე

როგორც მოგეხსენებათ, როდესაც ხალხი აწარმოებს საერთაშორისო ვაჭრობას მათ უნდა შეაფასონ თავიანთი საქონელი იმ ბაზრის ვალუტით, რომელზეც საქონელი იყიდება, მაგრამ საბოლოოდ მათ სჭირდებათ საკუთარი ქვეყნის ვალუტა. ეს იმას ნიშნავს, რომ გაყიდვიდან მიღებული ფული უნდა გადაიცვალოს ეროვნულ ვალუტაზე. ამგვარად, სავალუტო კურსი ახდენს პირდაპირ ზეგავლენას ფასებზე.

განივიხილოთ ეს მაგალითის მიხედვით. წარმოვიდგინოთ, რომ ამერიკელი ექსპორტიორი ყიდის კომპიუტერის დისკ დრაივერებს დიდ ბრიტანეთში. ამ პერიოდში სავალუტო კურსი ამ ორ ვალუტას შორის არის 1 ფუნტ სტერლინგი 2 აშშ დოლართან. ეს დისკ დრაივები აშშ-ში იყიდება 500 დოლარად. ექსპორტიორი მზად არის ტრანსპორტაციის ხარჯები თავად გაიღოს რათა დაიმკვიდროს თავი ინგლისის ბაზარზე. შესაბამისად ის თავის პროდუქტს აფასებს 250 ფუნტ სტერლინგად და მიიღებს 500 ამერიკულ დოლარს. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ სტერლიგის კურსმა აინია და 1 ფუნტ სტერლინგი უდრის 3 ამერიკულ დოლარს. ამის შედეგად, ექსპორტიორს საშუალება აქვს გააიაფოს თავისი პროდუქტი (დაიმასხოვრეთ, რომ მას მხოლოდ 500 დოლარის მიღება აინტერესებს) და გახადოს 166.67 ფუნტ სტერლინგი, რომ მიიღოს 500 დოლარი (166.67 გამრავლებული 3-ზე). შესაბამისად, შესუსტებული დოლარის კურსი საშუალებას აძლევს (მაგრამ არ არის აუცილებელი) რომ ამერიკელმა ექსპორტიორებმა გააიაფონ ფასები საზღვარგარეთ. თუ არის საპირისპირო სიტუაცია, ანუ ძვირდება დოლარი და ეცემა ფუნტ სტერლინგის კურსი, მაგალითად 1 ფუნტ სტერლინგი უდრის 1 ამერიკულ დოლარს, მაშინ ექსპორტიორებს დიდი პრობლემა აქვთ. იმისთვის, რომ მათ მიიღონ საჭირო 500 დოლარი უნდა გაზარდონ პროდუქტის ფასი უცხო ბაზარზე 500 ფუნტ სტერლინგამდე რათა მათი ბიზნესი წამგებიანი არ გახდეს.

დოლარის კურსის დაგდების ხერხს ხშირად მიმართავს ამერიკის მთავრობა რათა აღმოფხვრას უზარმაზარი სავაჭრო დეფიცი. მაგრამ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ კურსის დაგდების ზეგავლენას სავაჭრო დეფიციტის ამოვსებაზე აქვს თავისი ლიმიტები. ისტორიულად ცნობილია, რომ დოლარის გაიაფებამ მხოლოდ ზღვრული ზეგავლენა იქონია აშშ-ს სავაჭრო დეფიციტზე. 1971 - 1980 წლებში მიუხედავად იმისა, რომ დოლარის კურსი დაეცა, ამერიკის სავაჭრო დეფიციტი გაუარესდა. 1985 წლის

შემდეგ დოლარი 50 % დაეცა, მაგრამ დეფიციტი მთელი ეს დრო იზრდებოდა 1987 წლამდე. ხოლო 1988-90-იან წლებში მონაცემები მხოლოდ 1984 წლის მონაცემების დონემდე გაუმჯობესდა. არსებობს ძალიან მარტივი მიზეზები იმისათვის, თუ რატომ ვერ ახდენს კურსის დაცემა სასურველ გავლენას დეფიციტზე, რადგან ხშირ შემთხვევაში მიუხედავად დოლარის კურსის დაცემისა იმპორტი მაინც იზრდებოდა. არსებობს ამის რამოდენიმე მიზეზი. პირველი ალბათ ის არის, რომ ამერიკელები უპირატესობას ანიჭებენ მთელ რიგ იმპორტულ საქონელს; მეორე, ბიზნესმენები ხშირად არ სწევენ ფასს თავიანთ პროდუქტიაზე, არამედ თავად *იზიარებენ* დოლარის დაცემის გამო მოყვნიებულ ზარალს. ასე იქცევია რადგან სურთ შეინარჩუნონ ბაზარი და ასევე აქვთ დოლარის მომავალში გაძლიერების იმედი ან შესაძლებელია ბიზნესმენებმა ეს ფული არ გადაცვალონ და დააბანდონ აშშ-ში. მართლაც, დღესდღეობით მულტიეროვნული კორპორაციების ზრდა, რომელთაც პერმანენტული საქმიანობის არეალი არის საზღვარგარეთ ამის საშუალებას იძლევა.

პოლიტიკური ეკონომიკის თეორიები

ჩვენი არსებობა ფუნდამენტალურად დამოკიდებულია პოლიტიკურ ეკონომიკაზე და არა ცალკეულად პოლიტიკაზე, ან ეკონომიკაზე. იმისთვის, რომ გადარჩნენ, ადამიანებს სჭირდებათ საკვები, ჩასაცემელი და ბევრი სხვა რამ, რასაც ადამიანების უმრავლესობა შეიძენს ფულის საშუალებით, რომელსაც გამოიმუშავენ. თანამედროვე ბაზარი კი პოლიტიკურ წესებს ეფუძნება. პოლიტიკური წესები და რეგულაციები განსაზღვრავენ იმ ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც ფუნქციონირებს ბაზარი. ამავდროულად, ეკონომიკური სიძლიერე პოლიტიკური ძალაუფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. როგორც რობერტ გილპინი ამბობს, ეკონომიკა არის სწრაფვა სიმდიდრისკენ ხოლო პოლიტიკა ძალაუფლებისკენ და ამ ორ ფენომენს შორის ურთიერთქმედება არის რთული და გამაოგნებელი. სწორედ ეს რთული ურთიერთქმედება პოლიტიკას და ეკონომიკას, სახელმწიფოებს და ბაზრებს შორის საერთაშორისო კონტექსტში არის საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლის საგანი.

ნიშანდობლია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური ეკონომიკა აღმოცენდა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში როგორც სფერო, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობის საფუძველი აქვს. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, რომ პოლიტიკური ეკონომიკა უფრო ფართო და ყოვლისმომცველი დისციპლინაა და ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობები უნდა იყოს მისი ქვესფერო. ხოლო სუზან სტრანჟი ფიქრობს, რომ ორივე, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო საკითხების შესწავლების (international studies) ქვე-სფეროებად. ეკონომისტები თვლიან, რომ ის მეთოდები, რომლებიც ეკონომიკაში გამოიყენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკაშიც და საერთაშორისო ურთიერთობებშიც, ხოლო პოლიტიკური მეცნიერები სასტიკად ეწინააღმდეგებიან პოლიტიკის შესწავლის სხვა რომელიმე თეორიის დონემდე დაყვანას და მას დამოუკიდებელ დისციპლინად აღიარებენ.

ორმოცდაათიან და სამოციან წლებში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა აბსოლუტურად იზოლირებული იყო. ხარისხობრივად არაერთგვაროვანი საკითხები ისწავლებოდა ასევე არაერთგვაროვანი მეთოდებით. მაგრამ 1970-ნი წლებიდან ასეთი მკვეთრი დაპირისპირების არსებობის მართებულობა ეჭვის ქვეშ დადგა. ამ ყოველივეს ჯექსონის და სორენსენის აზრით ხელს უწყობდა რამოდენიმე ფაქტორი. პირველი იყო ბრეტონ ვუდსის სისტემის კრიზისი, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჭარბი დოლარის მოზღვაავების შედეგად ხდება ამერიკის ოქროს რეზერვების გადინება

რაც სასწრაფოდ უნდა შეწყვეტილიყო. ეს გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა ნიქსონმა როცა მან ოქროს სტანდარდის არსებობა შეწყვიტა და იგი მცურავი სავალუტო კურსით ჩაანაცვლა. ანუ მოხდა ის, რომ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ შეცვალა ბაზრის და ეკონომიკის თამაშის წესები. ამავე პერიოდში იყო ვიეტნამის ომით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები და ასევე ნავთობის კრიზისით გამოწვეული შოკი. დასკვნა ამ სიტუაციებიდან კი ის იყო, რომ კრიზისების დროს პოლიტიკა და ეკონომიკა განუყოფელი არიან.

მეორე ფაქტორი, რამაც პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანს დაუკავშირა, ჯექსონის და სორენსენის აზრით, იყო დეკოლონიზაციის მეორე ტალღა, რომლის შედეგად წარმოიშვა ბევრი ეკონომიკურად ღარიბი და პოლიტიკურად სუსტი სახელმწიფო, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ არსებულ ეკონომიკურ სისტემაში სუბორდინირებული როლის ქონის გამო. ამას მოჰყვა მთელი რიგი მოთხოვნები და შემდეგ მცდელობები და პოლიტიკური შეთანხმებები თუ გადაწყვეტილებები რათა “მესამე სამყაროს” ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ამ ყოველივემ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თუ როგორ არის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებული ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკურ საქციელზე. მესამე ფაქტორი, რამაც პოლიტიკური ეკონომიკა წინ წამოსწია იყო ცივი ომის დასასრული. ანუ, ვინაიდან და რადგანაც ახლად გათავისუფლებულ სახელმწიფოებს სურდათ პოლიტიკური ინტეგრაცია (დასავლურ ორგანიზაციებში განევრიანება) და ასევე ეკონომიკური ინტეგრაცია (უფრო ინტენსიური ეკონომიკური კავშირები) პოლიტიკა და ეკონომიკა საერთაშორისო დონეზე კიდევ უფრო გადაიხლართა ერთმანეთში.

როგორც აქამდე განხილული ბევრი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, პოლიტიკური ეკონომიკის თეორიებიც იყოფიან კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად. კლასიკური თეორიებიდან განვიხილოთ მერკანტილიზმი, ეკონომიკური ლიბერალიზმი, მარქსიზმი და შესაბამისად ნეო-მარქსიზმი. ხოლო უფრო თანამედროვე თეორიებიდან განვიხილოთ ჰეგემონური სტაბილურობის თეორია, დამოკიდებულების თეორია და ეკონომიკური გლობალიზაცია.

მერკანტილიზმი. მერკანტილიზმი იყო პოლიტიკური ელიტების შეხედულება, რომლებიც თვლიდნენ, რომ ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს უპირველეს მიზანს, რაც არის ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლობა. სხვა სიტყვებით, ეკონომიკა, მერკანტილისტების აზრით არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, პოლიტიკური ძლიერების საფუძველი. მერკანტილისტების ხედვით საერთაშორისო ეკონომიკა არის კონფლიქტის არენა კონკურენტულ ეროვნულ იტენერესებს შორის. რობერტ გილპინის აზრით ქვეყნებს შორის ეკონომიკურ კონკურენციას შეიძლება ჰქონდეს ორგვარი ფორმა. პირველი შეიძლება იყოს თავდაცვითი, ანუ კეთილი მერკანტილიზმი: სახელმწიფოები იღწვიან თავიანთი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად მაგრამ არ არის აუცილებელი რომ ამ ღონისძიებებს განსაკუთრებულად ნეგატიური გავლენა ჰქონდეთ სხვა სახელმწიფოებზე. მეორე ფორმა კი უფრო აგრესიულია და ბოროტი მერკანტილიზმის სახელით არის ცნობილი. ამ შემთხვევაში სახელმწიფოები ცდილობენ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის უზურპაციას ექსპანსიური ქმედებების საშუალებით.

მერკანტილიზმი განიხილავს ეკონომიკას როგორც პოლიტიკაზე, კერძოდ კი მთავრობაზე დაქვემდებარებულ ინსტრუმენტს. ეკონომიკური საქმიანობა განიხილება სახელმწიფოს ძლიერების გაზრდის კონტექსტში. შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც არის ეროვნული ინტერესების გამტარებელი და მასზე პასუხისმგებელი, წარმართავს კერძო ეკონომიკურ ინტერესებს ამ მიზნების მისაღწევად. მერკანტილისტების თვალსაზრისით, როდესაც ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, უსაფრთხოების ინტერესებს აქვთ უპირატესობა.

ეკონომიკური ლიბერალიზმი. ეკონომიკური ლიბერალიზმი იყო კრიტიკა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის სანინაალმდეგოდ. ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები უარყოფენ თეორიებს, რომლებიც ეკონომიკას პოლიტიკას უქვემდებარებენ. ამ თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ადამ სმიტს სწამდა, რომ ბაზრები ფართოვდებიან სპონტანურად ადამიანური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მთავრობები არ ჩაერევიან ამ ეკონომიკურ პროცესში. სმიტის მიხედვით ეკონომიკური ბაზარი არის პროგრესის, თანამშრომლობის და კეთილდღეობის ძირითადი წყარო. ამის საპირისპიროდ, მათ სწამთ, რომ პოლიტიკური ჩარევა და სახელმწიფოებრივი რეგულაციები არის არაეკონომიკური, რეტროგრადული და შეიძლება კონფლიქტამდეც მიგვიყვანოს.

გილპინი ეკონომიკურ ლიბერალიზმს უწოდებს იმ პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან ეკონომიკური ზრდის და ინდივიდუალური კეთილდღეობის ორგანიზაციას და მენეჯმენტს. ეს მიმდინარეობა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ თუ მივუშვებთ, საბაზრო ეკონომიკა თავისივე წესების მიხედვით, სპონტანურად განვითარდება. მერკანტილისტებისგან განსხვავებით, ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევრები ცენტრალურ აქტორებად აღიარებენ ინდივიდებს, რომლებიც არიან მომხმარებლები, ან მიმწოდებლები. შესაბამისად, ეკონომიკური გაცვლები ბაზრის გამოყენებით არის დადებით ჯამოვანი, ნულოვან ჯამოვანის საპირისპიროდ, რომლის შედეგად ყველა იგებს უფრო მეტს ვიდრე გასცემს, მზარდი ეფექტურობის წყალობით.

მიუხედავად ზემოთმოყვანილი არგუმენტებისა, ეკონომიკური ლიბერალიზმის შიგნით არსებობს დებატები იმის შესახებ, თუ რა ხარისხის ჩარევა არის დასაშვები მთავრობის მხრიდან. ადრეული ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევრები როგორც ვიცით 'laissez-faire' პოლიტიკას ემხრობოდნენ. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა ეკონომიკური საქმიანობების სრულ სითავისუფლეს ყველანაირი პოლიტიკური შეზღუდვების და რეგულაციებისგან. თუმცა, იგი ასევე ითვალისწინებდა მთავრობების მიერ მინიმალური პირობების შექმნას, თუნდაც იურიდიული ჩარჩოების ჩამოყალიბებას, რომელშიც ბაზარმა უნდა იფუნქციონიროს.

ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევრები ასევე თავიდანვე აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ ბაზარი ყოველთვის ვერ იმოქმედებს ეფექტურად და ყველასთვის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევებს ბაზრის ჩავარდნა ეწოდება და ამის თავიდან ასაცილებლად პოლიტიკური რეგულაციები, ან შეზღუდვებია საჭირო. ჯონ სტუარტ მილი თავისი მრწამსით ასევე ლეიზეზ ფეარის მიმდევარი იყო, მაგრამ ამავდროულად აკრიტიკებდა მზარდ ქონებრივ უთანასწორობას და მოუწოდებდა სახელმწიფოს მიერ შეზღუდული როლის თამაშს ცალკეულ სფეროებში სიტუაციის გამოსწორებლად, მაგალითად განათლებასა და სიღარიბის დაძლევის სფეროში. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტი, ჯონ მენარდ კეინსი განავრცობს მილის მოსაზრებას და ემხრობა ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოს მიერ "ჭკვიანურად" მართვას. კეინსის იდეებმა დასაბამი დაუდო რეფორმირებულ ლიბერალურ თეორიას, რომელიც ძველებურად საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება, მაგრამ ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ჩარევის და ეკონომიკისთვის მიმართულების მიცემის გზებს.

მარქსიზმი. ეს თეორია ეფუძნება მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის და ეკონომისტის კარლ მარქსის მოსაზრებებს. მარქსიზმი ფუნდამენტურ წინააღმდეგობაშია ეკონომიკურ ლიბერალიზმთან რადგან ის ეკონომიკას განიხილავს არა როგორც დადებით ჯამოვან თამაშს არამერ როგორც ადამიანების ექპლუატაციის და კლასობრივი უპირატესობის ასპარეზს. მარქსისტები უფრო მერკანტილისტების შეხედულებას ემხრობიან, მაგრამ სახელმწიფოების მაგივრად ურთიერთობებს განაოგადებენ კლასებს შორის. მერკანტილისტებისგან განსხვავებით ეკონომიკას პირველ ადგილზე აყენებენ და პოლიტიკას მეორეზე. კაპიტალისტური ეკონომიკა

განიხილება კლასობრივ ჭრილში. შესაბამისად, კაპიტალიზმი ეყრდნობა ორ კლასს: ბურჟუაზია, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს და პროლეტარიატს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ სამუშაო ძალა, რომელსაც ბურჟუაზია მისგან ყიდულობს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა ექსპლუატაციას დაყრდნობილი, მარქსი მას მაინც პროგრესულ მოვლენად განიხილავდა, რადგან განვითარების საბოლოო ეტაპს ხედავდა სოციალისტურ რევოლუციაში, რომლის შედეგადაც წარმოების საშუალებებზე დამყარდებოდა სოციალური/კოლექტიური კონტროლი. მარქსიზმის იდეოლოგია მატერიალისტურია, რადგან ის ეკონომიკურ საქმიანობას მიიჩნევს ყველა დანარჩენი ადამიანური საქმიანობის, პოლიტიკის ჩათვლით, საფუძვლად.

შესაბამისად, ის ბურჟუაზიური კლასი, რომელიც ფლობს ეკონომიკურ სადავეებს ასევე დომინირებს პოლიტიკას რადგან ეკონომიკა არის პოლიტიკის საფუძველი. აქედან გამომდინარეობს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკის ჩარჩოებიც: სახელმწიფოები არიან ავტონომიურები. ისინი ახორციელებენ მმართველი კლასის, ანუ ბურჟუაზიის ინტერესებს. შესაბამისად, კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის, მარქსიზმის თვალსაზრისით არის იგივე კონფლიქტები სხვადასხვა სახელმწიფოების მმართველ კლასებს შორის. მეორე მოსაზრება კი ის არის, რომ როგორც ეკონომიკური სისტემა, კაპიტალიზმი არის ექსპანსიონისტური, რაც გამოიხატება გასაღების ბაზრების და მოგების გაუთავებელ ძიებაში. ისტორიულად ამ ექსპანსიას ქონდა იმპერიალიზმის ხოლო შემდეგ კოლონიალიზმის ფორმა. მარქსიზმის მიხედვით კაპიტალისტური ექსპანსია დეკოლონიზაციის შემდეგად გრძელდება, ამჟამად უკვე ეკონომიკური გლობალიზაციის საშუალებით, რომელიც იმართება გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ.

ჰეგემონური სტაბილურობის თეორია. თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის თანამედროვე თეორიებიდან ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია ჰეგემონური სტაბილურობის თეორია, რომელიც მერკანტილიზმისგან იღებს რაღაც ელემენტებს მაგრამ ასევე ლიბერალიზმისგანაც არ არის შორს. ამ თეორიის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჰეგემონის, ანუ დომინანტური ეკონომიკური და სამხედრო ძალის არსებობა არის საჭირო ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის შესაქმნელად, რადგან ასეთი ძალის არსებობის გარეშე ლიბერალური წესები ვერ დაკანონდება მსოფლიოში. სხვანაირად რომ ითქვას, ჰეგემონი არის ძალა, რომელსაც აქვს უნარი და სურვილი რომ დაამყაროს და შეინარჩუნოს წესრიგი. ამასთანავე, ჰეგემონი ამას აკეთებს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად არამედ ის ქმნის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც ეფუძნება თავისუფალ ვაჭრობას, რომელიც ყველა მონაწილე ქვეყნისთვის არის სასარგებლო და არა მარტო ჰეგემონისთვის. რომ არ იყოს ჰეგემონი, ეკონომიკური ურთიერთობები გახდება ნაციონალისტური მისწრაფებების ტყვე და პროტექციონისტური, რის შედეგადაც ქვეყნები შეეცდებიან თავიანთ მეზობლებს ყველაფერი წაართვან თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. ასეთი სიტუაცია იყო 1930-იან წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. ამ დროისთვის ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იყო უდიდესი ქვეყანა ეკონომიკური თუ სხვა მაჩვენებლებით, მაგრამ მას არ ქონდა სურვილი, რომ თავის ხელში აეღო ლიბერალური ეკონომიკური წესრიგის შექმნა და შენარჩუნება. ეს სიტუაცია შეიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ამერიკამ თავისი იზოლაციონისტური პოლიტიკა დათმო.

თეორეტიკოსებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, თუ რა ტიპის ძალა არის საჭირო ჰეგემონობისათვის. ეს ცოტა რთული საკითხია ვინაიდან ძალა განიხილება მისი **ჩანაცვლებადობის (fungibility)** ხარისხის მიხედვით. ძალა ითვლება ჩანაცვლებადად თუკი მისი გამოყენება შესაძლებელია რამოდენიმე სფეროში. მაგალითად, სამხედრო ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო საბრძოლო ოპერაციების დროს, არამედ საგარეო პოლიტიკის წარმოების სხვა ასპექტებშიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული

შტატები გამოიყენებდა თავის სამხედრო ძალას დასავლეთ ევროპის თავდაცვისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ კი საშუალება მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს გავლენა ჰქონოდა ევროპაზე სხვა სფეროებში, როგორც არის სავაჭრო პოლიტიკა. შესაბამისად, სამხედრო უსაფრთხოებით უზრუნველყოფამ ევროპისათვის ამერიკას მიანიჭა ბერკეტები ეკონომიკის სფეროში. ჯოსეფ ნაის 1990 წლის ნაშრომის მიხედვით ცივი ომის შემდეგ სამხედრო ძალის ჩანაცვლებადობა კლებულობს. ხოლო, რობორტ კიოჰენი ამბობს, რომ სამხედრო ძალის გარდა ჰეგემონურ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს კიდევ ოთხი ეკონომიკური რესურსი: ბუნებრივი ნედლეული, კაპიტალი, ბაზარი და ჰეგემონის კონკურენტუნარიანობა იმ საქონლის წარმოებაში, რომელსაც განსაკუთრებით მაღალი საფასური აქვს.

ჰეგემონის არსებობის აუცილებლობად ლიბერალური მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებისთვის თეორეტიკოსები ხსნიან იმ მომსახურეობის თავისებურებებით, რომლებიც საჭიროა ლიბერალური მსოფლიო წესრიგის დროს. ლიბერალური მსოფლიო ეკონომიკა არის სახალხო ანუ კოლექტიური სიმდიდრე, რომელიც ყველას სარგებლობაშია. ეს არის საქონელი/მომსახურეობა, რომელიც ერთხელ შექმნის შემდეგ ყველას სარგებლობაშია. მაგალითად, ჰაერი, შუქურა, გზები და ტროტუარები წარმოადგენენ კოლექტიური სიმდიდრის კარგ მაგალითებს. ლიბერალური ეკონომიკის ელემენტები, როგორცაა მსოფლიო სავალუტო ბაზარი, ან ღია ბაზრები, სადაც ყველას შეუძლია ვაჭრობა, ასევე წარმოადგენენ კოლექტიური სიმდიდრის მაგალითებს. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტიური სიმდიდრე მიენოდება არასაკმარისად და ყოველთვის იწვევს უფასოდ სარგებლობის ფაქტებს, ანუ ამ სიმდიდრის გამოყენება ზოგის მიერ ხდება საფასურის გაღების გარეშე. საბოლოო ჯამში კოლექტიურ სიმდიდრესაც აქვს გამოყენების ზღვარი და რომ არ იქნეს ამონურული მისი ეფექტურობა, საჭიროა მისი შენახვა. სწორედ ამისთვის არის საჭირო ჰეგემონი სისტემაში. იგი დაარეგულირებს “უფასოდ მგზავრობის” პრობლემას ჯარიმების დაწესების გზით იმიტომ, რომ მას თვითონ აქვს საგრძნობლად მაღალი ინტერესი სისტემის შენარჩუნებასა და ნორმალურად ფუნქციონირებაში.

ასახელებენ მსოფლიო ჰეგემონის ორ კლასიკურ მაგალითს: დიდ ბრიტანეთს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში და ამერიკის შეერთებულ შტატებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. დიდი ბრიტანეთი იყო გლობალური ძალა და ამასთანავე იმპერიალური ძალა, რომლის ინტერესში შედიოდა ღია საბაზრო ეკონომიკის შენარჩუნება. ბრიტანეთმა დაკარგა თავისი ჰეგემონია მეოცე საუკუნის დასაწყისში როცა მის ძლიერებას კონკურენცია გაუწიეს გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამ უკანასკნელმა თავის ხელში აიღო მსოფლიო წესრიგის მართვის სადავეები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჩამოაყალიბა ახალი ინსტიტუტები, რის შედეგადაც მოხდა ლიბერალური ეკონომიკის ტრანსფორმაცია. მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომელიც შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ შეცვალა, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია და ასე შემდეგ. ეს ინსტიტუტები კი იყო ბრეტონ ვუდსის შეთანხმების ნაწილი, რომელიც 1947 წელს შედგა. ლიბერალური ეკონომიკის აღდგენა რაღა თქმა უნდა ამერიკის ინტერესებში იყო. ამ გზით ის უფრო ადვილად შედიოდა უცხო ბაზრებზე რის შედეგადაც ეკონომიკურ წარმატებებს აღწევდა. ევროპის და იაპონიის აღდგენა და აღმშენებლობა ასევე მის ინტერესებში იყო, რადგან მას ჭირდებოდა ძლიერი რეგიონული ძალა რუსეთის ექსპანსიის შესაჩერებლად. მაგრამ, ბევრს სჯერა რომ ამერიკის ქმედებები ალტრუიზმის ელემენტებსაც შეიცავდა. მაგალითად მარშალის გეგმა და ამერიკის მიერ დასავლეთ ევროპის და იაპონიისთვის განსაკუთრებული სავაჭრო პრიორიტეტების მინიჭება ასეთ მაგალითებად განიხილება.

1960-50-იანი წლებიდან ევროპა და იაპონია საგრძნობლად მოძლიერდნენ, ხოლო

